ნუგზარ თედიაშვილი

ექსკურსიით საქართველოს გარშემო



თბილისი 2005

სარჩევი

შესავალი 3
თბილისი 7
თბილისი – ქუთაისი 16
თბილისი – ჯვარი – საგურამო –
– მცხეთა – შიომღვიმე – ქვათახევი 33
სამხედრო გზა – დარიალის ხეობა 41
იგოეთი – ნოსტე – ერთაწმინდა – რკონი 49
გორი – ატენი – უფლისციხე 52
სამთავისი – ყინწვისი – წრომი 57
ხაშური – ვარძია 62
ახალციხე – აბასთუმანი – ზარზმა 83
ბორჯომი – კიმოთეს უბანი – ბაკურიანი 88
გორი – ცხინვალი – კვაისა – შოვი –
– ნიკორწმინდა – ქუთაისი 94
გომი – სავანე – საჩხერე – სხვიტორი –
– კაცხი – ზესტაფონი 103
ქუთაისი – ბაღდათი – ვანი –
– ლანჩხუთი – ქობულეთი – ბათუმი 107
ქუთაისი – მარტვილი – ნოქალაქევი 111
ქუთაისი – ზუგდიდი – სოხუმი – გაგრა – რიწა 113
თბილისი – კოჯორი – დიდგორი – მანგლისი 121
თბილისი – ბოლნისის სიონი –
– ტანძია – დმანისის ნაქალაქარი 124
კოდა – თეთრიწყარო – სამშვილდე 133
თბილისი – კახეთი 136
თბილისი – მარტყოფის ღვთაება 149
თბილისი – უჯარმა – ბოჭორმა – სიონი 151
თბილისი – ნინოწმინდა – დავით ეარეჯი 154

შესავალი

„მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის შენი სიცოცხლის არსი," ჩემო მეგობარო! მხარეთმცოდნეობა და ტურიზმი მოძრაობის მეცნიერებაა. ის ამა თუ იმ მხარის კომპლექსურ შესწავლას გულისხმობს. ტურიზმი მხარეთმცოდნეობის პრაქტიკული გამოყენებაა.

ბუნებასთან, ისტორიასთან და ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან სიახლოვე და კავშირი ყველაზე უკეთ ტურიზმის მეშვეობით ხორციელდება. ეს სამი ფაქტორი ტურიზმის განვითარების აუცილებელი პირობაა. საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი, ისტორიული და ეკონომიკური ფაქტორების კარგი შეხამებაა, რაც თავის მხრივ ტურიზმის განვითარების საფუძველია.

ტურისტული და საექსკურსიო მოგზაურობა ორ მიზანს ისახავს — ფიზიკური გაჯანსაღება და კულტურულ-შემეცნებითი ინტელექტის ამაღლებას. ერთიც და მეორეც აუცილებელი პირობაა საზოგადოების განვითარებისათვის.

ბოლო პერიოდის პოლიტიკურმა მოვლენებმა უარყოფითად იმოქმედა ჩვენში ტურიზმის განვითარებაზე. მთავრობის მხრიდან აქა-იქ გაისმის მოწოდება ამ სფეროს აღორძინების და განვითარების შესახებ. ამჟამად ჩვენს ქვეყანას თითქმის ყველა ძირითადი პირობა გააჩნია ტურიზმის ფართოდ განვითარებისათვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი ბუნების მრავალფეროვნება და ჩვენი მდიდარი ისტორია. თუ ეკონომიკურ ფაქტორსაც აღმავლობით წავიყვანთ, შეიქმნება იმის საშუალება, რომ ჩვენი ქვეყანა ვაქციოთ მსოფლიოს მოწინავე ტურისტულ ქვეყნად.

საბჭოთა პერიოდში საქართველო მოწინავე ტურისტულ ქვეყნად ითვლებოდა. XX ს-ის 80-იან წლებში 50 ტურბაზა და 20 საექსკურსიო ბიურო მოქმედებდა. ყოველწლიურად ჩვენში ასიათასობით ტურისტი ჩამოდიოდა. დიდი იყო ადგილობრივი ექსკურსანტების და ტურისტების ნაკადიც. განსაკუთრებით აქტიუ-

რობდნენ სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები.

საკმაოა ჩვენი დღევანდელი ტურისტული რესურსიც. საჭიროა მისი საფუძვლიანი გამოყენება. წარსულში მრავლად იყო ჩვენში პროფესიონალი ექსკურსიამძღოლები. ამჟამად ძალიან ცოტა გვყავს ამ საქმის სპეციალისტი. ჩვენი სკოლების მოსწავლეები ექსკურსიაზე უმთავრესად გიდი-ექსკურსიამძღოლის გარეშე მიყავთ.

ჩვენში რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება მხარეთმცოდნეობა და ტურიზმი, მაგრამ ისინი სათანადო სპეციალისტებს არ უშვებენ. არსებობს ერთი სპეციალური სასწავლებელი — მოსკოვის ტურიზმის საერთაშორისო აკადემიის თბილისის ფილიალი, რომელშიც სულ ოცდაათამდე სტუდენტი სწავლობს. აკადემია ფასიანია, მაგრამ იმდენად მცირეა შემოსავალი, მასწავლებლების ხელფასი და ოფისის ქირის ფულიც ვერ გროვდება. როგორც იტყვიან, აკადემია სულს ღაფავს. დროა ზემდგომმა ორგანოებმა ყურადღება მიაქციონ ამ სასწავლებელს.

ჩვენთან ტურისტები პირველ რიგში ბუნების, ისტორიისა და კულტურის გასაცნობად ჩამოვლენ. ისინი ფოლკლორით, სიმღერით და ცეკვით უნდა მოვხიბლოთ ისე, როგორც ეს მოხდა 9 მაისის საღამოს აბანოთუბანში. ჩამოხსულ სტუმარს აქ პროფესიონალი ექსკურსიამძღოლები უნდა დავახვედროთ. ეს ყველაფერი რომ შევძლოთ, პროფესიონალები უნდა აღვზარდოთ. ისინი წარსულის პატივისცემით და მომავლის იმედით უნდა განვაწყოთ. დიდი ილია ამბობდა: „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს“. და იქვე დასძენს: „ეგეც არ იყოს, შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების ულლის წევა“.

დიახ, უნდა ვიცოდეთ, სად გაჩერდა მამა. რაც კარგი გააკეთა, ის უნდა გავიცნობიეროთ და ჩვენ პრაქტიკაში გამოვიყენოთ.

წინა პერიოდში გიდების მომზადების დიდი გამოცდილება გვქონდა. იმ პერიოდში თუ ცუდი ბევრი იყო, კარგიც ხომ კეთ-

დებოდა. ეს კარგი უნდა გამოვიყენოთ. თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროსთან არსებობდა ექსკურსიამძღოლების მოსამზადებელი კურსები, რომელიც სხვადასხვა პროფილის უმაღლესი განათლების პირებს იღებდა და მათგან გიდებს ამზადებდა. ბიუროს მეთოდური განყოფილება სისტემატურად ატარებდა სასწავლო ექსკურსიებს, რომელსაც მოწინავე ექსკურსიამძღოლები უძღვებოდნენ, მომავალი ექსკურსიამძღოლები კი პრაქტიკულად ჩვევებს იღებდნენ. ნათქვამიდან გამომდინარე, ხვალინდელ დღეზე დღეს უნდა ვიზრუნოთ, თორემ ხვალ გვიან იქნება.

წინამდებარე ჩემი შრომა — „ექსკურსიით საქართველოს გარშემო" ტურიზმის სპეციალისტების და ტურისტებისთვის ჩემი მრავალი წლის გამოცდილების გაზიარება იქნება. თუ ეს მცდელობა — დახმარება გავუწიო სპეციალისტებს, ტურისტებს და სკოლის მასწავლებლებს ამ საქმეში, მიზანს მიაღწევს, ძალიან მოხარული ვიქნები.

წიგნში მოკლედ მაქვს აღწერილი ყველა საექსკურსიო მარშრუტი, რომელიც თბილისიდან გადის. მას თან ახლავს რუკა, რომელზეც წარმოდგენილია როგორც მოქმედი, ასევე პერსპექტიული მარშრუტები. მოქმედი მარშრუტები ამ წიგნში მაქვს აღწერილი. რაც შეეხება პერსპექტიულ მარშრუტებს, მკითხველს უნდა ვუთხრა, რომ მათი ათვისებით დიდად მოიგებს ჩვენი ტურისტული სისტემა.

ავიღოთ თბილისი-ვარძიის მარშრუტი. უკან დაბრუნების შემდეგ ხერთვისიდან გადავუხვევთ და ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკის და მანგლისის გავლით თბილისში ვბრუნდებით. ეს იქნება ლამაზი, წრიული მარშრუტი. სხვა პერსპექტიული მარშრუტებიდან უნდა აღინიშნოს: ბაკურიანი, ცხრაწყარო, ახალქალაქი, ახალციხე-გოდერძის უღელტეხილი-ზემო აჭარა-ბათუმი, ზუგდიდი-ჯვარი-მესტია, თელავი-ახმეტა-კვეტარა-თიანეთი-თბილისი, ჟინვალი-ბარისახო-შატილი.

ყველა ჩამოთვლილი მარშრუტის აუთვისებლობის უპირველე-

სი მიზეზი ჩვენი დანგრეული გზებია.

თბილისიდან დასავლეთით გამავალი საექსკურსიო მარშრუტების დასაწყისი თბილისი-ქუთაისის მარშრუტის ტექსტიდან უნდა შეავსოთ.

წიგნზე მუშაობის დროს დახმარებას და კონსულტაციას მიწევდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ჩემი ქალიშვილი — თეა თედიაშვილი.

მინდა ჩემს წიგნს წარუმძღვარო ერთი შესანიშნავი ლექსი, რომელიც საქართველოს ყველა მოსიყვარულე შვილის სულის ვამოძახილი იქნება.

ძე თუ დაეკარგე ბელათში ეიქნები,
ეიქნება ლოცვად დაკარგნელი,
სასოებლად მექნება ღეთისშვიბლის ქალთა
და ცა ჭეხურება საბანიეთ.

ძე თუ დაეკარგე ძცხეთაში ეიქნები,
არსაკიძის ტკბილით გათანგული,
ან გრეში ეიქნები, ანდა ვარძაში,
ძოს გულში წყაროსავეთ ჩაკარგული.

იქნებ ანასურთან დაქეწითთ,
ეაღრე არაგვის წყალს გეცურაღე,
ეაღრე ორთაჭალაზე დაეცეში
და გულს ძცეანიეთ დაეწურაღე.

ძე თუ დაეკარგე ალაეერდს ეიქნები
ეზესთან გადასული ალაეერდს
და გულზე მექნება დაბნეული,
შეიდეკერი ცისარტყელას სადეი.

ანდა ცის ლაეერდი გულზე დაქეფინოს,
დაეწვა ძეწის ალჭურში,
ეე თუ დაეკარგე, არსად არ ქეპითთ,
ეხილოდ ჩემ სალოცაე ბაჭულში.

თბილისი

ᲐᲥᲔᲓᲐᲜ, მეტეხის პლატოდან ძველი თბილისის შესანიშნავი ხედი იშლება. თბილისი — საქართველოს ძველისძველი დედაქალაქი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. მტკვრის ორივე ნაპირზე. ამ ადგილას მტკვარი ვიწრო კლდეკარში გაედინება. მეტეხის პლატო და სოლალაკის სერი მაგარი პორფირიტული ქანებით არის აგებული. ის ძნელად ემორჩილება ეროზიას. ამიტომ აქ ფართო ხეობის გაჭრა გაუჭირდა მდინარეს — მან მხოლოდ ვიწრო, დაახლოებით, 100-150 მეტრი სიგანის ხეობის გაჭრა შეძლო. სწორედ ეს ვიწრო ადგილი გახდა ქალაქის აქ შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ისტორიულად ქალაქები ბუნებრივად მაგარ სტრატეგიულ ადგილზე იქმნებოდა. ქალაქის შექმნის კიდევ ერთი მიზეზი მისი ცენტრალურ გზებზე მდებარეობა იყო. თბილისი სამხრეთ კავკასიის ცენტრში მდებარეობს. სწორედ აქ იკვეთებოდა მთავარი სამიმოსვლო გზე-

ბი.

სკოლის ბავშვებმაც იციან მიმინოსა და ხოხბის ლეგენდა თბილისის შექმნის შესახებ. ლეგენდა დავტოვოთ ლეგენდად. თბილისის ტერიტორიაზე დასახლება შორეულ წარსულში ყალიბდება. IV ს-შია აშენებული შურის, ანუ კალას ციხე. ციხის შემოგარენში იქნებოდა დასახლებაც. V ს-ში ვახტანგ გორგასალმა დიდი ქალაქის მშენებლობა დაიწყო, რომელიც ქვეყნის დედაქალაქი უნდა გამხდარიყო. ვახტანგ გორგასალი 502 წელს ირანელებთან ომში დაიჭრა და მალევე გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრემ, დაჩი მეფემ სამეფო ტახტი საბოლოოდ გადმოიტანა თბილისში 519 წელს. ამის შემდეგ თბილისი ყოველთვის იყო საქართველოს უმთავრესი ქალაქი. არაბების შემოსევის შემდეგ დიდი ხნით გახდა არაბების ამირას რეზიდენცია. 1122 წელს დავით აღმაშენებელმა არაბებს ხელიდან გამოგლიჯა ქალაქი და ამის შემდეგ ერთიანი საქართველოს დედაქალაქად იქცა. XV ს-ის ბოლოს, როცა საქართველო სამეფო სამთავროებად დაიშალა, თბილისი ქართლის სამეფოს დედაქალაქია. თუმცა, ის ყოველთვის იყო ქართველი ერის კონსოლიდაციის ცენტრი და ქალაქის სინონიმი. შორეულ სოფლებშიც მოსახლეობა თბილისს, ჩვეულებრივ, ქალაქად მოიხსენიებდა. საქართველოში რუსების შემოსვლის შემდეგ თბილისი გუბერნიის ცენტრი ხდება. 1917-21 წლებში ის მენშევიკური მთავრობის დედაქალაქია. საბჭოთა პერიოდში, 1921-1990 წლებში კი საქართველოს მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქი. 1991 წლიდან თბილისი დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქია. ამჟამად ჩვენი ქვეყნის მთავარ სავაჭრო-სამეწარმეო და პოლიტიკურ-კულტურულ ცენტრს წარმოადგენს.

აქ, ძველი თბილისის ცენტრში ხელოვნების მრავალი ძეგლი მდებარეობს. მათ გზადაგზა, ექსკურსიის დროს გავეცნობით. ვიდრე ძეგლებზე ვისაუბრებთ, რომლებიც თითქმის მთლიანად ძველ უბანშია თავმოყრილი, მინდა გაგაცნოთ, რა ფარგლებში მდებარეობდა ძველი თბილისი. ყველა ძველი ქალაქივით, თბილისიც

შემოზღუდული იყო გალავნით. შურის ანუ ნარიყალას ციხიდან გალავანი სოლოლაკის სერს მიჰყვებოდა. ქართლის დედის ძეგლთან (რომელიც 1961 წელს აღიმართა) დაბლა ეშვებოდა, გაივლიდა დღევანდელი დადიანის, პუშკინის, ბარათაშვილის ქუჩებს და ბარათაშვილის ხიდთან უერთდებოდა მტკვარს. ნარიყალას ციხიდან კედელი აღმოსავლეთით მიემართებოდა — თაბორის ციხესთან გადაივლიდა თაბორის მთას და ეშვებოდა დაბლა, მაჩაბლის კედელთან და სამასი არაგველის ობელისკთან უერთდებოდა მტკვარს. გალავანი გრძელდებოდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ადიოდა დღევანდელ ქეთევან წამებულის გამზირამდე, მიჰყვებოდა ამ ქუჩას დასავლეთით და მეტეხის ხიდთან უერთდებოდა მტკვარს. ძველი თბილისი ამ ფარგლებში სამი უბნისაგან შედგებოდა: ბარათაშვილის ქუჩიდან შურის ციხემდე ყველაზე დიდი უბანი — კალა; თბილისი (იგივე, აბანოების უბანი) — შურის ციხიდან სამასი არაგველის ობელისკამდე; ისანი — მტკვრის მარცხენა ნაპირი. ქალაქის გალავანს ექვსი შესასვლელი ჰქონდა: ორი აღმოსავლეთით — კახეთის და განჯის კარები; ოთხი დასავლეთით — მტკვრის კარები (ბარათაშვილის ხიდთან), მთავარი ტრიუმფალუ-



რი შესასვლელი (ჩახრუხაძის ქუჩით), დიღმის კარები (ვერცხლის ქუჩით) და კოჯრის კარები (ლესელიძის ქუჩით).

ქალაქის უმთავრესი ისტორიული ძეგლები ძველ თბილისშია თავმოყრილი. აქვე, მეტეხზე აღმართულია მეტეხის გუმბათიანი ტაძარი. აქ პირველი ტაძარი V ს-ში აიგო, მაგრამ დროთა ვითარებაში დაინგრა. გუმბათიანი ტაძარი, რომელიც ამჟამადაც დგას, დემეტრე თავდადებულის მეფობის დროს, XIII ს-ის ბოლოს აშენდა. ტაძარი საფუძვლიანად შეკეთდა XVIII ს-ში, ერეკლე მეფის დროს, რასაც აღმოსავლეთის ფასადის წარწერა გვაუწყებს. სავარაუდოდ, ამ ტაძარშია დაკრძალული შუშანიკი — იაკობ ცურტაველის ნაწარმოების მთავარი გმირი. მეტეხი თბილისში არსებულ ძეგლებს შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. აქვე დგას 1967 წელს, ელგუჯა ამაშუკელის ავტორობით შესრულებული ვახტანგ გორგასალის ძეგლი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ დასახელებული ქართლის დედის ქანდაკებაც ამავე შემოქმედის მიერაა შესრულებული.

მეტეხის მოპირდაპირე, სოლოლაკის მთაზე თბილისის მთავარი ციტადელი, შურის ციხეა აღმართული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის IV ს-შია აგებული და ყველაზე ძველი ნაგებობაა ჩვენს დედაქალაქში. ამასთანავე, ერთ-ერთ შეუვალ ციხე-სიმაგრედაც ითვლებოდა. ციხის ეზოში დგას ბოლო წლებში აღდგენილი გუმბათიანი ტაძარი. შორს, დასავლეთით მოჩანს მთაწმინდა, ანუ მამა დავითის მთა. მთის ფერდობზე მოჩანს ეკლესია, რომელსაც მამადავითი ეწოდება. VI ს-ში აქ სამოღვაწეოდ ჩამოვიდა ერთ-ერთი ასირიელი მამა — დავითი. მან შექმნა სამოღვაწეო ასპარეზი. მონასტერი-ეკლესია, რომელიც ამჟამად დგას, XIX ს-ში აიგო, ძველის ადგილზე. 1929 წელს გადაწყდა, რომ აქ არსებული სასაფლაოს ნაცვლად გახსნილიყო ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი. ხუთიოდე წლის შემდეგ პანთეონი ოფიციალურად გაიხსნა.

ამჟამად პანთეონი თბილისის ერთ-ერთი მთავარი საექსკურსიო

ობიექტია. ავლაბრის მიმართულებით მოჩანს მრგვალი დარბაზი-საჩინო. ეს პატარა სახლი მეფე ერეკლემ დარეჯან დედოფალს აუშენა XVIII ს-ში. იქვე ქალაქის გალავნის კედელი მოჩანს. მარცხნივ ღვინის აღმართია — სირაჯხანა. სირაჯი ღვინის გამ-ყიდველს ნიშნავს. აქ იყიდებოდა კახეთიდან ჩამოტანილი ღვინო. უფრო შორს მოჩანს ახლად აშენებული სამების ტაძარი — კათა-ლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია. ქვემოთ, დედაქალაქის აღლუმე-ბის ადგილი, რიყე მდებარეობს.

მეტეხიდან დაბლა ვეშვებით. ფეხით უნდა გავიაროთ ძველი თბილისის ქუჩები, ვიდრე ბარათაშვილის ქუჩამდე. მარცხნივ აბო თბილელის მემორიალია. ამ ადგილას აწამეს ის 786 წელს. აქვე შენდება მისი სახელობის ეკლესია. გადავდივართ მეტეხის ხიდზე, რომელიც XX ს-ის 30-იან წლებში აიგო. ძველი მეტეხის ხიდი აქვე, მარცხნივ, რამდენიმე მეტრის იქით იყო გადებული, მდ. მტკვარზე. ეს იყო უძველესი ხიდი, რომელზეც გადიოდა აღმო-სავლეთ-დასავლეთის თუ სამხრეთ-ჩრდილოეთის გზები. იმის გარ-და, რომ ხიდი დიდ სამიმოსვლო და სტრატეგიულ მოვალეობას ასრულებდა, ამავე დროს დიდი ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ამ ხიდზე გადიოდა დიდი აბრეშუმის გზაც და მეცხვა-რეთა დიდი გზაც. დიახ, ეს ხიდი ერთადერთი იყო, რომლის გავ-ლითაც გაზაფხულზე კახეთის ცხვარი თრიალეთ-ჯავახეთის სა-ზაფხულო იალაღებზე მიემართებოდა და შემოდგომით იმავე გზით ბრუნდებოდა. გადავდივართ ხიდზე და ძველი თბილისის ცენტრალურ მოედანზე, მაიდანზე ვართ. მოედნის მაღლა, ციხის ძირში სუფ-გეორქის ტაძარი მდებარეობს. ეს ტაძარი XVIII ს-ში აშენდა. პირველად ქართული ტაძარი იყო აქ, შემდგომში კი სომ-ხებმა შეისყიდეს. ამ ტაძრის ეზოშია დაკრძალული დიდი საიათ-ნოვა, რომელიც ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ეწეოდა შემოქმედებას. მოედნის გარშემო მდებარეობდა ძველი თბილისის საქმიანი ცენტრი — შაითან-ბაზარი. აქედან ლესელი-ძის ქუჩის გაყოლებით კოჯრის კარამდე გრძელდებოდა შუა ბა-

ზარი. რომლის გასწვრივ მდებარე სახლებში მოწყობილი იყო სავაჭრო დუქნები.

მოედნიდან მარცხნივ გავუხვიეთ და აბანოებს მივადექით. ამ მიდამოებში ამოდიოდა და ახლაც ამოდის მინერალური წყლები, რომელთა ბაზაზეც მოწყობილია კურორტი თბილისი. დიახ, თბილისი ბალნეოლოგიური კურორტია, იშვიათი სამკურნალო წყლებით. აქვე მოწყობილია აბანოები და აქვეა ბალნეოლოგიური კურორტის ადმინისტრაციულ-სამკურნალო შენობა. აბანოები ისტორიულად მაღალ ფეოდალურ წრეს ეკუთვნოდა და სახელებიც ასე აქვთ შერქმეული — სამეფო აბანო, ორბელიანების აბანო და სხვ. ბოლო პერიოდში აღდგენილი აბანოები და, საერთოდ, ეს კუთხე არქიტექტურულად საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებს. განსაკუთრებით ლამაზია ორბელიანების აბანო. აქვე, აბანოების თავზე მუსულმანური მეჩეთი დგას. თბილისი მთელი კავკასიის ხალხების კონსოლიდაციის ცენტრი იყო. მრავლად ცხოვრობდა მუსულმანი. ამ მიდამოებში დაიდგა ლეგენდარული მიმინოს და ხოხბის ქანდაკება (სასურველი იქნებოდა, უფრო დიდი ზომის ყოფილიყო). აქვე დგას სათამაშო კოჭის ძეგლი, რომელიც ნატურასთან შედარებით ბევრად უფრო დიდია. აქ იყო თბილისის ყველაზე ძველი უბანი.

უკან ვბრუნდებით და გზას სიონის მიმართულებით ვაგრძელებთ. სიონის ქუჩის კუთხეში შარდენის ქუჩა გამოდის. ახლახანს ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები, რითაც უფრო დამშვენდა ეს ქუჩა. შარდენის ქუჩა ზემოთ დასახლებული შუა ბაზრის შემორჩენილი ნაწილია. აქვე რკალის ფორმის ქუჩაა — ე.წ. ბამბის რიგი. ჩვენი დაედაქალაქი ოდითგანვე სავაჭრო და სახელოსნო ქალაქი იყო. ამ ქუჩაზე ბამბის სახელოსნო იყო. სიონის ტაძრამდე ქარვასლა მდებარეობს (ქარვასლა სავაჭრო-სასტუმრო დაწესებულებას ეწოდება), რომელიც თბილისის უმთავრესი ქარვასლა იყო. ამჟამად, ამ შენობაში თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი მდებარეობს. შევდივართ შიგნით და ვეცნობით მის აღნა-

გობას. შენობას მხოლოდ დასავლეთიდან აქვს შესასვლელი. ირგ-ვლივ ოთახებია. სამსართულიანი შენობის პირველ სართულზე სა-თავსოები იყო მოწყობილი, მეორე სართული სავაჭრო დუქნებს ეჭირა, ხოლო მესამე სართული მექარავნეთა სასტუმრო იყო.

ქარვასლიდან სიონისკენ მივემართებით. მარცხნივ სასულიერო აკადემიის შენობაა. იქვე, რუსულ სტილზე აშენებული სამრეკლოა (1812 წ.). მარჯვნივ ჩვენი დედაქალაქის უპირველესი ისტორიუ-ლი ნაგებობაა — სიონის ტაძარი, რომელიც VI ს-ში აშენებული გუმბათიანი ტაძარია. 1226 წელს მტარვალმა ჯალალედინმა მო-ანგრია გუმბათი, ზედ ტახტი დაადგმევინა და იქიდან ტკბებოდა თბილისის მოსახლეობის წამებით. ამ შემოსევის დროს თბილისში 100 ათასზე მეტი ადამიანი გაიჟლიტა. დღევანდელი სიონი XVI-II ს-ის სახით შემოგვრჩა. 1710 წელს დამთავრდა ტაძრის აღდგე-ნითი სამუშაოები. მთლიანად შეიცვალა მისი გარეთა პერანგი და ბოლნისის ოქროსფერი ტუფით მოპირკეთდა. ტაძრის მხატვრობა XIX ს-ის შუა წლებში შესრულდა რუსი მხატვრის, გაგარინის მი-ერ. ეზოში დგას XVII ს-ის სამრეკლო.

1808 წელს გაუქმებული ქართული ეკლესიის ავტოკეფალობა აღდგენილი იქნა 1917 წელს. მისი აღდგენიდან 2005 წლამდე სი-ონი იყო კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენცია და მთავრი კათედ-რალი. რეზიდენცია ახლახანს გადავიდა ახალაშენებულ სამების ტაძარში.

სიონის ტაძრიდან სანაპიროზე გამოვდივართ. აქ, სანაპიროს გაყოლებით ჩაუყვება რიკულებიანი კოპწია სახლები. აქვე, მყუდ-რო ადგილას აღმართულია ჯუნა მიქატაძის ავტორობით შესა-რულებული იეთიმ გურჯის ძეგლი. იეთიმ გურჯი უკანასკნელი აშუღი პოეტი იყო. ის წარმოშობით ახალციხის ძველი უბნიდან. რაბითიდან იყო, გვარად დაბღაშვილი. აქვე, მარცხნივ რესტორან „ბერიკონის“ შენობაა აღმართული. მის ბოლოში ბატონის, ერეკ-ლე II-ის აბანოა. აბანოს წინ აღმართულია ობელისკი. რომლის ადგილზეც მდებარეობდა პირველი სტამბა საქართველოში. სტამ-

ბა დააარსა მეფე ვახტანგ VI-მ 1709 წელს. 1712 წელს სტამბამ დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. სტამბის დაარსება უდიდესი კულტურული მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. საერთოდ, პირველი ქართული სტამბა დაარსდა იტალიაში, 1653 წელს. ავდივართ ერეკლეს მოედანზე. ეს მოედანი გვიან პერიოდში თბილისის პოლიტიკურ ცენტრად იქცა. XVI ს-ში სიმონ I-მა ააშენა სასახლე და მეფეთა რეზიდენცია აქ დამკვიდრდა. უფრო გვიან, XVII ს-ში როსტომ მეფემ დიდი სასახლე ააშენა (ახლანდელი — პატრიარქის რეზიდენციის ადგილი). საერთოდ, მეფეთა რეზიდენციამ სამჯერ შეიცვალა ადგილი. პირველად სამეფო სახლი ნარიყალას ციხეზე მდებარეობდა, შემდეგ ისანში, მეტეხზე გადავიდა, ხოლო ბოლოს ამ მოედანზე დამკვიდრდა. მოედანზეა ჟურნალისტთა სახლი. აქვეა ერთ-ერთი უძველესი საცხოვრებელი სახლი.

ერეკლეს მოედნიდან ბარათაშვილის ქუჩის მიმართულებით ორი ქუჩა გამოდის — ჩახრუხაძის და შავთელის. პირველად ჩახრუხაძის ქუჩას გავყვებით. ამ ქუჩაზე XIX ს-ის ბოლოს ცნობილი ისტორიკოსი, პლატონ იოსელიანი ცხოვრობდა. მარჯვენა მხარეზე ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმია. დიდი პოეტი უფრო დასავლეთით, გალავნის გარეთ მდებარე ორბელიანების უბანში დაიბადა. ამ სახლში მოგვიანებით ცხოვრობდნენ ბარათაშვილები. ჩახრუხაძის ქუჩა, რომელსაც მივყვებოდით, ქალაქის მთავარი შესასვლელიდან ერეკლეს მოედნამდე, ძირითადი მაგისტრალი იყო. ბარათაშვილის მუზეუმიდან მარჯვნივ შავთელის ქუჩაზე გავდივართ. აქ ქუჩის პირას აღმართულია XVII ს-ის სამრეკლო, რომლის ქვეშ გასავლელით შევდივართ ანჩისხატის ეზოში. ის ჩვენი დედაქალაქის ყველაზე ძველი ტაძარია. აშენებულია VI ს-ის დასაწყისში, დაჩის მეფობის დროს. წარმოადგენს ტიპიურ სამნავიან ბაზილიკას. შემორჩენილია თითქმის პირვანდელი სახით, მაგრამ არ შემოგვრჩა ფრესკები. ანჩისხატის ტაძარი ბოლნისის სიონის და ხაშმის სამების ტაძრებთან ერთად ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზილიკაა. საინტერესოა მისი სახელწოდება

— ანჩისხატი. ტაძარი ღვთისმშობელ მარიამის სახელზეა აგებული. XVI ს-ში, როდესაც თურქებმა მესხეთი დაიპყრეს, ქართული მოსახლეობა იძულებული იყო იქედან გადასახლებულიყო და თან წაეღო თავისი კულტურული მემკვიდრეობა, რის წაღებაც შეიძლებოდა. ხახულის ტაძრიდან მაშინ წამოიღეს ხახულის ხატი და გელათში დაასვენეს. XVII ს-ში სოფ. ანჩის ტაძრიდან წამოიღეს ძვირფასი ხატი და აქ, თბილისის ღვთისმშობელ მარიამის ტაძარში დაასვენეს. ამის შემდეგ ეწოდა ამ ტაძარს ანჩისხატი. ეს ძვირფასი ხატი ამჟამად ხელოვნების მუზეუმში ინახება.

ანჩისხატიდან ბარათაშვილის ქუჩაზე გავდივართ. მარცხნივ მარიონეტების თეატრის შენობაა. მარჯვნივ — ბავშვთა სურათების გალერეა. მის კედელზე წარმოდგენილია ელგუჯა ამაშუკელის პანო და ფიროსმანის მეეზოვის ქანდაკება. აქვე, მარჯვნივ ბერიკაობის ქანდაკება დგას. მარცხნივ — ძველი თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სახეობა — „კონკა". ლიანდაგებზე შემდგარ ვაგონს ცხენები მიაგორებდნენ ქალაქის ქუჩებში. კონკის მახლობლად ქალაქის მთავარი შემოსასვლელია, რომლის გაგრძელებაზე ძველი თბილისის დასავლეთის გალავანი მიემართება მაღლა. აქ, ბარათაშვილის ქუჩის დასავლეთით მდებარე ჩვენი ქალაქის უბნები ძირითადად XIX ს-ში გაშენდა და ქალაქის ცენტრმაც თავისუფლების მოედანზე და რუსთაველის გამზირზე გადაინაცვლა.

ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში რამდენჯერმე გაიზარდა ქალაქი. ამჟამად 1,2 მლნ-ზე მეტი მაცხოვრებელია, თუმცა ბოლო ათწლეულში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, საარსებო საშუალებების საძიებლად უცხოეთის ქვეყნებში წავიდა.

ბარათაშვილის ქუჩის გავლით თავისუფლების მოედანზე შევდივართ. არმისული მოედანამდე, მარჯვნივ ხელოვნების მუზეუმია. ორასიოდე მეტრის მოშორებით, რუსთაველის გამზირზე ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმი მდებარეობს. ორივე მუზეუმი მდიდარია უნიკალური ექსპონატების მრავალფეროვნებით.

თბილისი — ქუთაისი

საუბარი იწყება დიღმის მასივიდან. პირველი ობიექტი აქ ნინო კაბადოკიელის ქანდაკებაა, რომელიც ზურაბ წერეთლის ავტორობით არის შესრულებული. ნინო საქართველოში ჩამოვიდა IV საუკუნის 20-იან წლებში. მისი ღვაწლით 337 წელს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. აქვე, თრელის გორაზე არქეოლოგიური მუზეუმის მრგვალი შენობაა აღმართული. თრელის არქეოლოგიური ნამოსახლარი თბილისის ტერიტორიაზე არსებულ ნამოსახლარებს შორის ყველაზე ძველია და ყველაზე ძველი ფენა თარიღდება 6-6,5 ათასი წლის წინა პერიოდით. აღმოჩენილია როგორც საცხოვრებლები, ასევე სამეურნეო ნაგებობები.

აქედან, ვიდრე ავჭალის ხიდამდე, დავით აღმაშენებლის ხეივანი ორი გზატკეცილს შუაში მიუყვება. გავცდებით თრელის გორას და მარცხნივ, დასავლეთით მოჩანს დიდგორის მთა — თითქოს სიმბოლურია. დიდგორის ომი 1121 წლის 12 აგვისტოს გაიმართა. ამ ომში, სადაც ნახევარ მილიონზე მეტი თურქი ჯარისკაცი მონაწილეობდა, ხოლო ქართველები 60 ათასამდე იყო, ქართველთა დიდი გამარჯვებით დაგვირგვინდა. ომი ოთხიოდე საათში დამთავრდა საკვირველი გამარჯვებით. ასეც უწოდებს მემატიანე: „ძლევაი საკვირველი". გამარჯვების სულის ჩამდგმელი იყო დავით აღმაშენებელი.

დიღმის ველზე საბჭოთა პერიოდში მევენახეობის სანერგე მეურნეობა იყო მოწყობილი. აქვე, მარცხნივ სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსია აღმართული. ვიდრე ხიდთან მივალთ. მარჯვნივ, ავჭალის თავზე მოჩანს V ს-ის პეტრე მოციქულის ეკლესია. ავჭალის ხიდი, აკვედუკი და ეს ვიწრო ადგილი საზღვარია შიდა და ქვემო ქართლს შორის. აქვე მთავრდება ქ. თბილისი. „ქართლად ფრიად ქვეყანაი აღირიცხების" — ამბობს მემატიანე. მართლაც, ქართლი იყო და არის საქართველოს ცენ-

ტრალური და ყველაზე დიდი კუთხე. იგი სამ ნაწილად იყოფა: ტაშისკარის ზემოთ მესხეთია, ანუ ზემო ქართლი, ტაშისკარიდან ავჭალის ვიწრობამდე — შიდა ქართლი და ამ ვიწრობიდან ქვემოთ — ქვემო ქართლი. ამდენად, უკან დარჩენილი თბილისი ქვემო ქართლში მდებარეობს. ჩვენ მარშრუტზე, მარჯვნივ მდებარეობს ზემო ავჭალის ჰიდროელექტრო სადგური „ზაჰესი". ელექტრო სადგური ამუშავდა 1927 წელს, მაშინ, როცა ქვეყანა საჭიროებდა ელექტროენერგიას. სადგური საბჭოთა პერიოდის პირმშოა. მისცა რა იაფი ელექტროენერგია, ამავე დროს მცხეთის ტერიტორიაზე შექმნა წყალსაცავი, რომელიც საწყალოსნო სპორტის ცენტრად იქცა. აქვე, ჩვენგან მარცხნივ სოფ. მუხათგვერდია. ამ სოფელში 1843 წელს მოკლეს არსენა ოძელაშვილი — საქართველოს სახალხო გმირი. გადავდივართ ხიდზე. გზის პირას ლერმონტოვის ძეგლი დგას. მარჯვნივ, კლდოვან მთაზე მცხეთის ჯვარია — ძველი ქართული არქიტექტურის უპირველესი ძეგლი. აშენდა 586-604 წლებში. ამ ადგილას, საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გამოცხადების შემდეგ, აღიმართა ხის ჯვარი. აქვე აშენდა ჯერ მცირე, შემდეგ დიდი გუმბათიანი ტაძარი, რომელიც უპირველესი გუმბათიანი ტაძარია. ამ ტაძარს უძღვნა რუსმა პოეტმა ლერმონტოვმა პოემა „მწირი".

ჯვრის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრისა და არაგვის შეერთების ადგილას მდებარეობს საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა. მცხეთა 1987 წელს გამოცხადდა ქალაქ-მუზეუმად. ამჟამად „იუნესკოს" აღრიცხვაზეა აყვანილი. მცხეთაში და მის შემოგარენში, მცხეთის ჯვრის გარდა, მრავალი პირველხარისხოვანი ძეგლია, მათ შორის უნდა გამოიყოს სვეტიცხოველი და სამთავრო. სვეტიცხოველი ყველაზე დიდი ტაძარია საქართველოში. აქ პირველი ხის ტაძარი IV ს-ში, ხოლო ქვის ბაზილიკა V ს-ში აშენდა. ახლანდელი გუმბათიანი ტაძარი 1010-1029 წლებში აშენდა. სვეტიცხოველი იყო საქართველოს კათალიკოსის რეზიდენცია. მას მიუძღვნა კონსტანტინე გამსახურდიამ „დიდოსტატის მარ-

ჯვენა“.

სამთავროს ტაძარიც XI ს-ში, 1045 წლამდე აშენდა. იგი ქართული არქიტექტურის მაღალი რანგის ძეგლია.

მცხეთას, როგორც დედაქალაქს, იცავდა მრავალი ციხე-სიმაგრე — დასავლეთიდან არმაზციხე და ბაგინეთი, აღმოსავლეთიდან — ზედაზნის ციხე, ჩრდილოეთიდან — ბებრის ციხე. მცხეთაში პირველი ნამოსახლარები 4-5 ათასი წლის წინ გაჩნდა. IV ს-ში, ჩვენს ერამდე მცხეთა იბერიის დედაქალაქად იქცა.

მცხეთიდან ჩრდილოეთით ჩვენი მარშრუტი გადაკვეთს მდ. არაგვს და გადის მუხრანის ველზე. აქ გზა ორად იყოფა. ჩრდილოეთით მიემართება საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც უმოკლესი მაგისტრალია ჩრდილოეთის ქვეყნებთან, კერძოდ რუსეთთან. მარჯვნივ მდებარეობს სოფ. ნატახტარი, სადაც XVII ს-ის დასაწყისში დროებით სამეფო ტახტი დადგა მეფე თეიმურაზ I-მა და აქედან წარმოიშვა სახელწოდება ნატახტარი. ჩვენი მარშრუტი, მუხრანის ველის გავლით, დასავლეთისკენ მიემართება. მუხრანის ველი ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო ველია. მას აღმოსავლეთიდან საგურამოს სერი საზღვრავს, სამხრეთიდან — კვერნაქის სერი, ჩრდილოეთიდან — კავკასიონის სამხრეთი ფერდობი, დასავლეთიდან — ოკამ-იგოეთის მაღლობი. მუხრანის ველის სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი მევენახეობას, მებოსტნეობას, მეხილეობას და მეცხოველეობას უჭირავს. განსაკუთრებით სანაქებოა აქაური ბალჩეული — მუხრანის კიტრი, ჭოპორტის პამიდორი. ვიდრე ქსნის ხიდს გადავივლით, მარცხნივ, კვერნაქის სერზე აღმართულია ქსნის ციხე — ქსნის ხეობის მთავარი ჩამკეტი ციხე და მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი გვიან ფეოდალურ პერიოდში. აქვე, მარჯვნივ დიდი და ისტორიული სოფ. მუხრანია. სწორედ, ქსნის ციხის დაცვის სანაცვლოდ, 1513 წ. უბოძა ეს ველი ძმას, ბაგრატს მეფე დავით X-მ. ამის შემდეგ შეიქმნა მუხრანის საბატონო.

მდ. ქსანზე გადავდივართ უძველეს სოფ. აღაიანთან. მარცხნივ

აღმართულია წლევი-თხოთის კვერნაქის სერი. ზედ თხემზე წმინდა ნინოს ეკლესია მოჩანს. სწორედ აქ, თხოთის კვერნაქზე ნადირობდა მირიან მეფე, როცა წამოვიდა თავსხმა წვიმა და დაბნელდა 337 წლის ივლისის თვეში. მირიანს ურჩიეს ელოცა ნინოს ღმერთი. ლოცვის შემდეგ ცოტა ხანში განათდა და წვიმამაც იკლო. იწამა მეფემ ქრისტე, ჩავიდა მცხეთაში და მდ. მტკვარში მონათლა თავისი ხალხი ქრისტიანულად. მეცნიერები ფიქრობენ, რომ 337 წლის ივლისში აღმოსავლეთ საქართველოში მოხდა მზის სრული დაბნელება, რასაც კოკისპირული წვიმაც დაემთხვა. ამ მოვლენამ დააჩქარა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. გზა აღმართს მიუყვება. მარცხნივ ოკამის ღვინის ქარხანაა, რომელიც საშამპანურე ღვინოებს ამზადებს. გზიდან მარჯვნივ პატარა ბაქანია, საიდანაც მოწმენდილი ამინდის დროს მოჩანს კავკასიონის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი — ყაზბეგი. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 5033 მეტრია.

ჩავივლით იგოეთის დაღმართს. მარცხნივ მცირე ზომის, წითელი აგურით ნაშენი ტაძარი „წითელი საყდარია". მას ეს სახელი აგურის ფერის გამო ეწოდა. ცოტა ქვემოთ, მარცხნივ გზა გადაუხვევს რაიონულ ცენტრ კასპის მიმართულებით. მალე ჩვენი გზა ლეხურას ხიდს გაივლის და უკან გვრჩება სოფ. იგოეთი. აქედან მარჯვნივ მოჩანს ქართული არქიტექტურის სწორუპოვარი ძეგლი — სამთავისის ტაძარი. მაღლა ქედზე სხვილოს ციხე აზიდულა — ამილახვრების მთავარი ციხე. სამთავისის ტაძარი 1030 წელს აშენდა. მისი აღმოსავლეთ ფასადი მიჩნეულია მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლად.

იგოეთიდან გავდივართ ტირიფონის ველზე. ეს ველი საქართველოს მეხილეობის მთავარი რეგიონია. აქაური ბუნებრივი მონაცემები საუკეთესო პირობებს ქმნის მეხილეობის ფართოდ განვითარებისათვის. ტირიფონის ველი ყველაზე დიდი განზომილების ოროგრაფიული ერთეულია შიდა ქართლის ტერიტორიაზე. ტირიფონის ველის სამხრეთით, იქ, სადაც მდ. ლიახვი უერთდება მდ.

მტკვარს. მდებარეობს შიდა ქართლის ყველაზე დიდი ქალაქი გორი, რომელიც მნიშვნელოვანი სამრეწველო ქალაქია. ის გზიდან მარცხნივ მოჩანს. გორის საკონსერვო ქარხანა ეწევა ტირიფონის ველზე მოწეული ხილის დიდი ნაწილის გადამუშავებას. გორის ცენტრში აღმართული ბუნებრივი გორა დაგვირგვინებულია დიდებული ციხით. ეს უდიდესი ციხე ქართლის ცენტრალურ ციხეს წარმოადგენდა. გორის გაღმა მთაზე აღმართულია VII ს-ის სიმაგრე – გორის ჯვარი. რაც შეეხება გორის ციხის მშენებლობას, ის 2 ათასი წლის წინ დაწყებულა, რასაც არქეოლოგიური გათხრები ადასტურებს. განსაკუთრებით ლამაზია ციხის დასავლეთი ნაწილი, ე.წ. ცხრაკარიანი შესასვლელი. მარჯვნივ გზა ცხინვალისკენ მიემართება.

გადავდივართ ლიახვის ხიდზე. მარცხნივ ძველი სოფ. თედოწმინდაა, ხოლო მარჯვნივ, რამდენიმე კილომეტრში სოფ. ვარიანი – სამშობლო იაკობ გოგებაშვილისა. სოფელში მოქმედებს იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი, სადაც ხშირი სტუმარია ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობა. ვარიანში მოქმედებს აგრეთვე კრივის სკოლა, რომელიც შექმნა ჩვენმა სასიქადულო მოკრივემ, ვარიანის მკვიდრმა გიორგი კანდელაკმა.

ლიახვის ხიდიდან გზა აღმართს მიუყვება, გადადის გორის გადასასვლელზე (ზღ. დ. 750 მ.) და ეშვება დოღლაურის ველზე. დოღლაური ისევე, როგორც მუხრანის და ტირიფონის ველები, მნიშვნელოვან სასოფლო ველს წარმოადგენს. ჩვენ გზაზე პირველი სოფლები: მარცხნივ ურბნისი და მარჯვნივ რუისია. ეს სოფლები დღეს მნიშვნელოვანი სამეურნეო სოფლებია. ამავე დროს რუისი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელია საქართველოში. უფრო დიდია ამ სოფლების ისტორიული დამსახურება ქვეყნის წინაშე. სწორედ ამ სოფლებში გაიმართა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება 1103 წელს. ეს კრება დავითის მიერ ჩატარებული რეფორმების უმთავრესი რგოლი იყო. რეფორმა გულისხმობდა ეკლესიის გადახალისებას, მისგან უღირსი მამების მოცილებას და



მათ ადგილზე ღირსეულთა დაწინაურებას, ეკლესიის ხელისუფლებისადმი დამორჩილებას. სოფ. ურბნისი ქრისტიანობაზე ადრე არსებობდა, როგორც ქალაქი. ამაზე მიუთითებს მისი სახელწოდება. ურბნისის ტერიტორიაზე, ე.წ. ხიზანაანთ გორაზე არქეოლოგების მიერ შესწავლილი იქნა ნამოსახლარი, რომელიც ჩვენ ერამდე V ათასწლეულით თარიღდება. ურბნისში მდებარეობს VI ს-ის ძალიან მნიშვნელოვანი ბაზილიკური ტაძარი, რუისში კი XI ს-ის გუმბათიანი ტაძარი, რომელიც მრავალგლზის გადაკეთდა შემდგომ პერიოდში. ფრესკები არცერთ ტაძარში არ შემორჩა.

აქედან გზა ხაშურამდე დოღლაურის ველს მიუყვება. გადავდივართ მდ. ფრონეზე. მარჯვნივ არის ისტორიული სოფლები: საღოლაშენი და არადეთი. გზიდან მარჯვნივ მოჩანს არადეთის ციხე. არადეთის ციხე იშხნელთა საგვარეული ციხე იყო. ეს გვარი მრავალ სხვა გვართან ერთად ისტორიული მესხეთიდან ჩამოსახლდა, მესხეთის თურქების მიერ დაპყრობის შემდეგ. თურქებმა მესხეთი XVI ს-ში დაიპყრეს. ამის გამო ქართული მოსახლეობის ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადასახლდა. მეზობლად ჯავახიშვილები ცხოვრობენ. ისინი თორელთა ერთი შტოა ჯავახეთიდან, მესხეთიდან გადმოსახლებული. იშხნელები იშსანიდან გადმოსახლდნენ და გვარად იშხნელად დაეწერნენ. ამ გვარიდან და ამ სოფლიდან იყვნენ ჩვენი სასიქადულო მომღერლები — დები იშხნელები. აქვე, მარჯვნივ, დოღლაურის ველზე არქეოლოგებმა შეისწავლეს დოღლაურის უძველესი ნამოსახლარი.

დაღმართის შემდეგ გადავდივართ მდ. ფცაზე და შევდივართ დაბა აგარაში. მარცხნივ, მდ. მტკვრის გაღმა, მოჩანს სამწევრისის ციხე, ციციშვილი-ფანასკერტელების რეზიდენცია და მცირე ზომის სამწევრისის VII ს-ის გუმბათიანი ტაძარი — ქართული არქიტექტურის მნიშვნელოვანი ნიმუში.

აგარა პატარა სამრეწველო დაბაა ქარელის რაიონში. აქ მოქმედებს შაქრის ქარხანა. ის თავიდან ადგილობრივ რაიონებში მოყვანილ შაქრის ჭარხლის ბაზაზე მუშაობდა. ამჟამად, ცენტრალური ამერიკიდან შემოტანილ ნედლეულზე მუშაობს. აგარის შემდეგ შევდივართ სოფ. გომში. მარცხნივ, მდ. მტკვრის გაღმა მოჩანს უძველესი სოფ. წრომი და წრომის შესანიშნავი ტაძარი, რომელიც აშენებულია VII ს-ში. იგი მნიშვნელოვანი საეტაპო ძეგლია. მარჯვნივ გზა მიემართება საჩხერისაკენ. აქედან საჩხერემდე 56 კმ-ია. ერთი ჩვენი საექსკურსიო მარშრუტი ამ მხარეში გადის. სოფ. გომში მოქმედებს სპირტის ქარხანა, რომელიც მუშაობს ადგილობრივი ნედლეულის და აგარის ქარხნის ნარჩენების ბაზაზე. მალე ხაშურში შევდივართ. ხაშური ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამაგისტრალო ქალაქია. იგი საქართველოს ცენტრში მდებარეობს, რამაც განსაზღვრა მისი სამაგისტრალო მნიშვნელობა. აქ დასახლება XIX ს-ის მეორე ნახევარში შეიქმნა. 1872 წლის ოქტომბერში აქ ჩამოდგა პირველი მატარებელი ფოთიდან. ამ პერიოდიდან იწყება ხაშურის აღზევება. ხაშურიდან გზა ორად იყოფა. ერთი სამხრეთ-დასავლეთით, მესხეთისკენ მიდის (აქაც მნიშვნელოვანი მარშრუტი გადის).

ჩვენ ჩრდილოეთისკენ ვუხვევთ და ქუთაისისკენ მივემართებით. გზად გავივლით კურორტ სურამს. სურამი კლიმატო-ბარნეოლოგიური კურორტია, განსაკუთრებით კარგი კლიმატური პირობებით. სურამს I ს-ში მოიხსენიებს რომაელი მოგზაური სტრაბონი. დაბის ტერიტორიაზე მდებარეობს მნიშვნელოვანი ისტორიული ციხე-სიმაგრე. ამ ციხეს მიუძღვნა ერთადერთი ნაწარმოები „სურამის ციხე“ დანიელ ჭონქაძემ. ციხის სიახლოვეს დგას XVI-

II ს-ის ეკლესია. სურამში მდებარეობს უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი. ის სიცოცხლის ბოლო წლებში აქ ცხოვრობდა და აქვე გარდაიცვალა. სურამიდან რიკოთისკენ ერთი სოფელი ჩუმალეთია დარჩენილი. აქ, გზიდან ნახევარ კმ-ში მდებარეობს XV ს-ის ტაძარი — იტრია.

რამდენიმე კმ-ის გავლის შემდეგ მივადგებით რიკოთის გვირაბს. ეს გვირაბი მთავარი დამაკავშირებელი მაგისტრალია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის. გვირაბი XX ს-ის 80-იან წლებში გაიყვანეს. მისი სიგრძე 1800 მეტრია. განსაკუთრებით დიდია ამ გვირაბის მნიშვნელობა ზამთრის პერიოდში, როცა ლიხის ქედი თოვლის საბურველით იმოსება და უღელტეხილი, რომლის სიმაღლე 997 მეტრია, გაუვალი ხდება. ლიხის ქედის და რიკოთის უღელტეხილის სიმაღლე ზღვის დონიდან არც ისე დიდია, მაგრამ ეს ქედი მართობულად არის მიმართული შავი ზღვიდან წამოსული ნოტიო ჰაერის მასების მიმართ. მის კალთებზე ჩერდება ეს მასები, განიცდის კონდენსაციას და ზამთარ-ზაფხულ დიდი რაოდენობის ნალექი მოდის, ლიხის ქედის დასავლეთ თუ აღმოსავლეთ კალთებზე. აქ გაყვანილმა გვირაბმა გარკვეულწილად გააადვილა მოძრაობა ზამთრის დიდთოვლობის დროს. ისტორიულად დიდი იყო ლიხის ქედის სტრატეგიული თუ სამიმოსვლო მნიშვნელობა. კონსტანტინე გამსახურდია წერდა: რომ ჰქონოდა ლიხის ქედის მსგავსი ბუნებრივი ზღუდე მთლიან საქართველოს აღმოსავლეთიდან, ქვეყანა უკეთ იქნებოდა დაცული. მართლაც, ლიხის ქედმა დიდი სამსახური გაუწია დასავლეთ საქართველოს. ქედი მთლიანად გაუვალი ტყეებით არის დაფარული. აქედან კოლხეთი იწყება თავისი ნოტიო კლიმატური პირობებით და განუმეორებელი კოლხური ფლორით და ფაუნით. ლიხის ქედი საქართველოს თითქმის ორ თანაბარ ნაწილად ყოფს. ამიტომ ამ ქედს საქართველოს ეკვატორი შეიძლება ვუწოდოთ. გავიარეთ გვირაბი და დასავლეთ საქართველოში აღმოვჩნდით. აქ ბუნება უფრო მრავალფეროვანი და ლამაზია.

დაღმართში ვეშვებით მდ. რიკოთულას ხეობით. რამდენიმე კმ-ის გავლის შემდეგ მდ. რიკოთულა უერთდება მდ. ძირულას. აქვე ზემო იმერეთის სოფლებს გავივლით — ხევი, ხუნევი, ვერტ-ეკიჭალა, ბორითი, უბისა. ჩვენგან მარცხნივ გამოჩნდა უბისის ტაძარი, რომელიც IX ს-ში აშენდა გრიგოლ ხანძთელის მიერ. XII საუკუნეში მიემატა ოთხსართულიანი კოშკი — თავდაცვის ნაგებობა, ხოლო XIV ს-ში ეს ტაძარი ბრწყინვალე ფრესკებით მოიხატა. უბისის ფრესკები ქართული ფრესკული ხელოვნების მეორედ აღზევების ხანას განეკუთვნება. პირველი დიდი აღზევება XI-I-XIII სს-ის საზღვარზე მოხდა. ფრესკების ავტორი ცნობილია. ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულია ოსტატი დამიანე. უბისაში ისტორიულ პირთა ფრესკები არ შემოგვრჩა. რელიგიური სცენებიდან გამოირჩევა აღმოსავლეთის კონქში გამოსახული მაცხოვარი და საიდუმლო სერობის სცენა. უბისის ფრესკები მხატვრული დონით ყველაზე მაღალი რანგის ფრესკებს შორის თავსდება — ატენის სიონი. ბერთუბანი, ყინწვისი, კიმოთეს უბანი, საფარა, ვარძია, ბეთანია — აი, ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი ფრესკები.

ვუახლოვდებით კოლხეთის დაბლობს. ჩვენგან მარჯვნივ, მდ. ყვირილას და ძირულას შეერთების კუთხეში, აღმართულია უძველესი ციხე-სიმაგრე — შორაპანი. მის შესახებ პირველი ცნობა მოგვაწოდა სტრაბონმა I ს-ში. შორაპანი დიდი ციხე-სიმაგრე იყო და ასრულებდა საზღვრის როლს კოლხეთისა და იბერიის სამეფოებს შორის. შორაპან-სკანდის ციხეზე გადიოდა საზღვარი და არა ლიხის ქედზე. შორაპანიდან ორიოდე კმ-ში ზესტაფონია. ჩვენი გზა ქალაქს შუაში გაუვლის. ზესტაფონი, ისევე როგორც ხაშური, XIX ს-ში შეიქმნა და მნიშვნელოვანი სამრეწველო ქალაქია. მის სამრეწველო მნიშვნელობას, ძირითადად, ჭიათურის მარგანეცი განსაზღვრავს. ზესტაფონის ფეროს ქარხანა ფეროშენადნობად აქცევს ჭიათურის მარგანეცის გარკვეულ ნაწილს. დიდი ნაწილი ნედლეულის სახით გადის საზღვარგარეთ. ამჟამად მიმდინარეობს ამ საწარმოთა გაყიდვა-გასხვისების პროცესი, რაც

დიდად საწყენია. ზესტაფონში ადგილობრივად მოყვანილი ყურძნის ბაზაზე მოქმედებს ღვინის ქარხანა. დასავლეთ საქართველოს ეს კუთხე, კახეთის შემდეგ, მევენახეობის მთავარი რეგიონია.

ზესტაფონიდან კოლხეთის დაბლობზე გავდივართ. ლეგენდარული კოლხეთის დაბლობი, რომელიც აქედან ამფითეატრივით ეშვება შავი ზღვისკენ, ჩრდილოეთიდან კავკასიონის ქედი საზღვრავს, აღმოსავლეთიდან — ლიხის ქედი, სამხრეთიდან — აჭარა-იმერეთის ქედი, დასავლეთიდან — შავი ზღვა. ქუთაისამდე კოლხეთის დაბლობს მივუყვებით. ზესტაფონიდან ხუთიოდე კმ-ში გზა მარჯვნივ გადაუხვევს თერჯოლა-ტყიბულის მიმართულებით. ამ გზით გავდივართ შესანიშნავ საექსკურსიო მარშრუტზე: შაორის ქვაბული — ნიკორწმინდა — ბარაკონი — უწერა — შოვი.

ჩვენი გზა მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირს მიუყვება. რამდენიმე კმ-ის გავლის შემდეგ, მარჯვნივ, არგვეთის ქედის კალთებზე მდებარეობს სოფ. ზემო სიმონეთი — სამშობლო ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დავით კლდიაშვილისა, რომლის წინაპრები აქ, მესხეთიდან, სოფ. კლდიდან გადმოსახლდნენ. ისინი მესხი თავადები — შალიკაშვილები იყვნენ. გვარი იმ სოფლის მიხედვით დაიწერეს, საიდანაც გადმოსახლდნენ. სოფელში მოქმედებს დავით კლდიაშვილის მუზეუმი.

რამდენიმე კმ-ში, სოფ. ნახშირღელესთან, მარჯვნივ გზა მიემართება ისევ არგვეთის ქედის მიმართულებით. აქ 7 კმ-ში, სოფ. ნავენახევის განაპირას მდებარეობს ცნობილი კარსტული მღვიმე — ნავენახევი. მღვიმე ხელმისაწვდომია მნახველთათვის. მისი სიგრძე 250 მეტრს აღემატება. ადვილი გასავლელია, შემკულია მღვიმური ფორმებით — სტალაქტიტები, სტალაგმიტები, კოლონები, კალციტის ნაღვენთი. ყველა ნაღვენთი მღვიმური ფორმა ქათქათა თეთრი ფერისაა, რაც მღვიმეს მიმზიდველ სანახავად აქცევს. ნახშირღელიდან გადავდივართ მდ. ჭიშურაზე, რომელიც კარსტული მღვიმის ფსკერიდან ამოდის — ისე, თითქოს ჭიდან ღვრებაო. სავარაუდოდ, მისი სახელწოდება ჭიდან უნდა იყოს

წარმომდგარი.

მალე ქუთაისში შევდივართ. ქალაქის შესასვლელთან უნდა გადავიაროთ მდ. წყალწითელა, რომლის მარჯვენა ნაპირზე, გზისპირას მდებარეობს იაზონის გამოქვაბული. გადმოცემით, ამ გამოქვაბულში იმალებოდა არგონავტების ბელადი იაზონი. არგონავტების კოლხეთში მოგზაურობა მოხდა დაახ. 3300 წლის წინ. როგორც ჩანს, მაშინ კოლხეთს ყავს მეფე და აქვს თავისი დედაქალაქი — ქვათაია (ქუთაისი). ქუთაისი მართლაც მსოფლიოს უძველესი ქალაქია, რასაც არქეოლოგიური გათხრებიც ადასტურებენ. ის ჯოველთვის დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში და თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში (X-XII სს) იყო გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი. XV ს-ის ბოლოდან გახდა იმერეთის სამეფოს დედაქალაქი, ვიდრე XIX საუკუნის დასაწყისამდე. რუსეთთან შეერთების შემდეგ ქუთაისი იყო გუბერნიის ცენტრი. საბჭოთა პერიოდში ქუთაისი, თბილისის შემდეგ, საქართველოს მეორე ქალაქი იყო, მოსახლეობის რაოდენობით, სამრეწველო და კულტურული მნიშვნელობით. ქალაქის ტერიტორიაზე საფიჩხიას მხრიდან შევდივართ. აქ, მარჯვენა მხარეზე, XIX ს-ში აშენებული საფიჩხიას ტაძარი მდებარეობს. შევდივართ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. მოედნის შუაგულში აღმართულია დავით აღმაშენებლის ქანდაკება (ავტ. მერაბ ბერძენიშვილი). მოედნის ირგვლივ მნიშვნელოვანი შენობებია. მათ შორის, XX ს-ის არქიტექტურის მნიშვნელოვანი ქმნილება — ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის შენობა. მოედნიდან, რუსთაველის გამზირის გავლით გადავდივართ საქართველოს ყველაზე წყალუხვ მდინარეზე — რიონზე. მოპირდაპირე მხარეს გალაქტიონ ტაბიძის ძეგლია აღმართული. მარჯვნივ ვუხვევთ და უქიმერონის მთაზე ავდივართ. ამ მთაზე აღმართულია ქუთაისის ციტადელი — უქიმერონის ციხე და ბაგრატის ტაძარი. უქიმერონის ციხე ისევე ძველია, როგორც ქუთაისი. აქედან შესანიშვავი ხედი იშლება: აღმოსავლეთით საფიჩხიას ეკლესია, ჩრდილო-აღ-



მოსავლეთით — მწვანე ყვავილას ეკლესია, რომლის ეზოში ქუთაისის პანთეონი მდებარეობს. ამ მიმართულებით მოჩანს რიონჰესის კაშხალი და შორს გელათი; ჩრდილოეთით კავკასიონის ქედის თოვლიანი მწვერვალები; უფრო ახლოს ხვამლის მთა, რომლის გამოქვაბულებში გადამალა სახელმწიფო საგანძური ქართველმა მეფემ მონღოლების შემოსევის დროს; სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით კოლხეთის დაბლობი და ქ. ქუთაისია გაშლილი. ქუთაისში უმთავრესი ისტორიული ძეგლი ბაგრატის ტაძარია. ეს ტაძარი ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და მოცულობით ყველაზე დიდია. იგი შენდებოდა ბაგრატ III-ის მეფობის დროს და სახელიც მეფე ბაგრატის საპატივსაცემოდ ეწოდა. ჩრდილოეთის ფასადის წარწერიდან ირკვევა, რომ მშენებლობა დამთავრდა 1003 წ. 2003 წ. ქართველმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა ბაგრატის ტაძრის ათასი წლის იუბილე. ტაძრის გუმბათი XVII საუკუნეში, კერძოდ, 1691 წ. ააფეთქეს თურქებმა. ჩატარებული აქვს სარესტავრაციო სამუშაოები, მაგრამ გუმბათი აღუდგენელია. ტაძარი გარედან შესანიშნავი ჩუქურთმებით ხასიათდებოდა, რაზეც კედლებიდან ჩამოქცეული ლოდები მეტყველებს. ტაძრის გეგმა ტიპიური ტრიკონქია. დასავლეთის მკლავი კუთხოვანია, დანარჩენი მკლავები მრგვალი აფსიდებია. როგორც ჩანს, ტაძრის იატაკი მოზაიკისგან იყო გაკეთებული. სავარაუდოა, რომ მოზაიკით იყო მოხატული აღმოსავლეთის აფსიდის კონქი. ბაგრატის ტაძარი რიგით მეორეა საქართველოს ოთხ ყველაზე დიდ სამეფო ტა-

ძარს შორის (ოშკი — 976 წ., ბაგრატი — 1003 წ., ალავერდი — 1025 წ., სვეტიცხოველი — 1010-1029 წწ).

ბაგრატის ტაძრიდან გეზი სათაფლიისკენ ავიღეთ. ის ქუთაისიდან 12 კმ-ში მდებარეობს. გზიდან მარცხნივ ახალი ქუთაისია გაშენებული, სადაც მდებარეობს ქუთაისის ავტოქარხანა — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საწარმო. აქვე, დაბლა მოჩანს მერაბ ბერძენიშვილის „დიდების" მემორიალი. წყალტუბოს გზიდან მარჯვნივ ვუხვევთ და შევუყვებით სათაფლიის გზას. ვიდრე სათაფლიის ნაკრძალის შესასვლელთან მივალთ, მარცხნივ, ზედ გზის პირას, სათაფლიის ერთ-ერთი მღვიმის, სათაფლია IV-ის შესასვლელი იხსნება. ნაკრძალის ჭიშკრის გავლის შემდეგ, გზიდან მარჯვნივ დინოზავრის ნაკვალევია. სათაფლიის დინოზავრის ნაკვალევი ბუნების უნიკალური მოვლენაა. აქ გეოლოგიურ წარსულში, როცა ზღვის სანაპირო იყო, ეს მიდამოები (50-60 მლნ. წლის წინათ) დინოზავრებმა გაიარეს და დატოვეს ფეხის ანაბეჭდი. ნაკვალევი ორ ფენაზეა წარმოდგენილი, რაც უნიკალური შემთხვევაა მსოფლიოში.

ჩავდივართ კარსტული ძაბრის ფსკერზე, სადაც კლდის გულში იხსნება სათაფლია I-ის შესასვლელი. აქვე, მარცხნივ, ხვრელში ჩადის პატარა ნაკადი, რომლის გაყოლებით შეაღწია მღვიმეში 1925 წ. ცნობილმა ნატურალისტმა პეტრე ჭაბუკიანმა. 1925 წლიდან იწყება ქართული სპელეოლოგიის ისტორია. შევდივართ მღვიმეში და პირველ დარბაზში, მღვიმის გაფართოებულ ნაწილში ვჩერდებით სტალაქტიტებთან. ბუნებრივი გამოქვაბულ-მღვიმეები შეიძლება იყოს კარსტული წარმოშობის, ანუ წყალში ხსნადი ქანების წყლისგან გახსნის შედეგად გაჩენილი. კარსტული მღვიმეებისთვის დამახასიათებელია მღვიმური ფორმების, სტალაქტიტების, სტალაგმიტების, კოლონების, ჰელექტიტების, ტრავერტინის, ქვის ყვავილების წარმოქმნა. ამ დარბაზში წარმოდგენილია სტალაქტიტები, რომელიც ჭერიდან იზრდება, ჭერზე შემოღწეული წყლის წვეთის აორთქლების შედეგად ჭერზე დარჩე-

ნილი კალციტის ხარჯზე. ის ნაწილი კალციტისა, რომელიც წვეთთან ერთად იატაკზე ეცემა, სტალაგმიტს აჩენს. დროთა განმავლობაში ხდება სტალაქტიტის და სტალაგმიტის შეერთება, რითაც წარმოიშობა სტალაგნატი ანუ კოლონა. ეს დარბაზი საკმაოდ მდიდარია მღვიმური ფორმებით. შემდეგ დარბაზში დიდი ტრავერტინის-ნაღვენთის მთაა შემორჩენილი. მდიდარია მღვიმური ფორმებით შემდეგი გალერეებიც. სათაფლია I-ის საერთო სიგრძე 900 მეტრზე მეტია. ჩვენ გავიარეთ ორასიოდე მეტრი. დანარჩენი ჯერ აუთვისებელია მნახველისათვის. სათაფლია I-სა და IV-ს გარდა ამ ტერიტორიაზე კიდევ ორი მღვიმეა — სათაფლია II-III და სათაფლიას ჭა. ძალზედ საინტერესოა სათაფლია II, თუნდაც იმიტომ, რომ 1970 წ. სამეცნიერო ექსპედიციის დროს ერთ-ერთ გალერეაში, პატარა აუზში შევამჩნიე მღვიმური თევზები. ისინი ისე სწრაფად გაუჩინარდნენ, დაჭერა ვერ მოვახერხე. საერთოდ, მღვიმური თევზები ბუნებაში ძალიან იშვიათობაა. სახელწოდება სათაფლია დაკავშირებულია გარეულ ფუტკართან, რომელიც სათაფლიის კლდეებზე იკეთებდა ბუდეს.

სათაფლიიდან ისევ ქუთაისში ვბრუნდებით და გეზი გელათისკენ ავიღეთ, მივყვებით დავით აღმაშენებლის და გელათის ქუჩებს. მარცხნივ, ახლოს XIX ს-ის მწვანე ყვავილას ტაძარი გამოჩნდა, მის ეზოში ქუთაისის პანთეონი მდებარეობს; ავივლით აღმართს და ვეშვებით წყალწითელას ხეობაში. შორს, ლამაზ ადგილას გამოჩნდა გელათის დიდებული ანსამბლი — ყველა ქართველისთვის საოცნებო ადგილი. ქუთაისიდან გელათამდე 11 კმ-ია. გადავკვეთეთ ტყიბულის რკინიგზის ხაზი, გადავიარეთ მდ. წყალწითელა, მარცხნივ ძველი ხიდის ნანგრევები გამოჩნდა. აქ ჩვენი გზა ორად იყოფა — მარცხნივ გზა ტყიბულისაკენ მიემართება. ამ გზით საბჭოთა პერიოდში გადიოდა ჩვენი ერთი საინტერესო სამდღიანი საექსკურსიო მარშრუტი. აი, მისი მოკლე კონტურები: თბილისი-გორი-ცხინვალი-ერწოს უღელტეხილი-კვაისა-ონი-უწერა-შოვი-ბარაკონი-ნიკორწმინდა-ნაქერალას უღელტეხილი-ტყიბული-გე-



ლათი-ქუთაისი-ბაგრატი-სათაფლია-წყალტუბო-ზესტაფონი-ხაშური-გორი. ეს წრიული მარშრუტი გორში იკვრება.

გზა აღმართს მიუყვება. მარცხნივ ნანგრევები გამოჩნდა. აქ ქსენონი მდებარეობდა. ქსენონი სამკურნალო დაწესებულებას ეწოდება. აქვე შევდივართ გელათის ეზოში.

გელათი მრავალმხრივი კომპლექსია. აქ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაგებობაა. შექმნილია XII ს-ის დასაწყისში — 1106 წელს. მშენებლობა დაიწყო დავით აღმაშენებლის ხელმძღვანელობით. მშენებლობა დამთავრდა 1130 წ.. დემეტრე პირველის მეფობის დროს. ამ პერიოდში აშენდა აკადემიის შენობა და დიდი, ღვთისმშობელი მარიამის მიძინების სახელზე აგებული ტაძარი. ამავე ეპოქისაა შესასვლელი კარიბჭე, სადაც დაკრძალულია დავით მეფე, თავის ანდერძის მიხედვით. წმინდა გიორგის, წმინდა ნიკოლოზის ტაძრები უფრო გვიან, XIII ს-შია აგებული. შევდივართ გვიან, XVII ს-ში გაჭრილი შესასვლელიდან. ეს შესასვლელი კომპლექსის აღმოსავლეთში მდებარეობს. დავითმა დააწესა გელათი ქართველ მეფეთა საძვალედ — „ამიერიდან გელათი იყოს საძვლედ შვილთა ჩემთა". გელათის აღმოსავლეთის შესასვლელის მარცხენა მხარეს მდებარეობს წმ. გიორგის ტაძარი. იგი ლამაზი ჩუქურთმებით ხასიათდება. ტაძრის ინტერიერი მშვენიერი ფრესკებით არის მოხატული. აქვე, კომპლექსის — მონასტრის ცენტრში მდებარეობს მთავარი ტაძარი, რომელიც გამოირჩევა მასიურობით. მისი სიმაღლე 39 მ-ია, სიგრძე — 30 მ., ხოლო სიგანე — 21 მ. ამ ტაძრის ფასადები ჩუქურთმებით ნაკლებად არის შემ-

კული. სამხრეთის კედელში მასიური ლოდია ჩასმული, რომელზეც მოწყობილია მზის საათი. აქვე. მარცხნივ სამხრეთის კარიბჭეა, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. მონასტრის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს აკადემიის შენობა. მისი გადახურვა ჩამონგრეულია. აკადემიის შენობის შესასვლელი ოთხი ლამაზი სვეტით არის წარმოდგენილი. აკადემიის შენობასა და დიდ ტაძარს შორის წმინდა ნიკოლოზის ორსართულიანი ტაძარია. უფრო ჩრდილოეთით სამრეკლო, რომლის ქვეშ გადმოედინება წყარო. მთავარი სანახავი მაინც დიდი ტაძრის ინტერიერია. ტაძარი შიგნიდან მთლიანად ფრესკებით არის შემკული. შესასვლელში XII ს-ნის ფრესკებია შემორჩენილი. ტაძრის გუმბათის ყელში XIV ს-ის ფრესკებია. უფრო დაბალ რეგისტრში – XVI-XVII სს-ის ფრესკები. ყურადღებას იპყრობს ჩრდილოეთ კედლის პირველ რეგისტრში წარმოდგენილი ისტორიულ პირთა ფრესკები. აქ გამოსახულია დიდი დავით აღმაშენებელი. ფრესკა XVII ს-შია შესრულებული. გელათში ყველაზე ღირებული მაინც მსოფლიოში ცნობილი მოზაიკაა, რომელიც აღმოსავლეთის აფსიდის კონქშია წარმოდგენილი. სურათის ცენტრში გამოსახულია ღვთისმშობელი მარიამი ყრმა ქრისტეთი ხელში. მისგან მარჯვნივ და მარცხნივ მთავარანგელოზი მიქაელი და გაბრიელია მოზაიკითვე მოხატული. გელათის მოზაიკას სპეციალისტები შედევრალურ ხელოვნებად მიიჩნევენ. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გელათი იყო ქართველ მეფეთა საძვალე. სავარაუდოდ, აქ იყო დაკრძალული თვით თამარ მეფე. როგორც ფიქრობენ, ის შემდგომში გადაასვენეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. გელათში დაკრძალულია დავით აღმაშენებლის აღმზრდელი და გენიალური დიპლომატი გიორგი ჭყონდიდელი. გელათიდან შთაბეჭდილებებით დატვირთული ვბრუნდებით. გზად ვეწვევით მოწამეთას მონასტერს.

მოწამეთას მონასტერი ქუთაისიდან შვიდ კილომეტრში მდებარეობს, მდ. წყალწითელას ხეობაში – ულამაზეს მეანდრაზე. აქ ეკლესია და სხვა შენობები XIX ს-ში აიგო და ხელოვნების მნიშ-

ვნელოვან ნიმუშს არ წარმოადგენს, მაგრამ ბუნებამ ისეთი სილამაზე დააბერტყა ზედ, რომ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. VIII ს-ში, მურვან ყრუს შემოსევის დროს, მდ. რიონის პირას არაბებმა წამებით მოკლეს ქართველი გმირები, ძმები კონსტანტინე და დავითი. აქედან ქუთაისელებმა ისინი გადაასვენეს წყალწითელას ხეობაში და ამ ადგილას დაკრძალეს. ამის შემდეგ ამ ადგილს მოწამეთა ეწოდა, ხოლო მდინარეს დალვრილი სისხლისგან — წყალწითელა. მეცნიერები თვლიან, რომ მიედინება რა ოკრიბის წითელმიწა ნიადაგებზე, მდინარე წვიმების დროს წითელ შეფერილობას იღებს. სწორედ ამიტომ ეწოდა წყალწითელა. აქ პირველი ტაძარი ბაგრგატ III-მ ააშენა XI ს-ში. მონასტრის მოპირდაპირე მხარეს, წყალწითელას მარცხენა ნაპირზე მდებარეობს საკაჟიას ცნობილი მღვიმე, სადაც არქეოლოგების მიერ, პირველად საქართველოს ტერიტორიაზე, აღმოჩენილი იქნა პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების კვალი.

ჯვარი – საგურამო – მცხეთა – – შიომღვიმე – ქვათახევი



საექსკურსიო ობიექტი, რომელიც ამ მარშრუტზე მდებარეობს, მცხეთის ჯვარია. ჯვარი მაღალ კლდოვან მთაზეა აღმართული. ის აღმოსავლეთიდან გადაჰყურებს ქ. მცხეთას. სახელწოდება ჯვარი იმ ჯვარისგან წარმოდგა, რომელიც ამ ადგილას აღიმართა IV ს-ში დასავლეთით, ქართლის მთაზე აღმართული არმაზის კერპის დასათრგუნავად. აქვე, დიდი ტაძრის გვერდით VI ს-ის პატარა ტაძარია ნაშენები. ის რამდენიმე ათეული წლით ადრე აშენდა დიდ ტაძართან შედარებით და ერთ-ერთი ყველაზე ძველი გუმბათიანი ტაძარია. დიდი ტაძარი 586-604 წწ-შია აშენებული. აღნიშნული ხის ჯვარი ტაძრის გეომეტრიულ ცენტრში მოექცა და მასზე დაშენდა ტაძარი. მცხეთის ჯვრის ამ დიდმა ტაძარმა დააგვირგვინა არქიტექტურაში ცენტრალურ-ჯვარგუმბათოვანი მშენებლობის მიმდინარეობა. მას წინ უსწრებდა: მცირე ჯვარი, შიომღვიმის გუმბათიანი ტაძარი, საეტაპო ტაძარი – ნინოწმინდა, რომელთა მცდელობა საბოლოოდ დახვეწა და დააგვირგვინა მცხეთის ჯვარმა. ტაძარს სამივე სამშენებლო კომპონენტში ახალი სიტყვა აქვს ნათქვამი. აქვს შესანიშნავი ფასადები, საინტერესო რელიეფური გამოსახულებებით. სამხრეთის კარის თავზე გამოსახულია ჯვრის ამაღლების კომპოზიცია. უფრო მაღლა ვედრების პოზაში მყოფი ჯვრის მშენებელი უნდა იყოს. აღ-

მოსავლეთის ფასადზე გამოსახულნი არიან ერისმთავრები: ადარნესე, სტეფანოზი, გუარამი, უძველესი ქართული წარწერით; გეგმაში დახვეწილი ტეტრაკონქია; ცენტრში აღმართულია ზემოთ დასახელებული ჯვარი, ხოლო ტაძრის გეგმა ქრისტიანული რელიგიის ემბლემის — ჯვრის ფორმას იძენს. ოთხივე მხარეს აფსიდებია. აფსიდების შეერთების ქიმებზე დამხობილია გუმბათი, რომლის ცენტრიდან დაშვებული შვეული გადაკვეთს ჯვრის ხაზების გადაკვეთის ადგილს, რაც თავის მხრივ ხის ჯვარს ემთხვევა. ინტერიერში არ შემოგვრჩა ფრესკები, მხოლოდ გუმბათის კამარაში არის მცირედი ფრაგმენტი. სავარაუდოდ, აღმოსავლეთის აფსიდის კონქი მოზაიკით უნდა ყოფილიყო მოხატული, რასაც მცირე ჯვარში მოზაიკის ფრაგმენტის არსებობაც ადასტურებს. ეს დიდებული ტაძარი თითქმის პირვანდელი მდგომარეობით შემოგვრჩა.

აქედან შესანიშნავი ხედი იშლება. დასავლეთით ქ. მცხეთაა — უძველესი დედაქალაქი. 4-5 ათასი წლის წინ აქ ადამიანი ცხოვრობდა, რასაც სამთავროს ველზე აღმოჩენილი ნამოსახლარი ადასტურებს. ჩვენს ერამდე IV ს-ში მცხეთა იბერიის დედაქალაქი გახდა და ჩვენი ერით VI ს-მდე ეკისრა ეს ფუნქცია. ქალაქი ძირითადად მდ. მტკვრის და მდ. არაგვის შეერთების კუთხეში მდებარეობს. სამხრეთ-დასავლეთიდან აღმართულია კლდოვანი სერი, რომლის აღმოსავლეთით მდებარეობდა ქალაქის მთავარი ციტადელი ბაგინეთი, ხოლო დასავლეთში არმაზის ციხე. აღმოსავლეთით, მალალ მთაზე ზედაზნის ციხეა, ჩრდილოეთში — ბებრის ციხე, ჩრდილო-დასავლეთი — შიომღვიმის მონასტერი. ქალაქის ცენტრში სვეტიცხოველი და სამთავროს ტაძრებია. ჩამოთვლილი ტაძრების საფუძველზე 1987 წ. მცხეთა ქალაქ-მუზეუმად გამოცხადდა, რომელიც „იუნესკომ" აიყვანა აღრიცხვაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მსოფლიო მნიშვნელობის ქალაქ-მუზეუმია.

ჯვრიდან საგურამოში მივემგზავრებით. გზად წიწამურს გავივლით. აქ, ილიას მკვლელობის ადგილზე აღმართულია ობე-

ლისკი. ილიას მკვლელობა 1907 წ. 30 აგვისტოს მოხდა, ხოლო ობელისკი 1937 წელს აღიმართა, ილიას დაბადებიდან ასი წლის იუბილეზე. მალე საგურამოს სახლ-მუზეუმში ვართ. ილია ჭავჭავაძე ყვარელში დაიბადა 1837 წ. საგურამოდან მისი მეუღლე ოლღა გურამიშვილი იყო. XIX ს-ის 80-იან წლებში ილიამ აა-შენა ეს სამსართულიანი სახლი, რომელშიც მისი მუზეუმია მოწ-ყობილი. მუზეუმში გამოფენილია ილიას ცხოვრების ამსახველი ნივთები. აქ ინახება ის ტყვია, რომლითაც მოკლეს ილია. საგუ-რამოდან მცხეთაში მივდივართ.



ზემოთ უკვე ვსაუბრობ-დით მცხეთის უძველეს ის-ტორიაზე და მის ძეგლებზე. ახლა დავათვალიეროთ ისინი ადგილზე. შევდივართ სამთავ-როს ეზოში. ცენტრში აღ-მართულია დიდი ტაძარი, აქ-ვეა სამრეკლო, ქალთა მონას-ტრის შენობა (მონასტერი მოქმედია) და პატარა გუმბა-თიანი ტაძარი, რომელიც სა-ვარაუდოდ VI ს-ის უნდა იყოს. ყველა ეს შენობა გა-ლავნით არის შემოზღუდული. გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ემალებოდა წარმართებს ნინო კაბადოკიელი. აქვე, გა-ლავნის ჩრდილოეთით სამთავროს უძველესი ნამოსახლარია, სა-დაც არქეოლოგებმა მცხეთის ტერიტორიაზე უძველესი ნამოსახ-ლარი გათხარეს. აქვე იყო ერისმთავრის სასახლე. აქედან წარმოს-დგა სახელწოდება სამთავრო. სამთავროს ძეგლებიდან უპირველე-სი ნაგებობა დიდი ტაძარია. აშენებულია 1045 წლამდე. თემურ-ლენგის შემოსევების დროს გუმბათი მოანგრიეს, რომელიც XV ს-ში აღადგინეს, მაგრამ XI ს-ში აგებულთან შედარებით მდარე

ხარისხის გამოვიდა. რაც შეეხება XI ს-ის ფრონტონებს, აქ განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრეთი და ჩრდილოეთი ფასადები. ჩუქურთმა უმაღლესი ოსტატობით არის შესრულებული. ტაძრის ინტერიერში შემორჩენილია XVI-XVII სს-ის ფრესკები. ამ ტაძარში დაკრძალულია პირველი ქრისტიანი მეფე მირიან III და დედოფალი ნანა.



შემდეგი საქართველოს უდიდესი ტაძარი, კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენცია (XX ს-მდე) სვეტიცხოველია. ამ ადგილას პირველი ტაძარი IV ს-ის I ნახევარში აშენდა ხისგან. ლეგენდის მიხედვით ერთ-ერთი სვეტი ვერ აღმართეს. დილით რომ ნახეს, სვეტი აღმართული იყო — სვეტი გაცხოვლდა (გაცოცხლდა) და აქედან წარმოდგა სახელწოდება სვეტიცხოველი. ხის ტაძრის ნაშთები აღმოჩნდა გათხრების დროს. ვახტანგ გორგასლის დროს, V ს-ში, აშენდა დიდი დარბაზული სტილის ეკლესია, რომელიც დაინგრა არაბების შემოსევის დროს X ს-ში. 1010-1029 წწ-ში კათალიკოს მელქისედეკის ინიციატივით აშენდა ეს დიდი გუმბათიანი ტაძარი. მივდივართ ჩრდილოეთის ფასადთან, სადაც კონსტანტინე არსუკიძის მარჯვენაა გამოსახული. ის მაღლა, დიდი სარკმლის თავთან მოჩანს. შემორჩენილია ლეგენდა, თითქოს სამთავრო ოსტატმა ააშენა, სვეტიცხოველი კი შეგირდმა. შეგირდის ნაგები უფრო დიდი და ლამაზი გამოდგა. შეშურდა ეს ოსტატს და მეფესთან დაასმინა, რის შემდეგაც შეგირდს მარჯვენა მოკვეთეს. ამ ლეგენდის გამოყენებით კონსტანტინე გამსახურდიამ შექმნა თავისი შე-

სანიშნავი რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“. ლეგენდა — ლეგენ-
დად, ხოლო მეცნიერები ფიქრობენ, რომ აქ, ჩრდილოეთის ფა-
სადზე გამოსახული მარჯვენა, გონიოთი ხელში აღშენების სიმ-
ბოლოა და არა მოკვეთილი მარჯვენა. ისეთ ტოლერანტულ ქვე-
ყანაში, როგორიც საქართველო იყო, ასეთი რამ არ შეიძლება
მომხდარიყო. ეს რომ ასეა, დავაკვირდეთ მშენებლობის თარიღებს:
სვეტიცხოველი 1010-1029 წწ-ში აშენდა, სამთავრო 1045 წ. —
უფრო გვიან, ვიდრე სვეტიცხოველი. ლეგენდის მიხედვით, სამთავ-
რო უფრო ადრე აშენდა. აქ კი პირიქითაა. ისევე, როგორც სამ-
თავროში, აქაც გუმბათი მოინგრა თემურ-ლენგის შემოსევის
დროს და XV ს-ში აღდგა. ტაძარს შემოვუვლით და დავრწმუნ-
დებით მის სიდიადეში. მთელი ფასადები ჩუქურთმით არის და-
ხუნძლული. შეიძლება მას ჩუქურთმების მუზეუმი ვუწოდოთ.
ტაძრის სიგრძე 52 მეტრია, სიგანე — 29 მ., სიმაღლე — 49 მ.
ეს გუმბათიანი გრანდიოზული ტაძარი ინტერიერშიც საინტერე-
სოა. ტაძარში შემოგვრჩა გვიანი პერიოდის (XVII ს.) ფრესკები.
იატაკზე ჩანს IV ს-ის ხის ეკლესიის ნაშთები და V ს-ის ქვის ეკ-
ლესიის სვეტები. ცენტრში, ოდნავ მარჯვნივ, გაცხოველებული
სვეტის ადგილას აღმართულია ჯვარი. ძირში ნიშაა, სადაც გად-
მოცემით ის კვართია დაფლული, რომელიც ლონგინოს კარსნელ-
მა და გაიოზ მცხეთელმა ჩამოიტანეს გოლგოთიდან, სადაც აწა-
მეს ქრისტე. სვეტიცხოველი იყო ქართველ მეფეთა საძვალე. აქ
განისვენებს ვახტანგ გორგასალი, ერეკლე II, გიორგი XII და სხვა
მეფეები. ტაძრის ინტერიერში მცირე ზომის ტაძარია ჩაშენებუ-
ლი.

მცხეთიდან შიომღვიმეში მივემართებით. აქედან შიომღვიმემდე
12 კმ-ია. გზა აღმართს მიუყვება. მარცხნივ ქართლის მთა მო-
ჩანს. მასზე ნინოს სახელობის პატარა ეკლესიაა აღმართული. აქ-
ვე, მარცხნივ კალოუბნის ეკლესიაა, ხოლო შორს, ისევ მარცხნივ,
მთებს შორის მოჩანს არმაზის ციხე — უძველესი ციხე-სიმაგრე,
რომელიც დედაქალაქის უმთავრესი ციტადელი იყო. რამდენიმე

კმ-ის გავლის შემდეგ მივადგებით შიომღვიმეს. შორს მრავალი ხელოვნური თუ ბუნებრივი გამოქვაბული გამოჩნდა. ამ ადგილზე VI ს-ის შუა წლებში სამოღვაწეოდ ჩამოვიდა ერთ-ერთი ასირიელი მამათაგანი შიო.

ცამეტი ასირიელი მამის ჩამოსვლა საქართველოში უდიდესი რელიგიური და კულტურული მოვლენა იყო. ისინი აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაბინავდნენ და დაიწყეს ქრისტიანული და კულტურული მოღვაწეობა. მამა შიო აქ ჩამოვიდა და ბუნებრივ გამოქვაბულში ცხოვრობდა. შემდგომში გამოკვეთეს გამოქვაბულები. უფრო გვიან აქ აშენდა ერთ-ერთი უძველესი გუმბათიანი ტაძარი. ბევრად გვიან, XII ს-ში, დავით აღმაშენებლის მიერ აიგო დიდი ტაძარი. მისი გუმბათი ჩამოინგრა და ბაზილიკად გადააკეთეს. ორივე ტაძარში შემორჩენილია გვიანი პერიოდის (XIX ს.) ფრესკები. შიომღვიმეში დიდი სამეფო მონასტერიყ იყო. ვარაუდობენ, რომ აქ აკადემიაც არსებობდა. ეს აზრი ჭკუასთან ახლოს არის. დასავლეთ საქართველოში — აფხაზეთში გელათი აკადემია იყო. კახეთში იყალთოს, ქართლსაც ხომ სჭირდებოდა აკადემია. XII ს-ში, როცა შიომღვიმე გაფართოვდა, საჭირო შეიქნა დიდი რაოდენობის წყალი, რომელიც გამოიყვანეს კვერნაქის სერის გადაღმიდან, სოფ. სხალტბიდან. 4 კმ. სიგრძის გვირაბი გაჭრეს და მასში ჩაყრილი თიხის მილებით წყალი თვითდინებით მიეწოდა შიომღვიმეს. გუმბათიანი ტაძრის ძირში დაკრძალულია მამა შიო. საერთოდ, თითქმის ყველა ასირიელი მამა დაკრძალულია იმ მონასტერში, სადაც მოღვაწეობდა. აქვე სატრაპეზოს შენობაა შემორჩენილი.

ვბრუნდებით მცხეთაში. გზა მცხეთის ცენტრიდან თბილისის გზას მიჰყვება. მარცხნივ არსენას ძეგლია აღმართული, ელენე მაჩაბლის მიერ შესრულებული. აქვე, მარცხნივ გადიოდა უძველესი ხიდი, რომელსაც რომის სარდლის პომპეუსის პატივსაცემად პომპეუსის ხიდს უწოდებენ. ხიდი წყლის ქვეშ არის მოქცეული. როცა ზაჰესის წყალსაცავში წყალს გაუშვებენ და წყლის დონე

კლებულობს, ხიდი კარგად მოჩანს თავისი თაღებით. გადავდივართ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და გეზი დასავლეთისაკენ ავიღეთ. ორიოდე კმ-ში, მარჯვნივ არმაზის უბანი მდებარეობს. აქ II-III სს-ში იყო პიტიახშების რეზიდენცია. პიტიახში ირანის მეფის ნაცვალი იყო საქართველოში. შემორჩენილია მრავალი ნაგებობა, მათ შორის ცნობილი აბანო — იმ დროისათვის მაღალ დონეზე შესრულებული. ჩვენს ქვეყანაში, ბოლო არეულობის დროს აქ არსებული ისტორიული მუზეუმი ძლიერ შეიბღალა, ბევრი რამ დამტვრეული იქნა. მუზეუმიდან არმაზის ხევის ვიწრო ბილიკებით შეიძლება არმაზციხეზე ასვლა. მარჯვნივ გვრჩება „გმირთა ვარამის" ავტორის, ლევან გოთუას სახლი, რომლის ეზოშიც თავის ანდერძით არის დაკრძალული მწერალი. არმაზიდან ძეგვში შევდივართ. ძველი და სამეურნეო სოფელი. აქვე მარცხნიდან ჩამოდის პატარა მდ. ხეკორძულა. ხალხური გადმოცემით ხეკორძულიდან იყო კონსტანტინე არსუკიძე. ნათქვამს ხალხური ლექსიც ადასტურებს: „ხეკორძულას წყალი მისვამს, / მცხეთა ისე ამიგია. / დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, / რატომ კარგი აგიგია". ძეგვიდან ჩვენი გზა დასავლეთისკენ მიემართება. გავივლით ნიჩბისს, თვალადს, წინარეხს და შევდივართ კავთურას ხეობაში. აქ, გზიდან მარცხნივ მაღალაანთ ეკლესიაა. მაღალაანთ ეკლესია XII ს-ში არის აგებული. XV ს-დან მაღალაშვილებს ეკუთვნოდა და აქედან არის წარმომდგარი მისი სახელწოდება. გარედან შემოვლებული აქვს მცირე გალავანი. ეზოში სამრეკლო XVII ს-საა, რომლის პირველ სართულზე საგვარეულო საძვალი იყო მაღალაშვილების. ეკლესია, რომელიც XII ს-შია ნაშენები ხასიათდება ლამაზი ჩუქურთმით. აქედან, რამდენიმე ასეულ მეტრში აღმართულია კოშკი, რომელიც 1678 წ. აიგო.

ქვათახევი დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით, მდ. კავთურას ხეობაში მდებარეობს, კასპის რაიონში. ეს ეკლესია ერთი ყველაზე ტიპიური ნაგებობაა XIII ს-ის დასაწყისის ძეგლებს შორის — ფიტარეთი, ახტალა, წულრუღაშენი. ყველა ეს ძეგლი ლა-



შას მეფობის დროს არის აშენებული (1213-1222 წწ.). ტაძარს გააჩნია შესანიშნავი ჩუქურთმა — ის კარგად შემორჩა. ფრესკები საერთოდ აღარაა შემორჩენილი. ზოგიერთი მინაშენი XVII-XVIII სს-შია შესრულებული. XIX ს-შია აშენებული სამრეკლო. 1854 წელს ტაძარი კაპიტალურად შეკეთდა გიორგი XII-ის შვილიშვილის, იონა თარხან-მოურავის მიერ. შემოვლებული აქვს გალავანი. პირველად აქ ქალთა მონასტერყ იყო. XIV ს-ში თემურ-ლენგის ერთ-ერთი შემოსევის დროს უამრავი ადამიანი ჩახოცეს მონასტერში. ქვათახევი კავთურას ულამაზეს ხეობაში მდებარეობს. ის ტყეშია ჩაფლული. აქ კარგი პირობებია დასასვენებლად — ჩამოედინება პატარა ნაკადული. არის წყაროც. ეს ლამაზი გარემო და ისტორიული ძეგლები ტურისტული ცენტრის შექმნის საშუალებას იძლევა.

სამხედრო გზა – დარიალის ხეობა

სოფელ ნატახტარიდან ვიწყებთ სვლას ჩრდილოეთის მიმართულებით. როგორც ადრე აღვნიშნეთ, სახელი ნატახტარი მეფის ტახტის გამო ეწოდა. იქამდე სოფელს საფურცლე ერქვა. ნატახტარიდან ცენტრალურ მარშრუტს გამოეყო გზა დასავლეთის მიმართულებით. აქედან 5 კმ-ში სოფ. წილკანია, სოფლის ცენტრში აღმართულია გუმბათიანი ტაძარი. ეს ტაძარი წილკნელი ეპისკოპოსების რეზიდენციაა. VI ს-ში აქ ჩამოვიდა ერთ-ერთი ცამეტი ასირიელი მამათაგან – იასე წილკნელი. მისი მოღვაწეობის მთავარ საგანს შეადგენდა მთის კუთხეების მოქცევა ქრისტიანობაზე. წილკნის ეპარქიის სამწყსოში შედიოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის რაიონები – მთიულეთი, ფშავი, ხევსურეთი, ხევი.

წილკნის ახლანდელი ტაძარი XIX ს-ის სახით შემოგვრჩა. ადრე ნაშენები ტაძარი ძლიერ დაინგრა და XIX ს-ში გაძნელდა მისი აღდგენა. რაც ააშენეს, უსისტემოდ არის შესრულებული; შემოვლებული აქვს გალავანი. ტაძარში, როგორც წესი, შემორჩენილია იასე წილკნელის საფლავი.

წილკნიდან ორიოდე კმ-ში, დასავლეთის მიმართულებით, სოფ. ძალისია. აქ არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ იქნა II ს-ის ნამოსახლარი, რომელიც დიდი მცხეთის ერთი უბანი იყო. აღმოჩნდა სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობა, მათ შორის, აბანო. განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს მოზაიკის იატაკი, დიონისეს გამოსახულებით. ეს მოზაიკა მაღალ დონეზე შესრულებული ხელოვნებაა. მოზაიკური ხელოვნება ჩვენში მაღალ დონეზე იდგა, რაზეც მეტყველებს ჩვენი მოზაიკის ნიმუშები – ბიჭვინთა, წრომი, ბაგრატი, გელათი. ძალისი მათ შორის ყველაზე ძველია – II ს.

ძალისიდან მუხრანში შევდივართ. ეს ქართლში ყველაზე დიდი სოფელია. სოფელში მდებარეობს მუხრან-ბატონების XIX ს-ში

აშენებული სასახლე. უფრო ძველი ციხე-გალავანი და სხვა. მუხრანის საბატონო XVI ს-ში შეიქმნა. XVI ს-ში ქართლის სამეფოს ორჯერ შემოესია კახეთის მეფე ავ-გიორგი. პირველად 1512 წელს, როცა ალყა შემოარტყა ქსნის ციხეს. ციხის დაცვა მეფე დავით X-ის ძმას, ბაგრატს დაევალა. ავ-გიორგიმ ვერ აიღო ციხე. ბოლოს ღვინო შეუგზავნა დოქით ბაგრატს და შეუთვალა — მეფის ძე ხარ. დიდი ხანია ალყაში ხარ, ღვინო არ დაგილევია და მირთვიო. ბაგრატმა ღვინო უკან გამოუგზავნა და ციხის კედლებიდან ცოცხალი თევზიც გადააყარეს თავზე და შემოთვლა: ჩვენ საჭმელ-სასმელი ბევრი გვაქვს და ვერაფერს გვიზამო. ამის შემდეგ გიორგი დაბრუნდა კახეთში. მეორედ, 1513 წელს ხელახლა შემოესია. ბაგრატი სოფ. ძალისთან დაუხვდა, შეიპყრო ცოცხლად და ქსნის ციხეში თოკით მოახრჩო. ასე დამთავრდა ამ ბოროტი მეფის ორწლიანი მეფობა. ხალხმა სათანადოდ შეაფასა და ავ-გიორგი უწოდა. დამსახურების სანაცვლოდ, დავით X-მ ძმას, ბაგრატს მუხრანის ველი უბოძა და ამის შემდეგ შეიქმნა მუხრანის საბატონო. ბაგრატიონების სამ შტოს — ქართლის, კახეთის, იმერეთის მეოთხე, მუხრან-ბატონების შტოც შეემატა.

ვბრუნდებით სამხედრო გზაზე და ვაგრძელებთ სვლას არაგვის ხეობით. სოფ. მოსაქციელთან მდ. არაგვი მთებს შორის ექცევა და ამის შემდეგ ვიწრო ხეობაში მოედინება. სოფ. ბულაჩაურთან თიანეთისკენ მიმავალი გზა გადაუხვევს. ნატახტარი და ბულაჩაური ის სოფლებია, საიდანაც სასმელი წყალი მოედინება. ბულაჩაურის მაღლა მთაზე, სოფ. დავითის ზემოთ ეკლესიის ნანგრევებია. ამ ეკლესიაზე აღმოჩნდა უძველესი ქართული წარწერები, რომელსაც მკვლევარი რამაზ პატარიძე IV ს-ით ათარიღებს. ჩვენ არაგვის ხეობით ვაგრძელებთ გზას. ბულაჩაურის შემდეგ ისტორიული სოფ. ბოდორნაა. აქ, მარცხნივ, ქარაფის თავზე ბოდორნის სვეტია — ბუნების საინტერესო ძეგლი. იქვეა XVIII ს-ში აშენებული ხელოვნების ძეგლი — ბოდორნის გუმბათიანი ტაძარი. შორს, წინ მოჩანს ბოდორნის გამოქვაბულები — ადგილობ-

რივი მოსახლეობის სახიზარი ომიანობის დროს. აქედან ბაზალეთის ტბამდე რამდენიმე კმ-ია. ბაზალეთი დასვენების ადგილია. იგი მომავალში ტურისტულ კერად უნდა იქცეს. მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

ჟინვალის ჰიდროელექტრო სადგურს მივადექით. აქ XX ს-ის მეორე ნახევარში დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო, რომლის მშენებლობასაც ბევრი უარყოფითი და დადებითი მხარე ჰქონდა, მაგრამ დადებითმა გადასძლია და აშენდა ეს მძლავრი სადგური (კაშხალამდე მარჯვნივ სამასი არაგველის ობელისკია აღმართული). ამ სადგურის დადებითი მხარეებიდან უნდა აღინიშნოს იაფი ელექტროენერგია, ქ. თბილისისა და ქ. რუსთავის დამატებითი წყლით მომარაგება. ჟინვალის კაშხალი 90 მ. სიმაღლისაა, სარკის ფართობი 20 კვ.კმ-ს აღწევს. წყალსაცავი ვრცელდება როგორც მთიულეთის არაგვის, ასევე ფშავის არაგვის ხეობაში. გადავდივართ ფშავის არაგვის ხეობაში. აქედან ჩარგალამდე 30 კმ-ია. მარცხნივ ისტორიული ქ. ჟინვალი იყო. მივუყვებით ფშავის არაგვის ხეობას. პირველი სოფ. გუნდრუხია — ფშავის სოფელი. ლამაზი ხეობით გავივლით სოფ. მაღაროსკარს. ამ სოფელში სწავლობდა ვაჟა-ფშაველა. მალე ვაჟას წყაროს მივადექით. ამ ძვირფასი სამკურნალო წყლის ჩამოსხმა წარმოებს და დასალევად გამოიყენება. ამასთანავე, ხასიათდება მნიშვნელოვანი სამკურნალო თვისებებით. ვაჟას წყაროდან გზა პირდაპირ ხევსურეთისაკენ მიემართება. ჩვენ მარჯვნივ ვუხვევთ და სამი კმ-ის გავლის შემდეგ მივადგებით ვაჟას სახლ-მუზეუმს. აქ, 1861 წ. დაიბადა დიდი და ბუმბერაზი მწერალი და აქ აიდგა ფეხი. ამ სახლში ყველაფერი უბრალო და ჩვეულებრივია. ვაჟას მთელი შემოქმედება თავისი ხალხის, ფშაველების ცხოვრების აღწერას ეძღვნება. მწერალი გარდაიცვალა 54 წლის ასაკში, 1915 წელს.

ვბრუნდებით ჟინვალში და მივუყვებით მთიულეთის არაგვის ხეობას. აქედან ანანურამდე 5-6 კმ-ია. გზა ტყიანი მთის ფერ-

დობს მიუყვება აღმა. შემდეგ დაბლა ვეშვებით, გადავდივართ საქართველოს ყველაზე მაღალ ხიდზე და მივადგებით ანანურის უნიკალურ კომპლექსს. ანანური გვიანი ფეოდალური პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია. ციხე-სიმაგრე XVI ს-ში არაგვის ერისთავების რეზიდენციად იქცა. პირველად დაბლა უბანი აა-შენეს, ხოლო XVII ს-ში მაღლითა, დიდი კომპლექსი აშენდა. ამ კომპლექსში რამდენიმე ნაგებობა უნდა გამოვყოთ: კარგად შემორჩენილი გალავანი, რომლის დასავლეთ ნაწილში ჩაშენებულია კოშკი შეუპოვარი, აქვეა ღვთაების გუმბათიანი ტაძარი, აღმოსავლეთ ნაწილში სამრეკლო, ხოლო სამხრეთ კედელში შესასვლელი კარიბჭე. კომპლექსის ცენტრში ღვთისმშობელ მარიამის მიძინების სახელზე აგებული დიდი ტაძარია. ტაძარს დასავლეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ ფასადებზე მრავალფეროვანი ჩუქურთმა აქვს. შიგნით შემორჩა მცირე რაოდენობის ფრესკები. ტაძარი ტიპიური ჯვარგუმბათოვანია. აშენდა 1689 წ. ბევრი ბრძოლა გადაიტანა ამ ციხემ. 1743 წ. გაუქმდა არაგვის საერისთაო და ანანური სამეფოს დაუქვემდებარეს. ამ შესანიშნავი ძეგლის მშენებლის ვინაობა — ბარძიმი გაცხადებულია სამხრეთის ფასადის წარწერებში. ანანურიდან ფასანაურისკენ მივემართებით. სოფ. ციხისძირში, მარცხნიდან საკმაოდ დიდი ციხის ნანგრევები დაგვყურებს. ფასანაურამდე 25 კმ-ია. ფასანაურის შესასვლელთან თეთრი და შავი არაგვი შეერთვიან. ეს კურორტი 1000 მეტრზე მდებარეობს ზღვის დონიდან. ხასიათდება წყნარი, სტაბილურ-კლიმატური პირობებით. ირგვლივ მთის ფერდობები დაფარულა ფოთლოვანი ტყეებით. ფასანაურის მიდამოებში და თეთრი არაგვის ხეობაში რამდენიმე მინერალური წყაროა, რომელთა გამოყენება მომავლის საქმეა. დაბის ბოლოში, მარცხნიდან პატარა მდ. ჩაბარუხი ჩამოედინება. სათავისკენ თუ ავყვებით, ჩანჩქერი შეგვხვდება, რომელიც დამსვენებელთა საყვარელი ადგილია.

ფასანაურიდან თეთრი არაგვის ხეობას მივუყვებით. ირგვლივ ცად აზიდული მთებია. რამდენიმე პატარა სოფელს გავივლით და

სოფ. მლეთას მივადგებით. სოფლის ცენტრში პატარა გუმბათიანი ტაძარი ლომისაა. მთის უპირველესი სალოცავი, მთავარი ლომისა ჩვენგან დასავლეთით, ლომისის ქედზე მდებარეობს. პატარა დარბაზული ტაძარი აქედან კარგად მოჩანს. აქ მოსული მლოცველების ის ნაწილი, რომელსაც მთავარ ლომისისთვის აქვს შეთქმული, მთაზე ადიან და იქ კლავენ შესაწირავს. მდ. არაგვზე გადავდივართ, შევუყვებით ჯვრის უღელტეხილის სერპანტირებს. სერპანტირი მიხვეულ-მოხვეულ გზას ეწოდება. ამ უღელტეხილის მლეთი, გუდაურის მონაკვეთი საინჟინრო ტექნიკის უნიკალური ნიმუშია. ის XIX ს-ის შუაწლებში შენდებოდა და 1864 წ. ოფიციალურად გაიხსნა. რადგან გზის მშენებლობას აწარმოებდნენ სამხედრო უწყებები და ასევე სამხედრო დანიშნულების იყო, სამხედრო გზა ეწოდა. გზიდან მარცხნივ, მდ. არაგვზე საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ჩანჩქერი მოჩანს. 2000 მეტრზე ვიმყოფებით — სამთო-სათხილამურო ცენტრში, გუდაურში. ბოლო პერიოდში გუდაური ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან სპორტულ ცენტრად იქცა. იგი მეტოქეობას უწევს ბაკურიანს. აქ, ზამთრის პერიოდში უამრავი ხალხი ჩამოდის თბილისიდან გასაჯანსაღებლად. ბაკურიანთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ მთის ფერდობები არ არის შემოსული ტყეებით — შიშველია. შიშველ ადგილას უფრო იოლია სათხილამურო ტრასის მოწყობა. მეორე ის, რომ გუდაური თბილისიდან უფრო ახლოს არის — ასიოდე კილომეტრი. აქედან გამომდინარე, თბილისთან კავშირი ადვილად ხდება.

გუდაურიდან ისევ მაღლა-მაღლა მივდივართ. მარცხნივ, დასავლეთით გამოჩნდა ყელის ვულკანური პლატო და მისი ვულკანური კონუსები, რომელთაც ხალხი შვიდ ძმას უწოდებს. როგორც იქნა, მივადექით ჯვრის უღელტეხილს (2395 მ. ზღვის დონიდან). უღელტეხილი ყველაზე დაბალი ადგილია კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში. ეს გზა იყო უმთავრესი სამიმოსვლო გზა საქართველოდან ჩრდილოეთის ქვეყნებისაკენ. უღელტეხილი გა-

დის მყინვარული ტროგის ფსკერზე. ტროგი რელიეფის ფორმაა, რომელსაც ქმნის მყინვარი. ტროგულ ხეობებს ფერდობები ციცაბო აქვს, ფსკერი — ბრტყელი. ჩვენს შორეულ წინაპრებს აქ ქვის ჯვარი დაუდგამთ. აქედან წარმოდგა მისი სახელწოდება.

ულელტესილიდან ბაიდარის ხეობაში ვეშვებით. მტკვრის აუზიდან თერგის აუზში გადავინაცვლეთ. აქეადან საქართველოს ისტორიული კუთხე ხევი იწყება. ამ მიდამოებში ნარზანის ტიპის მინერალური წყალი ამოდის. ის სასიამოვნო დასალევია, მაგრამ მისი სამეურნეო გამოყენება არ ხდება, მხოლოდ გამვლელ-გამოვლელი თუ დალევს. მალე ხევის პირველ სოფელს, კობს მივადექით. აქ, ჩვენგან მარცხნივ, მდინარე თერგი მოედინება. აქედან სათავემდე თერგის ხეობას თრუსოს ხეობას უწოდებენ. კობში მცირე გუმბათიანი ტაძარია. სოფლის განაპირას ციხის ნანგრევია. აქედან ყაზბეგამდე რამდენიმე ისტორიული სოფელი მდებარეობს: ვარდისუბანი; სიონი (სათავდაცვო კოშკით); არშა, სადაც X ს-ის ეკლესიაა შემორჩენილი — ყველაზე ძველი ხევში. არშაში მოიპოვება ანდეზიტის ქვა. მარჯვნიდან თერგს ერთვის მდ. სნო. სნოს ხეობის დასაწყისში სოფ. სნო მდებარეობს. ამ სოფელში 1933 წელს დაიბადა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

შევდივართ დაბა ყაზბეგში. მარცხნივ ხევის პატარძალი მყინვარწვერი გამოჩნდა. მისი სიმაღლე 5033 მეტრია. მყინვარის ფერდობზე აღმართულია XIV ს-ის გუმბათიანი ტაძარი — გერგეთის სამება. ეს ტაძარი ყველაზე მაღლა მდებარე ისტორიული ძეგლია ევროპაში — 2400 მეტრი. ტაძრის გვერდში დგას სამრეკლო. დაბა ყაზბეგი ხევის ისტორიული ცენტრია, ამჟამად — რაიონის ცენტრი. წარსულში მას სტეფანწმინდა ერქვა. დაბის ცენტრში დგას ალექსანდრე ყაზბეგის (ჩოფიკაშვილის) სახლ-მუზეუმი და ძეგლი. აქვე, ეზოშია იგი დაკრძალული. მუზეუმი მდიდარია ალ. ყაზბეგის ცხოვრების ამსახველი ექსპონატებით. მწერალი დაიბადა 1848 წელს და გარდაიცვალა 1894 წელს. მუზეუმის ექსპონატებიდან უნდა გამოვყოთ ის ჯაჭვი, რომელიც ბეთ-

ლემის ქვაბიდან ჩამოიტანეს. ბეთლემის არსებობა ლეგენდასავით იცოდნენ ხევში. მას ყურადღება მიაქცია ილია ჭავჭავაძემ პოემა „განდეგილში“ — „უწინდელ დროში ღვთისა მოსავთა / გამოუკითხავთ მუნ მონასტერი / და ამ ნაპრალში შეთხრილ ღვთის ტაძარს / ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი“. 1948 წელს მთასვლელთა ჯგუფი უცნობი გზით ადიოდა მყინვარწვერზე და შემთხვევით მის ფერდობზე შეამჩნიეს გამოქვაბული. გამოიკვლიეს იგი და აღმოჩნდა, რომ აქ ცხოვრობდნენ განდეგილები. ისინი ქვაბში ჯაჭვის კიბით ადიოდნენ.

ყაზბეგიდან მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზე გადავდივართ. ვუახლოვდებით დარიალის ხეობას. დარი სპარსულად კარს ნიშნავს, ხოლო ალანები ოსების წინაპრები იყვნენ. დარიალის კანიონი ბუნების უნიკალური ძეგლია. ასობით მეტრის შვეული კლდეების ძირში მიედინება. მდ. თერგი მოუსვენარი და მუდამ მებრძოლი — „მოძრაობა და მოძრაობა არის შენი სიცოცხლის არსი, ჩემო თერგო“. დიახ, თერგის მოძრაობამ შექმნა ეს უდიდე-



სი კანიონი, მილიონობით წლის განმავლობაში. კანიონის მარცხენა მხარეს აღმართულია დარიალის ციხე — საქართველოს მთავარი დამცველი ჩრდილოეთიდან. მას განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდნენ: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე. თუ დარიალი მტკიცედ იყო დაცული, საქართველოს ზურგი მაგარი ჰქონდა.

საერთოდ, კავკასიონის ქედი შეიძლება ჩაითვალოს ქართველი ერის გადამრჩენლად. ეს ბუნებრივი სიმაგრე ბურჯად ედგა ჩვენს ერს ჩრდილოეთიდან. რომ არა ბუნებრივი ზღუდე, ძნელი სათქმელია, სად გაიბნეოდა ჩვენი ხალხი. დარიალის ციხიდან შევდივართ ხეობის ყველაზე ვიწრო ზოლში, სადაც გადის საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. საზღვრიდან ვლადიკავკაზამდე ოციოდე კმ-ია. ოთხი სოფელია დარჩენილი, რომლებიც ისტორიულად საქართველოს სოფლები იყო — ზემო და ქვემო ლარსი, ჩმი, ბალთა. ბალთასთან გადიოადა საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი. ეს რომ ასეა, ხალხში გავრცელებული გამოთქმაც ადასტურებს: „ერთი — ალთას, ერთი — ბალთას". ალთა საქართველოს უკიდურეს სამხრეთშ პროვინციაში, ბასიანში მდებარეობს. ის ყველაზე სამხრეთი სოფელი იყო, ხოლო ბალთა ყველაზე ჩრდილოეთი. „ერთი — ალთას, მეორე — ბალთას" ნიშნავს ერთიმეორისგან ძალიან დაშორებულ რაიმეს.

იგოეთი — ნოსტე — ერთაწმინდა — რკონი

Ოგოეთიდან ლეხურის ხეობით მივემართებით. მარჯვნივ, მაღალ მთაზე აღმართულია სასიგნალო კოშკი — კლდემაღალა. ქ. კასპში შევდივართ. ის უძველესი ქალაქია. მას იმ ანტიკვარული ქალაქების გვერდით მოიხსენიებენ, როგორიცაა: მცხეთა, უფლისციხზე, ურბნისი. ქალაქის ცენტრში აღმართულია მერაბ ბერძენიშვილის გამოქანდაკებული გიორგი საკაძის შესანიშნავი ძეგლი. გიორგი საკაძე ხომ ამ კუთხის მკვიდრი იყო. კასპიდან დასავლეთისკენ მივემართებით, მტკვარს მივყვებით. სოფ. მეტეხთან, სამხრეთისკენ ვუხვევთ, მტკვარზე გადავდივართ და მთებისკენ მივემართებით. მეტეხი ისტორიული სოფელია. სოფლის ცენტრში აღმართულია XII ს-ის დიდი გუმბათიანი ტაძარი. მიუხედავად სიდიდისა, ძეგლი არქიტექტურულად არ არის ღირებული ძეგლი. ტაძრის გუმბათის ყელი დეფორმირებულია, არც მნიშვნელოვანი ჩუქურთმა გააჩნია. ინტერიერი მოკლებულია ღირებულ ფრესკებს. მეტეხიდან დასავლეთით მდებარეობს სოფ. ხოვლე — ქართლის თავადების, ჯავახიშვილების რეზიდენცია. აქ XII-XIV სს-ში ჯავახეთიდან თორელთა ერთი შტო გადმოვიდა საცხოვრებლად. ჯავახეთის გამო ჯავახიშვილებად დაეწერნენ. ხოვლე სამშობლოა დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის. სოფელში მოქმედებს მისი მუზეუმი.

მეტეხიდან გზა აღმართს შეუყვა. ჩვენ გზაზე დიდი და ისტორიული სოფ. ახალქალაქია. XVII ს-ში ქართველმა მეფეებმა პატარა ქალაქად აქციეს. ახალქალაქიდან სოფ. ახალციხეში ავდივართ, რომელსაც მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე გააჩნია. ეს ციხეც XVII ს-ში აშენდა და სოფელსაც ახალციხე ეწოდა ისე, როგორც ახალქალაქს. ახალციხიდან ნოსტეში ავდივართ. სოფლის თავზე კოშკია აღმართული. აქვეა საკაძეთა ნამოსახლარი. ეს ადგილები ქართლის მეფეებმა საკაძეებს უბოძეს დამსახურებისათვის და ისინიც აქ დამკვიდრდნენ. მათი ადრინდელი საცხოვრისი



იყო სოფ. ფენი, მდ. ტანას ხეობაში. განსაკუთრებით დაწინაურდა ეს გვარი დიდი მოურავის გიორგი საა-კაძის მოღვაწეობის შემდეგ. დიდი მხედართმთავარი დაიბადა 1580 წელს. მისი მცდელობა ქვეყნის ერთიანობის აღდგენისა, უშედეგოდ დამთავრდა. 1626 წელს გვიან შემოდგომაზე დამარცხდა მეფე თეიმურაზთან ბაზალეთის ომში, რის შემდეგაც თურქეთში გადაიხვეწა და 49 წლის ასაკში თურქეთში მოკლეს. ნოსტედან გადავდივართ ერთაწმინდაში. სოფლის ცენტრში დგას XII ს-ის შესანიშნავი ტაძარი, რომელიც წმ. ესტატეს სახელზე არის აგებული. მისი ფასადები ხასიათდება ლამაზი ჩუქურთმით. ერთაწმინდის ტაძარი საა-კაძეთა საძვალე იყო, სადაც განისვენებენ ამ გვარის წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ აქ განისვენებს გიორგი საა-კაძის ვაჟის პაატას თავი, რომელიც მამის ღალატის გამო დასაჯა ირანის მბრძანებელმა შაჰ-აბასმა. ერთაწმინდიდან მდ. თეძამის ხეობაში ვეშვებით. აქედან რკონამდე 25 კმ-ია. გზად ისტორიული სოფ. ჩაჩუბეთი გავიარეთ. სოფელში შემორჩენილია ისტორიული ძეგლი. თეძამის ჭალას მივუყვებით. იქ, სადაც თეძამი მკვეთრ მოსახვევს აკეთებს, მაღლა, მთის ფერდობზე აღმართულია დიდი განზომილების ციხე, რომელსაც თეძამის ციხეს უწოდებენ. ჩვენ აქედან ფეხით მივყვებით რკონის წყალს. დაახლოებით ერთი კმ-ის გავლის შემდეგ მივადექით რკონის მონასტერს. რკონის მონასტერი რთული კომპლექსია, სადაც რამდენიმე ნაგებობაა — IX ს-ის მცირე ტაძარი,

XI ს-ის მოზრდილი დარბაზული ტაძარი. ორივე ტაძარი ხასიათდება შესანიშნავი ჩუქურთმით. მაღლა ფერდობზე აღმართულია XV ს-ის სამრეკლო. მონასტრიდან 200-300 მეტრში მდებარეობს XII ს-ის ერთმალიანი ხიდი, რომელიც კარგად არის შემორჩენილი. საერთოდ, რკონი და მისი შემოგარენი უღრანი, ძირითადად წიწვიანი ტყეებით არის დაფარული. ხეობაში, რომელშიც წყალუხვი მდინარე მოედინება, კარგი კლიმატური პირობებია და საუკეთესო საკურორტო ტურისტულ-რეკრიაციულ ზონას წარმოადგენს. მომავალში დიდი პერსპექტივაა, რომ ჩამოყალიბდეს კარგი გამაჯანსაღებელი კერა.

გორი – ატენი – უფლისციხე



ზემოთ ქ. გორზე გაკვრით იყო საუბარი. ამჯერად ქალაქის ტერიტორიაზე ვიმყოფებით და უკეთ გავეცნოთ. ქალაქის ცენტრში, ბუნებრივ გორაზე, რომელსაც ტონთიოს უწოდებდნენ (ტონთიო ოქროს მთაა), აღმართულია ციხე. მის ჩრდილოეთ კედელთან არქეოლოგების მიერ აღმოჩენილია ძველი კედელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, რომლებიც ორი ათას წელზე მეტი ხნისაა. გორის ციხე, როგორც ყველა ციხე-სიმაგრე, შემდგომ პერიოდშიც განიცდიდა აღდგენა-შეკეთებას. ეს გრანდიოზული ციხე განსაკუთრებილ ყურადღებას იმსახურებს დასავლეთის მხრიდან. აქ საფეხურებიანი ცხრაკარა შესასვლელია. საერთოდ, ცხრა ერთეული ციფრების ყველაზე დიდი ციფრი სიმრავლის სინონიმი იყო ძველ საქართველოში – ცხრა წყარო, ცხრა მუხა, ცხრაკარა, ცხრაკლიტული და სხვ. გორის ციხის ცხრაკარიანი შესასვლელის დასავლეთით აღმართულია ელგუჯა ამაშუკელის გამარჯვების მემორიალი მზეჭაბუკის ქანდაკებით. ციხის აღმოსავლეთში მდებარეობს სახლი, სადაც 1879 წლის 21 დეკემბერს დაიბადა იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი) და იქვეა მისი სახლ-მუზეუმი, სადაც მრავალი უნიკალური ნივთია, სტალინის ცხოვრებას რომ ასახავს. გავდივართ სკვერში, რომლის გავლის შემდეგ ქალაქის მთავარ მოედანზე შევდივართ. მოედანზე დგას სტალინის ძეგლი. ეს ერთადერთი ძეგლი ამ ბუმბერაზი კაცისა

გორელებმა გადაარჩინეს. ქ. გორი ყველაზე დიდი დასახლებაა შიდა ქართლში. აქ მოსახლეობის რაოდენობა 60 ათასს აღემატება. გორის რაიონი ჩვენი ქვეყნის მთავარი მეხილეობის რაიონია. ქალაქში მოქმედებს დიდი საკონსერვო ქარხანა.

გორის შემდეგ სოფ. ხიდისთავში შევდივართ. ეს ერთ-ერთი უძველესი სოფელია საქართველოში, განთქმული თავისი ხილით — ატამი, ვაშლი, ბალი. ის მდებარეობს იმ ადგილას, სადაც მდ. ტანა შეერთვის მტკვარს. აქედან მარჯვნივ ავიღეთ გეზი — ატენის მიმართულებით. გორიდან ატენის სიონამდე 10 კმ-ია. ხიდისთავის შემდეგ ატენი იწყება. აქ, მარჯვნივ, ორიოდე კმ-ში სოფ. წედისია. სავარაუდოდ, ამ სოფელში ჩვენი წინაპრები ლითონს ადნობდნენ. ჭედვისგან წარმოდგა სახელი წედისი. სოფ. წედისი ზემო რაჭაშიც არის, სადაც რკინის მოპოვება და გამოდნობა წარმოებდა.

სოფ. ატენი მდ. ტანას ხეობაში მდებარეობს და რამდენიმე უბნისგან შედგება. აქ თბილი კლიმატური პირობებია და დიდია მზის რადიაცია, რადგან შედარებით სამხრეთით მდებარეობს. ამდენად, აქაური ხილი, ყურძენი და ბოსტნეული ტკბილი და გემრიელია. საქვეყნოდ ცნობილია ატენური ღვინის მაღალი თვისებები და გემო. ტანას ვიწრო ხეობაში მრავალი ტერასაა შექმნილი. ტერასები ირწყვება ტანადან გამოყვანილი არხებით. სოფლიდან მარცხნივ, მთის თხემზე აღმართულია უძველესი ციხე ვერე. მარჯვნივ, ასევე კლდის თხემზე ატენის ციხეა აღმართული. ციხე კარგადაა შე-



მონახული. ისევ მარცხნივ IX ს-ის მცირე გუმბათიანი ტაძარია. აქვე მთავრდება სოფელი და მარცხნივ, წინა პლანზე გამოჩნდა დიდებული ატენის სიონი. ტაძარი შემაღლებულ კლდოვან ბორცვზე მდებარეობს, მდ. ტანას მარცხენა ნაპირზე. ატენის სიონი ე.წ. კლასიკური პერიოდის მნიშვნელოვანი ძეგლია. აგებულია VII ს-ის I ნახევარში. იგი ძალიან ემსგავსება მცხეთის ჯვარს. აქ გუმბათის დოლი უფრო მასიურია. ფრონტონები ისევე, როგორც ჯვარზე, საინტერესო რელიეფური სცენებით არის შემკული, თუმცა ისინი, ჯვრისგან განსხვავებით, უსისტემოდ არის განლაგებული. აქ მრავლად არის ლაპიდალური წარწერები. ტაძრის ინტერიერში შემორჩა XI ს-ის ძალიან მნიშვნელოვანი ფრესკები. ისინი ნაწილობრივ დაზიანებულია. საინტერესოა დასავლეთის აფსიდის ფრესკები, სადაც ისტორიული პირებია გამოსახული. განსაკუთრებით საინტერესოა სამხრეთის აფსიდის მხატვრობა. აქ, აღმოსავლეთის მხარეზე ერთი ყველაზე ღირებული ქართული ფრესკაა, სადაც ხარების სცენაა გამოსახული. ამ ფრესკის კუთხეში წარწერებია, რომელზეც ლექსის სტროფია. სავარაუდოდ, ეს ყველაზე ძველი ნიმუშია ჰიმნოგრაფიისა. სახელწოდება ატენი ტანასთან არის კავშირში.

ატენიდან ხიდისთავში ვბრუნდებით. აქედან აღმოსავლეთის მიმართულებით მივდივართ უფლისციხეში. სოფ. ქვახვრელთან, მარცხენა მხარეს, მტკვრის გადაღმა გამოჩნდა უფლისციხე. ეს უძველესი კომპლექსი შორიდანვე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ახლად აშენებული ხიდით გადავდივართ მტკვრის მარცხენა ნაპირზე და ორიოდე კმ-ის გავლის შემდეგ მივადგებით უფლისციხეს.ს

უფლისციხე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძველი გამოქვაბულთა კომპლექსია. ბოლო პერიოდის არქეოლოგიური გათხრები ადასტურებს, რომ აქ ადამიანი დამკვიდრდა 2800-3200 წლის წინ. მკვეთრად შეიმჩნევა ანტიკური კულტურის კვალი. მეცნიერების ვარაუდით უფლისციხე მცხეთამდე დედაქალაქის მოვალეობას ასრულებდა. მაშინ, როცა მეფობა არ იყო და ქვეყანას მა-

მასახლისი მართავდა, უფრო გვიან IX-X ს-ში საქართველოს მთავარი ნაწილის, ქართლის დედაქალაქის მოვალეობას ასრულებდა. XI ს-დან ეცემა მისი მნიშვნელობა. ამ კლდეში გამოკვეთილი ქალაქის დიდი მნიშვნელობა განსაზღვრა ცენტრალურ გზებზე მისმა მდებარეობამ. აქ გადიოდა დიდი აბრეშუმის გზა. კომპლექსი გამოკვეთილია მესამეული პერიოდის ქვიშაქვებში.

ეს ქანები შედარებით ადვილი დასამუშავებელია, სამაგიეროდ, ადვილადაც ინგრევა. უფლისციხე წარმოადგენდა ციხე-ქალაქს. მას სამხრეთიდან და დასავლეთიდან მაღალი კლდოვანი ქარაფი გაუყვება, რომლის სიმაღლე 10 მეტრამდეა, ზოგან მეტიც. აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან 8-10 მ. სიმაღლის ხელოვნური ჭრილი გაუყვება. ამდენად, ქალაქი მიუწვდომელია მომხდური მტრისათვის. ქალაქის ტერიტორიაზე, რაც მაშინდელ ქალაქს ჭირდებოდა, ყველა სახის ნაგებობაა. სამხრეთიდან, სადაც გვირაბი ამოდის, მდ. მტკვრიდან, ჩრდილოეთის გვირაბამდე ვრცელდება ქალაქის ცენტრალური ქუჩა, რომელიც ორ ნაწილად ყოფს ქალაქს — უფრო დიდი დასავლეთი ნაწილი და მცირე აღმოსავლეთი ნაწილი. სამხრეთის გვირაბი მდ. მტკვარს უკავშირდება. როგორც ჩანს, წარსულში მტკვარი ფარავდა გვირაბს და მისი არსებობა გასაიდუმლოებული იყო. შემოსევის დროს მტკვრის წყლით საზრდოობდა ქალაქის მოსახლეობა. ჩრდილოეთის გვირაბიდან აბრეშუმის საქარავნო გზა შედიოდა. ქალაქის ტერიტორიაზე მდებარეობდა წარმართული ტაძარი, რომელიც შემდგომში ქრისტიანულ ტაძრად გადაკეთდა. აქვეა სამეფო დარბაზი.

როგორც ზემოთ ვთქვით, უფლისციხე პერიოდულად დედაქალაქის მოვალეობას ასრულებდა. მარჯვნივ IX ს-ის ეკლესიაა აშენებული. ეს ეკლესია კლდეში კი არ არის გამოკვეთილი, არამედ ჩამონგრევის შემდეგ არის ჩადგმული ქალაქის ტერიტორიაზე. უფლისციხეში ნგრევა მრავალჯერ მოხდა, მიწისძვრების და შემოსევების შედეგად. შემორჩენილი იმის მესამედიც აღარ არის, რაც უნდა ყოფილიყო. სამეფო დარბაზთან ახლოს აფთიაქის ნაგებობაა. სამხრეთ ნაწილში შემორჩენილია ბაზრის ნაშთები. დასავლეთის შვეულ კლდეზე თეატრის ნაგებობაა წარმოდგენილი. უფლისციხის თეატრი უძველესია მსოფლიოში. აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის აზრით, თეატრი კლასიკური ბერძნული თეატრის თანადროულია. სახელწოდება უფლისციხე უფლოსთან ან უფალთან არის დაკავშირებული. უფლისციხე გორიდან აღმოსავლეთით 12 კმ-ში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს სოფ. ქვახვრელის მოპირდაპირედ.

სამთავისი – ყინწვისი – წრომი



სამთავისი მდებარეობს მდ. ლეხურას ხეობაში, თბილისიდან 50 კმ-ში, მთავარი ტრასიდან ერთ კმ-ში. აქაც VI ს-ში ერთ-ერთი ასირიელი მამათაგანი ისიდორე სამთავნელი დამკვიდრდა და პირველად მან შექმნა მონასტერი, რომელიც მთლიანი გალავნით არის შემოვლებული. სამხრეთის კედლის შიგნით პატარა ტაძრის ნანგრევებია. სავარაუდოა, აქ აშენდა პირველი ტაძარი. ჩრდილოეთის კედელში დატანებულია გვიანი პერიოდის, XVII ს-ის სამრეკლო, რომლის ქვეშ შესასვლელი კარიბჭეა. აქვე, ჩრდილოეთის კედელთან, სამთავნელი ეპისკოპოსის საცხოვრებლის ნანგრევებია. მთავარი ტაძარი გალავნის შუაგულშია აღმართული. ტაძარი ქართული არქიტექტურის ერთი ყველაზე ბრწყინვალე ძეგლია. ამ დიდი გუმბათიანი ტაძრის მშენებლობა დამთავრდა 1030 წელს. მშენებლობას, როგორც კედლის წარწერიდან ჩანს, ხელმძღვანელობდა ეპისკოპოსი ილარიონ ვაჩეს ძე ყანჩაველი. მკვლევარები ფიქრობენ, რომ იგივე იყო მშენებელი არქიტექტორი. დიდი ტაძარი ძლიერ დაინგრა თემურ-ლენგის შემოსევის დროს 1393 წელს. ამ დროს მოანგრიეს გუმბათი და ტაძრის დასავლეთი ნაწილი, რისი აღდგენაც მოხდა XV ს-ში. ამ პერიოდში აღდგენილი ნაწილი მშრალი და მდარე ხარისხისაა. აღმოსავლეთი ნაწილი შემოგვრჩა პირვანდელი სახით. ცალკე აღებული ეს ფასადი ითვლება მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლად. ეს ძეგლი მკითხველმა ადგილზე უნდა ნახოს, რომ აღიქვას ეს იგავ-მიუწვდომელი ხელოვნება. მთელი ეს ფასადი ჩუქურთმით

და სხვადასხვა არქიტექტურული ფორმებით უმდიდრესი ფასადია. ყველაფერი ერთიან სისტემაშია მოქცეული, ერთი სიმეტრიული ღერძის გარშემო. სამთავისის ამ ტაძრის ფასადები მდიდარია კედლის წარწერებით. განსაკუთრებით, დასავლეთი და აღმოსავლეთი ფასადები. ტაძრის ინტერიერში შემორჩენილია XVII ს-ის ფრესკები — ძირითადად, აღმოსავლეთის კონქში და გუმბათის ყელში. ჩრდილო-აღმოსავლეთის ეკვდერში შემორჩენილია ისიდორე სამთავნელის საფლავი, ხოლო ტაძარში — ამილახვართა საფლავები. XV ს-დან ეს გვარი, ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის, ქართველმა მეფეებმა დააწინაურეს, ამილახვარის თანამდებობა უბოძეს და ლეხურას ხეობაში დაამკვიდრეს. გვარი ამ თანამდებობიდან მიიღეს. მათი რეზიდენცია სამთავისიდან ორ კმ-ში მდებარე სოფ. ქვემოჭალა იყო. მთავარი ციხე კი მაღლა ქედზე მდებარე ცხვილოს ციხე. ეს საგვარეულო ისტორიული მესხეთის ერთი კუთხიდან, ჯავახეთიდან წამოსული ზედგენიძეთა გვარის ერთი შტო იყო.

აქედან ყინწვისში მივემართებით. სამთავისიდან ყინწვისისამდე დაახლოებით 50 კმ-ია. მივყვებით მთავარ ტრასას, რომელიც

აღვწერეთ ზემოთ. ქარელის გადასახვევიდან სამხრეთისაკენ გადავუხვიეთ. აქედან ყინწვისამდე 12 კმ-ია. მალე ხიდზე გადავდივართ და მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რაიონულ ცენტრ ქარელში შევდივართ. ქარელის რაიონი შიდა ქართლში მნიშვნელოვანი მეხილეობის რაიონია. ქარელიდან მოზრდილ სოფ. კეხისჯვარს გავივლით. ამის შემდეგ მდ. ძამის ხეობას მივყვებით სოფ. ყინწვისამდე, საიდანაც შევუყვებით აღმართს. სამიოდე კმ-ის გავლის შემდეგ ყინწვისის ტაძარს მი-

ვადგებით. ისტორიულად ეს მხარე XV ს-დან საციციანოს სახელით არის ცნობილი. ციციშვილ-ფანასკერტელები ისევე, როგორც ამილახვრები, მესხეთიდან, კერძოდ, ფანასკერტიდან წამოვიდნენ და აქ მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირს, ტაშისკარიდან ტანას ხეობამდე დაეუფლნენ. შემდეგში ჩამოყალიბდა ფეოდალური ერთეული საციციანო. ყინწვისი მათი მთავარი სალოცავი შეიქნა. ეკლესიის გალავანში შესასვლელს ლამაზი თაღოვანი კარიბჭე ამშვენებს. კარიბჭემდე, მარცხნივ ყამირი გზა მიემართება მაღლა, მთებისკენ. აქედან ხუთ კმ-ში მდებარეობს სარკის წმ. გიორგის გუმბათიანი ტაძარი. 6 მაისს აქ დღესასწაულ „სარკეობას" აღნიშნავენ. ხალხური გადმოცემით გერის წმ. გიორგი, სარკის წმ. გიორგი და ატოცის წმ. გიორგი ძმები იყვნენ.

შევდივართ ყინწვისის ტაძრის ეზოში. ტაძარს ორივე მხრიდან ხევები ჩაუდის. მათი შეერთების კუთხეში, ყინწვივით ბორცვზე, მდებარეობს ყინწვისი. ალბათ, აქედან წარმოსდგა მისი სახელწოდება. ეს დიდებული ტაძარი, ისევე, როგორც კიმოთეს უბნის ტაძარი, ბორჯომის ხეობაში მთლიანად აგურისგან არის ნაშენები XII ს-ში. ამდენი აგურის დამზადება იმ პერიოდის საქართველოს ეკონომიკურ სიძლიერეზე მეტყველებს. ყინწვივის უპირველესი ღირსება აქ შემორჩენილი ფრესკებია. ისინი 1205-1215 წწ-ში მოიხატა. ეს ფრესკები ყველაზე მაღალი რანგის ფრესკებად ითვლება. ფრესკების მთელი გამა ცისფერ ფონზეა შესრულებული. მეცნიერები ამას აღმოსავლური რენესანსის გამოვლინებად მიიჩნევენ. განსაკუთრებით ღირებულია ჩრდილოეთის ფასადის ცენტრში მოხატული ანგელოზის ფრესკა. აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის აზრით, ეს ფრესკა ანგელოზის ყველაზე მაღალი რანგის ფრესკაა მსოფლიოში. საინტერესო ფრესკები არის მოხატული აღმოსავლეთის კონქში, დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლებზე. სამხრეთის კედელზე მოხატულია ვაზირთუპირველესი ანტო გნოლისთავის ძე — მშენებლობის ორგანიზატორი. ჩრდილოეთის კედელზე მოხატულია გიორგი III, თამარი და გიორგი IV.

ტაძარს დასავლეთიდან XV ს-ის მინაშენი აქვს, რომელიც ასევე ფრესკებით არის მოხატული. აქ ფრესკები XV ს-ის შემდგომ არის შესრულებული. ორგანაა გამოსახული უდიდესი მკურნალი, კარაპადინის ავტორი ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, რომელიც ძველი საქართველოს ერთი უდიდესი მოაზროვნე და უგანათლებულესი ადამიანი იყო. ზაზა ფანასკერტელი აქ ამ მინაშენის მაკეტით ხელში არის მოხატული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ის ქტიტორია ამ მინაშენის. ყინწვისის ეზოში დგას X ს-ის დარბაზული ტაძრის ნანგრევები. შემორჩენილია ფრესკები. ყინწვისი ამჟამად მოქმედი ეკლესიაა.

ვბრუნდებით უკან. კეხიჯვართან მარცხნივ, მდ. ძამაზე გადავდივართ და მივადგებით სამწევრისის ტაძარს. ეს მცირე ზომის გუმბათიანი ტაძარი ქართული არქიტექტურის კლასიკური პერიოდის ძეგლია და აშენებულია VII ს-ში. არის ტიპიური ტეტრაკონქი და საკმაოდ მნიშვნელოვანი ძეგლია. აქვე დგას XVI ს-ის სამწევრისის ციხე, რომელიც ძამას შუაწელში მდებარე სოფ. ორთუბანთან ერთად, ციციშვილების რეზიდენცია იყო. სამწევრისიდან ახალსოფლის გავლით წრომში მივდივართ. ახალსოფელი არც ისე ახალია, როგორც მისი სახელი გვეუბნება. ის ალექსიძეთა სამკვიდრო იყო. ეს გვარი ციციშვილების განაყოფია და იყვნენ მცირე თავადები.

რამდენიმე კმ-ის გავლის შემდეგ უძველეს სოფ. წორმს მივადექით. წრომის ტაძარი კლასიკური პერიოდის ყველაზე დიდი ძეგლია, მცხეთის ჯვრის შემდეგ. აშენებულია 626-634 წწ-ში. ტაძარი, რომელმაც რამდენიმე ახალი სიტყვა თქვა ქართულ არქიტექტურაში. თუ აქამდე გუმბათი ტაძრის აბსიდის შვერილებს ებჯინებოდა, წრომში გუმბათი თავისუფლად მდგარ სვეტებს ეყრდნობა. ოთხი აბსიდიდან მხოლოდ აღმოსავლეთია დარჩენილი. დანარჩენი კუთხოვან მკლავებად იქცა. მკვეთრად შეიცვალა აღმოსავლეთის ფასადი. აქ, აფსიდის გვერდში გაჩნდა ორი ღრმა ნიშა, რომელიც გარედან მიგვანიშნებს, რომ ამ ნიშებს შორის სა-

კურთხევლის აბსიდია. ტაძრის დასავლეთი ფასადი გამოირჩევა მასიურობით. თითქოს ბოლნისის სიონის დასავლეთ ფასადს მოგვაგონებს. წრომის საკურთხევლის აბსიდის კონქში შემორჩენილი იყო მოზაიკა, რომელზეც ცენტრში მაცხოვარი იყო გამოსახული. მისგან აქეთ-იქით მთავარ ანგელოზები მიქაელი და გაბრიელია. ეს მოზაიკა ძლიერ შეიბღალა. იგი ჩამოხსნეს და თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გადაიტანეს. ტაძარი მდიდარია კედლის წარწერებით. აღსანიშნავია სამხრეთის ფასადის წარწერები, სადაც მოხსენიებულია იპატოსი — სტეფანოზი. იპატოსი ბიზანტირი ტიტულია, რომელსაც ანიჭებდნენ ქვეყნის მომავალ მმართველს. ამ წარწერიდან ირკვევა, რომ სტეფანოზის იპატოსობის დროს აშენდა ტაძარი. მისი იპატოსობა ემთხვევა 626-634 წწ-ს. ამის მიხედვით თარიღდება ტაძარი. ეს სტეფანოზი არის ქართლის მომავალი ერისმთავარი სტეფანოზ II. ტაძრის გუმბათი მონგრეულია. ბოლო დროს გუმბათი მოადგეს.

წრომიდან გზას ვაგრძელებთ დასავლეთის მიმართულებით. მარცხნივ სოფ ხცსი რჩება. სოფლის თავში შემორჩენილია XI ს-ის მნიშვნელოვანი ტაძრის ნანგრევები კარგი ჩუქურთმებით და კედლის წარწერებით. წარწერა გვაუწყებს, რომ ტაძარი აშენდა 1002 წელს. ხცისიდან გადავდივართ მტკვრის მარცხენა ნაპირზე და ოსიაურის ტყესთან ვუერთდებით ცენტრალურ გზას.

ხაშური – ვარძია

ხაშურიდან საშხრეთ-დასავლეთით ავიღეთ გეზი. რამდენიმე კმ-ის გავლის შემდეგ, მარჯვნივ კლიმატური კურორტი ქვიშხეთია. კურორტი ტყიანი მთის ფერდობზეა შეფენილი. ქვიშხეთის კლიმატი კარგ პირობებს ქმნის ბავშვების სამკურნალოდ. ასევე კარგია უფროსი ადამიანების დასასვენებლად. ქვიშხეთის შემდეგ საკურორტო ადგილი ტაშისკარია, რომლის შემდეგ ბორჯომის ხეობა იწყება, თავისი საკურორტო სისტემით. ტაშისკარი დიდი ისტორიული ომის ადგილია. აქ 1609 წელს გაიმართა მნიშვნელოვანი ომი თურქების წინააღმდეგ, რომელიც ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. თურქები ცხირეთის ციხის ასაღებად. იქ, სადაც ლუარსაბ II იმყოფებოდა, შიდა ქართლში შემოიჭრნენ მდ. თეძამის ხეობით. თავდადებულმა თევდორე ბერმა, რომელიც მეგზურად აიყვანეს, მტერს გზა აუბნია, რისთვისაც ხმლებით აკუწეს. სამაგიეროდ, მეფემ მოასწრო გახიზვნა. აქედან თურქები გორის ხიდს მიადგნენ – მარცხენა ნაპირზე უნდა გადმოსულიყვნენ, რაც ვერ შეძლეს, აყვნენ მტკვრის მარჯვენა ნაპირს და ტაშისკართან ფონზე გადავიდნენ. აქ დახვდათ ქართველთა ჯარი ვიორგი საკაძის სარდლობით. ომი ქართველთა გამარჯვებით დაგვირგვინდა. ომში გამარჯვების აღსანიშნავად, აქვე, გზის მარჯვენა მხარეს, ცაცხვების ჩრდილში გადაიხადა საკაძემ ნადიმი.

ტაშისკარიდან ბორჯომის ულამაზეს ხეობაში შევდივართ. ხეობის შესასვლელში, გზის გაფართოების შედეგად, კლდოვანი ბორცვი ჩამოინგრა, რომელზეც აღმართული იყო ტაშისკარის კოშკი. კოშკი კონტროლს უწევდა ხეობაში შესასვლელს. ბორჯომის ხეობა შექმნილია ორ მთიან სისტემას შორის – მარჯვნივ აჭარა-იმერეთის ქედია აღმართული, მარცხნივ – თრიალეთის ქედი. მთავარი კანიონისებური ხეობის სიგრძე მტკვრის გაყოლებით ტაშისკარიდან აწყურამდე 40 კმ-ია. არანაკლებ ლამაზია

მტკვრის შენაკადების ხეობები. მტკვრის მარცხენა შენაკადები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკიდან გამოედინება. აი, ისინი აწყური-ტაშისკარის მიმართულებით: თედის ხევი, მზოვრეთი, ქვაბისხევი, ჩითახევი, ლიკანის ხევი, ბანი ხევი, აბანოს ხევი. მარჯვენა შენაკადები: თისელის ხევი, დვირის ხევი, ბორჯომულა (შავწყალა), გუჯარეთის წყალი, ნეძურა.

პირველი დასახლება ხეობაში კურორტი ახალდაბა. იგი მნიშვნელოვანი კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტია. ზღვის დონიდან სიმაღლით 700 მ. ახალდაბა მნიშვნელოვანი ისტორიული პუნქტიცაა. დასახლების თავზე, კლდოვან ბორცვზე აღმართულია ახალდაბის ციხის ნანგრევები.

მტკვრის პირას უძველესი ხიდის ნანგრევებია შემორჩენილი. ნეძურას ხეობაში, ახალდაბიდან ათიოდე კილომეტრში, მდებარეობს ნეძვის მონასტრის ნანგრევი, აშენებული გრიგოლ ხანძთელის მოწაფის თევდორეს მიერ.

ახალდაბიდან ბორჯომამდე გავივლით სოფლებს: კორტანეთი, ზანავი, რველი, ვარდგინეთი, ყვიბისი. ყველა ეს სოფელი სააგარაკო ადგილია. ყვიბისის შემდეგ ქ. ბორჯომში შევდივართ. ბორჯომი მსოფლიოში ცნობილი ბალნეო-კლიმატური კურორტია, საქვეყნოდ ცნობილი მინერალური წყლებით, რომელსაც ბადალი არა აქვს მსოფლიოში. ბორჯომის მინერალური წყლები ადამიანისათვის უხსოვარი დროიდან იყო ცნობილი, რასაც არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი აბაზანები ადასტურებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა 1828 წლიდან, როცა დაიწყო ამ წყლების მეცნიერული შესწავლა. ბორჯომის წყლის პირველი პარტია ბოთლებში ჩამოისხა 1854 წ., 1891 წელს ამოქმედდა პირველი ჩამოსასხმელი ქარხანა. ხოლო XX ს-ნის მეორე ნახევარში — 1976 წ. — მეორე ქარხანა. წლიურად ასობით მილიონი ბოთლის ჩამოსხმა წარმოებდა. ამჟამად ბორჯომის წყლის ჩამოსხმა კერძო კაპიტალის ხელშია. უდიდესია ბორჯომის და მთელი ხეობის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, საჭიროა

მათი რაციონალური გამოყენება. აი ამონარიდი 2005 წლის 15 ივლისის გაზეთ „ბორჯომში“ გამოქვეყნებული ვალერიან ლომიძის სტატიიდან „გამოვაცხადოთ ბორჯომის ხეობა საპრეზიდენტო რეზიდენციად“. „არაერთხელ მითქვამს და ახლაც მინდა გავიმეორო, დღეს მხოლოდ ლიკანია სამთავრო რეზიდენცია, მიზანშეწონილად მიმაჩნია ბორჯომ-ბაკურიანის საკურორტო ზონა გადაიქცეს საპრეზიდენტო რეზიდენციად, ამის ყველა პირობა არსებობს, მით უფრო ახლა, როცა ქვეყნის პრეზიდენტი, ბატონი მიხეილ საკაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბორჯომის აღორძინებას და მინწყლების პარკის სარეკონსტრუქციო სამუშაოები პირადად მისი პატრონაჟით მიმდინარეობს“. ბორჯომი გამოირჩევა ბუნებრივ-კლიმატური პირობებით — ქალაქი ჩაფლულია მაღალ მთებს შორის. ქალაქს შუაში კვეთს მდ. მტკვარი. ქალაქის ტერიტორიაზე ამ მდინარეს ერთვის ორი მდინარე — გუჯარეთის წყალი და ბორჯომულა. ეს მდინარეები ურთიერთპარალელურად მოედინებიან. მათ შუა მოქცეულია ბორჯომის პლატო, რომელიც ნაძვნარ-ფიჭვნარი ტყეებით არის დაფარული და წარმოადგენს კურორტის მთავარ დასასვენებელ ადგილს. ბორჯომის პლატო ბუნების უნიკალური ძეგლია. იგი შექმნა ბაკურიანის მუხერის ვულკანის კრატერიდან ამოღვრილმა ლავამ, რომელმაც ბორჯომამდეე ჩამოაღწია. მდ. გუჯარეთის წყალი მტკვარს ჩარხისწყლის უბანში ერთვის, ხოლო ბორჯომულა — ბორჯომპარკის ტერიტორიაზე. ამ მდინარის ხეობაში გაშენებულია ბორჯომის ულამაზესი პარკი. ბორჯომის პლატოსთან ერთად ეს პარკიც დამსვენებელთა მთავარ დასასვენებელ ადგილს წარმოადგენს. აქ მდებარეობს პირველი ჰიდროსადგური რუსეთის იმპერიაში აშენებული 1898 წ. კლიმატური პირობები მრავალფეროვანია. მთებს შორის მოქცეული კურორტი სტაბილური კლიმატური პირობებით ხასიათდება. ზაფხული ზომიერად თბილი, ზამთარი — ზომიერად გრილი. საშუალო წლიური ნალექების რაოდენობა 600-800 მმ-ია. ქალაქში და მის გარეუბნებში პლა-

ტო, ფაფა, ლიკანი, მრავალი დასასვენებელი სახლი და სამკურნალო ადგილია. ჩვენი გზა ქალაქს შუაზე გაუვლის ყვიბისიდან ლიკანამდე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სანატორიუმები ლიკანში მდებარეობს. ბორჯომის ტერიტორიაზე ისტორიული ძეგლებიდან უნდა გამოიყოს მარჯვნივ, მთის თხემზე მდებარე გოგიას ციხე და ლიკანის გაღმა პეტრეს ციხე. გოგია და პეტრე ძმები ავალიშვილები ყოფილან. ისინი მუდმივად ერთიმეორეს ექიშპებოდნენ. ბორჯომში დასახლების წარმოშობა დაკავშირებულია მინერალური წყლების გამოყენებასთან. ეს პროცესი XIX ს-ში დაიწყო. ამჟამად ბორჯომში 20 ათასი კაცი ცხოვრობს. უფრო ადრე ბორჯომის ადგილას ორი სოფელი ნუა და ეშმაკთუბანი მდებარეობდა.

ბორჯომიდან გზას ვაგრძელებთ ბორჯომის ხეობით. რამდენიმე კილომეტრში მტკვარს მარცხნიდან შეერთვის მდინარე ჩითახევი, რომელიც ნაკრძალიდან გამოედინება. ამ ლამაზ ხეობაში, ერთი კილომეტრით ზემოთ, მდეებარეობს IX ს-ნის ძეგლი მწვანე მონასტერი. იგი მწვანე ტუფისგან არის ნაშენები და სახელიც აქედან შეერქვა. თავის ფერით ეს ბაზილიკა შესანიშნავად შეერწყმის გარემოს. სავარაუდოდ, აქ მონასტერი გრიგოლ ხანძთელის მოწაფეებს შეუქმნიათ. ბორჯომის ხეობა, ანუ ისტორიული თორი, გრიგოლ ხანძთელის დროს ტაო-კლარჯეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.

მალე სოფ. ჩითახევს გავივლით, სადაც მდებარეობს ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშენდა. მშენებლობაში სამუშაო ძალად გამოყენებული იყო გერმანელი ტყვეები. არხი, რომელშიც წყალი მოედინება, სოფ. ქვაბისხევთან იღებს სათავეს, ორიოდე კმ-ის გავლის შემდეგ მთის გულში შედის გვირაბის საშუალებით. მიწისქვეშ რამდენიმე კმ-ის გავლის შემდეგ ზედაპირზე გამოდის და ჩითახევთან ამუშავებს საგენერატორო სადგურს. არხის დასაწყისში, მტკვრის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს კვირიკეს მონასტრის ნანგრევები. კვირიკეს

მონასტერი IX ს-ში ააშენა გრიგოლ ხანძთელის მოწაფემ ქრისტეფორემ. მარჯვნივ გზა მიემართება ღვთისმშობელ მარიამის საყდართან. ის აქედან 1,5 კმ-ში მდებარეობს, ძალიან ლამაზ ადგილას, კლდის შვერილის ქვეშ. ტაძარის სამხრეთ ნავში შემორჩენილია ფრესკები, სადაც გამოსახულია ახალგაზრდა ქალი, რომელსაც აწერია „იაი“ და 13-14 წლის ყმაწვილი წარწერით „შოთა“. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს შოთა რუსთაველის ყრმობის ფრესკაა. თუ ეს ასეა, მაშინ ის ამაგრებს იმ მოსაზრებას, რომელიც შოთა რუსთაველის თორელობას აღიარებს. ეს მხარე ხომ ისტორიული თორია. გზა ამ ხეობით გრძელდება — გაივლის დემოთის ციხეს, გადაივლის მაღალ ქედზე და გადადის დასავლეთ საქართველოში. სწორედ ამ გზით გადმოჰყავდა ჯარი ცოტნე დადიანს დასავლეთ საქართველოდან, კოხტასთავის შეთქმულების მონაწილეთა დასახმარებლად 1246 წელს. გზას ვაგრძელებთ მტკვრის ხეობით და გადავივლით პატარა მდინარეს. ამ ადგილებს მზოვრეთი (მძოვრეთი) ეწოდება. რამდენი ასეთი ტრაგიკული სახელია საქართველოში — ვაიო, არაშენდა, მზოვრეთი და სხვა მრავალი. თუნდაც სლესის ციხე, რომელიც მარცხნივ გვრჩება. ეს ციხე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენდა ამ ხეობაში მთავარ სამიმოსვლო გზაზე. ციხის გაღმა ნასოფლარი სლესია. აქედან წარმოდგება გვარი სლესარი.

მივადექით ბორჯომის ხეობისა და სამცხის საზღვარს. აქ მარცხნიდან თისელის ხევი ჩამოედინება, მარჯვნიდან თედის ხევი. ამ ორ ხევზე გადის ისტორიული თორის ანუ ბორჯომის ხეობისა და სამცხის საზღვარი.

სამხრეთ-დასავლეთით გამოჩნდა აწყურის ციხე, რომელიც ძველი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სახელდებული ციხეა. იგი აღმართულია კლდოვან ბორხვზე, მდ. მტკვრის მარჯვება ნაპირას. აწყურის ციხის გვერდში მდებარეობს აწყურის უძველესი და უდიდესი ეკლესიის ნანგრევები. გადმოცემით აქ იქადაგა ანდრია პირველწოდებულმა.

აქედან იწყება მნიშვნელოვანი ოროგრაფიული ერთეული სამცხის ქვაბული, რომლის ფსკერი, საშუალოდ, ათასი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ზღვის დონიდან. ქვაბულის აღმოსავლეთიდან საზღვრავს თრიალეთის ქედი, ჩრდილოეთიდან — მესხეთის ქედი, დასავლეთიდან — არსიანის ქედი, სამხრეთიდან — ერუშეთის მთები. ქვაბულის ყველაზე დაბალი გასასვლელი მტკვრის ხეობით ბორჯომის მიმართულებით იხსნება. ქვაბული მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო რაიონია. მთავარი დარგი მეხილეობა და მებოსტნეობაა. აქაური ხილი მაღალი შაქრიანობით ხასიათდება. აქ მოყავთ ბალჩეული კულტურები, რომელთა ბაზაზე მუშაობდნენ ახალციხის და ბენარის საკონსერვო ქარხნები. შედარებით მაღალ ზონაში მეცხოველეობას მისდევენ. აქაური თაფლი განსაკუთრებით მაღალი ხარისხისაა.

გავივლით რამდენიმე ისტორიულ სოფელს და მარჯვნივ, მთის ფერდობზე მიწაყრილი მოჩანს. ამ ადგილს შურდო ქვია. მოიპოვება ძვირფასი ქვა აქატი, რომლისგანაც მზადდება ზუსტი მანქანების, მათ შორის საათის ნაწილები. ეს საბადო ყოფილ საბჭოთა კავშირში ითვლებოდა უმძლავრეს საბადოდ. გზის გარკვეული მონაკვეთის გავლის შემდეგ, ჩვენგან მარჯვნივ მოჩანს ისტორიული სოფელი კლდე, რომელიც იყო დიდი ფეოდალების, შალიკაშვილების რეზიდენცია. თურქების მოძალების შემდეგ, XVII ს-ში ამ გვარის ნაწილი კახეთში, სოფ. გურჯაანში გადასახლდა, ერთი ნაწილი კი იმერეთში, ზემო სიმონეთში და დასაბამი მისცა კლდიაშვილების გვარს.

მივადექით ქ. ახალციხეს, რომელიც სამცხის ქვაბულის ცენტრში მდებარეობს. ძველი ნაწილი რაბათი მდ. ფოცხივის მარცხენა ნაპირზე არის აღმართული. ქალაქამდე მარჯვნივ, რკინიგზის გაყვანის დროს, XX ს-ის ორმოციან წლებში შესწავლილი იქნა არქეოლოგიური უბანი, სადაც ყველაზე ღრმა კულტურული ფენა 5-6 ათასი წლის წინა პერიოდით თარიღდება. ქალაქის ახალი ნაწილი, რომელიც XIX-XX სს-ში შეიქმნა, ძირითადად ფოცხო-

ვის მარჯვენა ნაპირზეა გაშენებული. ახალციხე ყველაზე დიდი და სამრეწველო დასახლებაა მესხეთში. ციხე-ქალაქი აქ X-XI სს-ში შეიქმნა. მალე გადაიქცა სამცხე-საათაბაგოს ცენტრად.

XVI ს-ის ბოლოს ახალციხე თურქებმა დაიპყრეს მთლიან მესხეთთან ერთად და 250 წელი, 1578 წლიდან 1828 წლამდე თურქეთის შემადგენლობაში იყო.

უმთავრესი ისტორიული ძეგლი ძველი ციხე-სიმაგრე რაბათია. მის ტერიტორიაზე მდებარეობს ქრისტიანული ეკლესია და მუსულმანური მეჩეთი. აქვე მდებარეობს ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ახალციხიდან გზა სამხრეთ-აღმოსავლეთით მიემართება. რამდენიმე კმ-ის გავლის შემდეგ, სოფ. მინაძესთან მდ. მტკვარს დავუბრუნდებით. ახალციხე მტკვრის მარცხენა შენაკადის ფოცხოვის ხეობაში მდებარეობს. მინაძიდან ვარძიამდე მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირს მივუყვებით. აქვე, მტკვარს მარცხნიდან ურაველის წყალი შეერთვის. მივუყვებით მტკვრის ვიწყო ხეობას. მარჯვნივ პატარა ტაძარი გამოჩნდა. საყდართან ახლოს სოფ. მუსხია — მესხეთის უძველესი სოფელი. მუსხები, მუშკები მესხების წინაპრებს ერქვა. აქედან მიიღო სოფელმა სახელწოდება. რამდენიმე კმ-ის გავლის შემდეგ, მარცხნივ გამოჩნდა რუსთავი. სახელწოდება რუს-არხის სათავიდან მოდის. ეს არის მესხეთის რუსთავი, რომელიც ითვლება შოთა რუსთაველის სამშობლოდ. სოფლის შესასვლელთან აღმართულია თენგიზ ღვიანიაშვილის ავტორობით შესრულებული შოთას ძეგლი. აქ ყოველწლიურად იმართება შოთაობა.

რუსთავი ასპინძის რაიონში მდებარეობს.

აქედან ასპინძამდე 15 კმ-ია. არმისული ასპინძამდე, მარცხნივ სოფ. იდუმალაა, სადაც წარსულში მიწისქვეშა მიწურებში იდუმალ ცხოვრობდნენ, მომხდური თურქებისგან თავის გადარჩენის მიზნით. ამიტომაც ეწოდა სოფელს იდუმალა. ორიოდედ კმ-ის გავლის შემდეგ ასპინძაში შევდივართ. მარცხნივ, სოფლის თავზე

აღმართულია მგელ-ციხე. ის სავარაუდოდ IX ს-ზე ადრინდელია. მარჯვნივ, ქვემოთ, მდ. მტკვრის პირას გაიმართა სახელგანთქმული ასპინძის ომი 1770 წლის 20 აპრილს. ომის წინა პერიოდში მოვლენები ასე განვითარდა: ერეკლე მეფემ გადაწყვიტა მესხეთის პროვინციების დაბრუნება. მას თითქოს დახმარებას უწევდა რუსეთის მთავრობა. გამოუგზავნეს ჯარი ტოტლებენის სარდლობით. აწყურის ციხესთან ტოტლებენმა უღალატა მეფეს და უკან დაბრუნდა. თურქებმა გადაკეტეს ხეობა და ერეკლე ფაქტიურად ალყაში მოექცა. სწრაფად აიღო გეზი ასპინძის მიმართულებით, აქედან თრიალეთის გზით უნდა დაბრუნებულიყო თბილისში, ტოტლებენს რომ არ მიესწრო. ასპინძასთან თურქებმა გზა გადაუჭრეს. ერეკლემ ოთხი ათასი ჯარისკაცით მიიღო ბრძოლა და რამდენჯერმე მეტი თურქების ჯარი სწრაფად გაანადგურა. ეს გამარჯვება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ევროპის მმართველები გამოეხმაურნენ და მაღალი შეფასება მისცეს ერეკლეს გმირობას. მეფე პირადად მონაწილეობდა ბრძოლაში. შეტაკების დროს თავი მოკვეთა თურქების სარდალს კოხტა ბელადს.

აქვე მტკვრის მარცხენა ნაპირზე ამოდის ასპინძის ცნობილი მინერალური წყარო, რომლის ბაზაზე მოქმედებს კურორტი ასპინძა. მკურნალობა მიმდინარეობს აბაზანების სახით. კურნავს სახსრებს და რევმატულ დაავადებებს. გზიდან მარცხნივ IX ს-ის ხვილიშის ტაძარია, ცოტა ქვემოთ ჩიხორიშის ხევია, რომლის თავზე გზიდან 2-3 კმ-ში მდებარეობს კოხტასთავის ციხე, სადაც 1246 წ. ქართველმა დიდებულებმა შეთქმულება მოუწყეს მონღოლებს. შეთქმულნი შეიპყრეს და წაიყვანეს სომხეთის ქ. ანისში, ხელ-ფეხი გაუკრეს და ქალაქის მოედანზე დააწვინეს. ზოგიერთი ვერსიით შიშველ ტანზე თაფლი წაუსვეს. ეს ამბავი ცოტნე დადიანმა რომ შეიტყო, გადმოვიდა დასავლეთ საქართველოდან, ჩავიდა ანისში და გვერდში მიუწვა თავის მეგობრებს. შეცბუნებულმა მონღოლებმა ჰკითხეს მიზეზი. მან უპასუხა, რომ მისი მეგობრები მართალი იყვნენ და თუ მართალი ხალხის დასჯა შეიძლე-

ბა, ისიც მათთან ერთად უნდა დაესაჯათ. მონღოლებმა ირწმუნეს ქართველთა უდანაშაულობა და გაათავისუფლეს.

ჩიხორიშის შემდეგ, გზიდან მარცხნივ წარმოდგენილია აღდგენილი ტერასები. საერთოდ, ასპინძიდან ვარძიამდე მტკვრის ხეობაში დიდი რაოდენობით არიან ტერასები წარმოდგენილნი. ტერასები ხეობის ციცაბო ფერდობებზე ნიადაგის შენარჩუნების მიზნით კეთდებოდა. აქ, ხეობაში, მაღლა მდებარე ჯავახეთის პლატოსთან შედარებით, სადაც ვაზი და ხეხილი ვერ ხარობს, უფრო თბილი პირობებია. ამიტომ ამ ტერასებზე აშენებდნენ ხეხილის ბაღებს, ვენახებს.

მალე ჩვენი გზა ორად იყოფა — მარცხნივ გზა ახალქალაქინინოწმინდისკენ მიემართება. ჩვენ მარჯვენა გზას მივყვებით. სულ მალე ხერთვისის ციხეს მივადგებით, რომელიც მტკვრისა და ფარავნის წყლის შეერთების კუთხეში მაღალ, კლდოვან თხემზე აზიდულა. ციხე საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი. დასავლეთ და აღმოსავლეთ კუთხეებში მაღალი კოშკებია აღმართული. ციხე და მის გარშემო მდებარე დასახლება, რომელიც შეიძლება პატარა ქალაქი იყო, ორი ათას წელზე მეტი ხნისაა. ამ ციხესთან გადის საზღვარი მესხეთის ორ კუთხეს — სამცხესა და ჯავახეთს შორის.

აქედან ვარძიამდე 16 კმ-ია დარჩენილი. მტკვრის ხეობის ეს მონაკვეთი ვულკანურ ქანებშია გაჭრილი და ვულკანის ტუფებში მრავალი ხელოვნური გამოქვაბულია გამოკვეთილი. ყველა ეს გამოქვაბული თავშესაფრად იყო გამოყენებული ომის დროს, ხოლო ისეთი კომპლექსები, როგორიც არის ვარძია და ვანის ქვაბები, მშვიდობიან პერიოდში მონასტერს წარმოადგენდა. გზიდან მარჯვნივ გამოჩნდა გულსუნდის გამოქვაბულები. ისინი, სავარაუდოდ, XI ს-შია გამოკვეთილი. მარცხნივ ნავარძიების ქვაბებია. აქ ბუნებრივი და ხელოვნური გამოქვაბულების კომპლექსია. იგი X ს-საა. ნავარძიების შემდეგ, მარჯვნივ, მინერალური წყალი „ესენტუკი 17“ ამოჩქეფს. ეს წყალი სოფ. თმოგვთან და ვარძიასთანაც ამოდის. მასზე მოწყობილია აბაზანები. ცოტა ზემოთ,

გზიდან მარჯვნივ, ქარვასლის ისტორიული შენობა დგას. ეს არის იგივე სასტუმრო მექარავნეებისათვის. მარცხნივ წუნდის ეულკანურ-ერეზიული წარმოშობის პატარა ტბაა. მისი სახელწოდება დაკავშირებულია აქვე, სოფ. ნაქალაქევის ტერიტორიაზე არსებული უძველესი ქალაქის, წუნდის სახელთან. წუნდა ჯავახეთის ისტორიული ცენტრი იყო. ნაქალაქევის განაპირას მდებარეობს ჩუქურთმით შემკული XII ს-ნის წუნდის ეკლესია. მაღლა, ჯავახეთის ზეგანზე მოჩანს სოფ. კუმურდო. მის ცენტრში მდებარეობს ქართული არქიტექტურის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი — კუმურდოს ტაძარი. ტაძართან მისვლა შეიძლება სოფ. ნაქალაქევიდან ფეხით. ალმართში 2-3 კმ-ის გავლის შემდეგ მივადგებით ტაძარს. ეს ტაძარი ყველაზე მნიშვნელოვანი ექვსაფსიდიანი ტაძარია. აშენებულია 964 წ. და ხასიათდება ძალიან დახვეწილი არქიტექტურული ფორმებით, განსაკუთრებული ფასადებით, უამრავი ლაპიდარული წარწერებით. ტაძრის გუმბათი მთლიანად ჩამონგრეულია. ერთ-ერთ წარწერაში იკითხება სახელი თუ გვარი „საკოცარი". იგი იყო ტაძრის მშენებელი.

წუნდის ტბიდან სვლას ვაგრძელებთ ფარძიის მიმართულებით. შორს, მტკვრის გაღმა გამოჩნდა გრანდიოზული ციხე-სიმაგრე თმოგვი — ერთი ყველაზე დიდი, მოედგომელი ციხე-სიმაგრე საქართველოში. ციხე საიდუმლო გვირაბით დაკავშირებული იყო მტკვართან. მასზე თორმეტი ეკლესიის ნანგრევია შეინარჩუნებული. ის იყო აშენებული ციხე. თვით თემურლენგმაც ვერ აიღო. ამ ციხეს მოიაზრებდა ალბათ რუსთაველი ქაჯეთის ციხედ.

ვიდრე ფარძიაში მივალთ, მარცხნივ კიდევ ერთი, ძალზედ საინტერესო ობიექტი გამოჩნდა. ეს არის ცარიელი ფანის ეკლესია, სადაც ქალთა მონასტერი იყო წარმოებული. ფანის კომპლექსში შემორჩენილია რიგორც გამოქვაბულები, ისეთ ქვიდან ნაგებობები ეკლესია. ეკლესიაში ძალიან საინტერესო ჩუქურთმა. ამ ეკლესიათ ბოლოს წლის წინ ფილებიანი მოინიშნა. ამიტომ ამ ეკლესიას ბევრისაგენი. ფანისაკენ ძალიან ბევრისაგენ მოსდა [illegible]

წელს. მემატიანე გადმოგვცემს, რომ ქვა-ქვაზე აღარ დარჩაო — დაინგრა თმოგვის ციხე, ყველის ციხე, ხერთვისი, ვარძია, ვანის ქვაბები. ვარძიაში შემდგომში ამოქმედდა მონასტერი, ვანის ქვაბები კი ხელუხლებელი დარჩა ჩვენ დრომდე. არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ვეფხისტყაოსნის ქვაზე წარწერილი ორი სტრიქონი. ამ გენიალური ნაწარმოების ეს ყველაზე ძველი (XIII ს.) ნიმუშია.

და აი, მარჯვნივ, მდ. მტკვრის გადაღმა გამოჩნდა ყველა ქართველისთვის სალოცავი ხატი ვარძია. გრანდიოზულ ქვაბთა კომპლექსი. ვეწვიოთ მას, დავათვალიეროთ და პირობას გაძლევთ, რომ იქიდან შთაბეჭდილებებით დატვირთული დაბრუნდებით.

შესასვლელი კარებიდან შევუყევით აღმართს, გავჩერდით პირველ ბაქანზე, იქ, სადაც დაკრძალულია 1905 წელს ვარძიიდან გადმოვარდნილი ფოფოდია — ადგილობრივი მღვდლის პაპანდოპულოს მეუღლე. აქედან კარგად მოჩანს ვარძიის ყველა კუთხე.

იბადება მრავალი კითხვა, რომელზეც ვეცდები გიპასუხოთ: როდის აიგო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული ქმნილება? წერილობით წყაროებში დაცულია ცნობა, რომ მშენებლობა დაიწყო გიორგი III გამეფებისთანავე. იგი გამეფდა 1156 წელს, იმეფა 28 წელი და აშენებდა ვარძიას. 1184 წ. მიიცვალა გიორგი და გამეფდა მისი ასული თამარი. 20 წელი აშენა თამარმა და 48 წლის შენების შემდეგ დამთავრდა 1204 წ. იბადება მეორე კითხვა: რატომ ეწოდა სახელი ვარძია? ხალხური გადმოცემით, პატარა თამარი ამ მიდამოში დაკარგულა და დაუწყიათ მისი ძებნა. ძიას დაძახებაზე თამარს უპასუხია: აქ ვარ ძიაო

და ამის შემდეგ შეერქვა ვარძია. კარგი მოსასმენი ლეგენდაა, მაგრამ ჭეშმარიტება სულ სხვაა. მკვლევარმა კონსტანტინე მელითაურმა დაასკვნა, რომ ვარძია ვერძის კულტთან არის დაკავშირებული. ვერძი — მამალი ცხვარი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საკულტო ცხოველი იყო შორეულ წარსულში. იქნებ იმ შორეულ წარსულში დაიწყო მშენებლობა და შემდგომ მისი გაფართოება ხომ არ მოხდა. პირველი გამოქვაბულები ალბათ იმ დროში გაჩნდა, როცა ადამიანი თაყვანს ცხოველთა კულტს სცემდა. ამ აზრის გასაზიარებლად ისიც საკმარისია, რომ სიტყვა ვარძია უფრო ძველია (IX ს-დან ზემო ვარძია არსებობს, X ს-დან — ნავარძიევი). როგორც ჩანს, ვარძიის მშენებლობა უხსოვარი დროიდან მომდინარეობს. იბადება მესამე კითხვა: რა განზომილებები გააჩნია ვარძიას? კომპლექსი სიგრძეში 500 მეტრზე გრძელდება, სიმაღლე 70 მ. და 13 სართულად არის განფენილი. ჩამონგრევამდე (განსაკუთრებული ნგრევა მოხდა 1283 წ.). ვარძიაში დაახლოებით 2700 ქვაბი იყო გამოკვეთილი. ამჟამად, 640-მდეა შემორჩენილი. ე.ი. ჩამონგრეულია 3/4. იბადება კითხვა: რა მიზეზებმა განაპირობა ასეთი გრანდიოზული კომპლექსის შექმნა? ვიდრე მეოთხე კითხვას ვუპასუხებთ, უპრიანი იქნება კიდევ ერთი კითხვა დავსვათ: რა მიზნით შეიქმნა ვარძია? უპირველესი მიზანი ქვეყნის თავდაცვა იყო და ომის დროს ვარძიაც თავდაცვით როლს ასრულებდა. მშვიდობიან დროს აქ მოქმედებდა კაცთა მონასტერი. დავუბრუნდეთ მეოთხე კითხვას — მიზეზებს. მიზეზები ორად უნდა გავყოთ, ბუნებრივად და ისტორიულად. ერთი ბუნებრივი მიზეზია: მილიონობით წლის წინ ამ რეგიონში ვულკანები ბობოქრობდა. ვულკანის კრატერიდან კი, შედარებით მშვიდ პერიოდში, ვულკანის ფერფლი ამოდის, რომელიც მიდამოს ეფინება და დროთა განმავლობაში ტუფის ქანები წარმოიქმნება. დაკვირდით ამ შვეულ კლდეს, მას ზემოდან მუქი ფერის ქანი, ვულკანის წიდა ადევს. ასეთივე ქანია ძირშიც. შუაში 70-80 მ. სისქის ვულკანის ვარდისფერი ტუფის ზოლი გასდევს. სწორედ ამ

ზოლშია გამოკვეთილი ყველა გამოქვაბული. ტუფი ადვილი დასამუშავებელი და ადვილი გამოსაკვეთია. მეორე ბუნებრივი მიზეზი: მდინარე მტკვარმა მილიონობით წლის განმავლობაში გახერხა ეს ვულკანური ქანები და შექმნა ღრმა კანიონი, რომლის გაშიშვლებულ ფერდობებზე ადამიანს გამოქვაბულების გამოკვეთის საშუალება მიეცა. ისტორიული მიზეზები გახლავთ ის, რომ ამ ხეობით მიემართებოდა ცენტრალური გზა, მტერიც აქედან შემოდიოდა და მოყვარეც, მეომარიც და ვაჭარიც. იმ პერიოდის საქართველო სტრატეგიულად და ეკონომიკურად მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო იყო, რომელსაც უდიდესი ეკონომიკური და სულიერი პოტენციალი, მაღალი კულტურა და ყველანაირი შესაძლებლობა ჰქონდა, რომ ასეთი მასშტაბის მშენებლობა ეწარმოებინა. საქართველო ხომ აღმოსავლური რენესანსის აკვანი იყო.

ვაგრძელებთ გზას — აქვე ვათვალიერებთ უშველებელ ლოდს, რომელიც მიწისძვრის შემდეგ ჩამოგორდა ზემოდან. შიგ ერთი მთლიანი გამოქვაბულია. გამოქვაბულთა კვალია დარჩენილი დიდ ლოდებზე, რომლებიც ქვემოთ არის ჩამოყრილი. მივადექით ვარძიაში დამცველ შესასვლელ პუნქტს. თუმცა, ჩამონგრევამდე ვარძიას დამცველი პუნქტი არ სჭირდებოდა — კომპლექსში გვირაბებით შედიოდნენ. ეს პუნქტი ჩამონგრევის შემდეგ შეიქმნა. პირველ სართულზე საჯინიბოა ცხენებისათვის, მეორე სართულზე დამცველების საცხოვრებელი. საჯინიბოს მაღლა გამოკვეთილია ანანაურის ტაძარი ფრესკებით, ხოლო აქვე, მარცხნივ, ვარძიის დასავლეთ ნაწილში ნასოფლარი ანანაურია. ავდივართ კიბეებით და ვჩერდებით წყლის რეზერვუართან. რეზერვუარში ასობით ტონა წყალი ჩადიოდა. ის ივსებოდა ზემო ვარძიიდან გამოყვანილი წყლით. ოთხი კმ-ის მანძილზე ეს წყალი თიხის მილებით გვირაბებში თვითდინებით მოედინებოდა. მაღლა მოჩანს გვირაბის ფრაგმენტები. რეზერვუარის წყალს გამოიყენებდნენ იმ შემთხვევაში, თუ მტერი სათავეს მიადგებოდა და წყალს გადაკეტავდა. აქ-

ვეა დასავლეთის გვირაბის ფრაგმენტები. აღმოსავლეთის გვირაბით კი დაგბრუნდებით უკან. მის ბოლოში საიდუმლო გვირაბი გადის მდ. მტკვარზე. უკიდურეს შემთხვევაში იყენებდნენ მტკვრის წყალს.

აქედან სამრეკლომდე 300 გამოქვაბული თითქმის მთლიანად ჩაქცეულია. მარცხნივ, ლამაზად გამოკვეთილ საკნებში ვარძიის წიგნსაცავი მდებარეობდა. ვარაუდობენ, რომ აქ ხუთი ათასამდე ხელნაწერი ინახებოდა. 1551 წ. შაჰ-თამაზის შემოსევის დროს გაძარცული იქნა ვარძიის საგანძური და მასთან ერთად წიგნსაცავიც. წინ აღიმართა ვარძიის სამრეკლო, რომელიც XIII ს-ის ბოლოს არის აშენებული ჯაყელების მიერ. საერთოდ, სამრეკლოების მშენებლობა XIII საუკუნიდან იწყება და ვარძიის სამრეკლო ერთ-ერთი უძველესია. სამრეკლო ორსართულიანი იყო. მეორე სართული ჩამონგრეულია, პირველ სართულზე შესანიშნავი ჩუქურთმაა შესრულებული. დაბლა ჩავდივართ კიბეებით და დიდ დარბაზში მოვხვდით. ეს სატრაპეზო — სასადილო დარბაზია. შემორჩენილია ქვის მაგიდები და შუაცეცხლის ადგილი. ისევ მაღლა ავდივართ და რკინის კარებში შევდივართ. აქ ჩვენ ვარძიის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილში მოვხვდით. შესასვლელის შემდეგ აივანზე ვიმყოფებით. ეს აივანი ჩამონგრევამდე უფრო დიდი იყო (დაახ. 10-12 მ.). მისი წინა ნაწილი გადანგრგეულია. XIII ს-ის ბოლოს ჯაყელებმა თაღოვანი კედელი ამოუშენეს. აივნის ჭერი და დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლები მაღალხარისხოვანი ფრესკებით არის მოხატული. აივნიდან ღვთისმშობელი მარიამის მიძინების სახელზე გამოკვეთილ ტაძარში შევდივართ. ტაძარი მთლიანად ფრესკებით არის მოხატული. ისინი კარგად არის შემორჩენილი. სამაგიეროდ, 1551 წ. ირანელებმა გაიტაცეს ღვთისმშობლის სწორუპოვარი ხატი და ოქროს კარები, რომელიც ჩადგმული იყო ტაძრის დარბაზიდან საკურთხევლის შესასვლელში. ფრესკები ძირითადში რელიგიური სცენებია, ქრისტეს ცხოვრების ამსახველი სცენები. ისტორიული პირებიდან ჩრდილო-და-

საკლეთის კუთხეში მოხატულია ქართლის ერისმთავარი რატი სურამელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩრდილოეთის კედლის ცენტრალურ ნაწილში მოხატული გიორგი III და თამარ მეფის ფრესკა. მეფე გიორგის თავთან აწერია „ყოვლისა აღმოსავლეთის მეფეთა-მეფე გიორგი ძე დემეტრე მეფეთა-მეფისა". თამარს — ასევე თავთან „ყოვლისა აღმოსავლეთის, მეფეთა-მეფე შვილი გიორგი მეფეთა-მეფის, რომელიც მრავალჟამიერსცამ". თამარს ხელში უჭირავს ტაძრის მაკეტი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ის ქტიტორია.

თამარი ცოცხალი იყო, როცა ტაძარი მოიხატა. მხატვრობა გიორგის გარდაცვალების შემდეგ და თამარის გათხოვებამდე შესრულდა. ამდენად მხატვრობა შესრულდა — 1184 წლის შემდეგ და დამთავრდა 1186 წელს, რადგან თამარი აქ გასათხოვარია გამოხატული, რასაც მისი სამკაულები ადასტურებს. თამარი პირველად გიორგი რუსზე 1186 წელს გათხოვდა. ძალიან საინტერესოა მეფეთა ტიტულატურა — ყოვლისა აღმოსავლეთის მეფეთა-მეფე. ეს მაშინდელი საქართველოს სიდიადეზე მიუთითებს. ტაძრის დასავლეთი კარიდან შევდივართ 16 მეტრიან გვირაბში, რომლის ბოლოში ვარძიის ცნობილი წყაროა. ეს წყარო მცირე დებეტის არის და ვარძიის გრანდიოზულ კომპლექსს, სადაც ომის დროს 45 ათასამდე კაცის შეხიზვნა შეიძლებოდა, ხოლო მშვიდობიან დროს 700-ზე მეტი ბერი მოღვაწეობდა, წყლით ვერ დააკმაყოფილებდა. ამიტომ წყალი გამოიყვანეს ზემო ვარძიიდან — მასზე ზემოთ გვქონდა საუბარი.

მთავარი ტაძრის შემდეგ გვირაბით ავვდივართ VIII სართულზე, საიდანაც კიბეებით ვეშვებით; გავუვლით ქვაბებს, სადაც ბერების საცხოვრებელია განფენილი. აქ ბევრი ქვევრის ნამტვრევია შემორჩენილი. მარცხნივ, მაღლა გამოჩნდა ვარძიის ცნობილი აფთიაქი. აფთიაქის გაყოლებით სამეფო-სათათბირო დარბაზია. ოდნავ იქით — თამარის გამოქვაბული. ვარძიაში კაცთა მონასტერყ იყო და თამარს არ შეეძლო იქ ყოფნა. ის მხოლოდ ცენტრალუ-

რი გვირაბით ადიოდა ტაძარში სალოცავად და აღმოსავლეთის გვირაბით სამეფო დარბაზში — სათათბიროდ.

ვამთავრებთ ჩვენს სვლას ვარძიაში. ბოლო მონაკვეთში ვეცნობით ბერის საცხოვრებელ ბინას და აღმოსავლეთის გვირაბით ვეშვებით დაბლა.

ვბრუნდებით ახალციხეში და შევუყვებით აღმართს საფარისკენ. ახალციხიდან საფარამდე 12 კმ-ია. გზა სულ მაღლა-მაღლა მიდის. მაღლიდან კარგად მოჩანს სამცხის ქვაბული. შორს, დასავლეთით მოჩანს თურქეთის მთებიც. გადავიარეთ პატარა თხემი და მოფარებულში გამოჩნდა საფარა. მართლაც საფარი ადგილია და ალბათ ამიტომაც ეწოდა საფარა. აქ კარგად მოჩანს ადამიანისა და ბუნების ერთობა. საფარა მრავალმხრივი კომპლექსია. შესასვლელში მცირე ზომის ტაძარი მდებარეობს, რომელსაც მაღალი მთიდან ციხის გოდოლი გადმოჰყურებს. გზიდან მარჯვნივ სასახლის ნანგრევებია — საფარა ხომ ჯაყელების საზაფხულო რეზიდენცია იყო. სიღრმეში, მარჯვნივ XV ს-ის სამრეკლოა, ხოლო მარცხნივ — წმ. საბას სახელზე აგებული გუმბათიანი ტაძარი, რომელიც XIII ს-ის ბოლოს არის აშენებული. ტაძრის სამხრეთით X ს-ის დარბაზული ტაძარია, უფრო იქით კი IX ს-ში აგებული მცირე ტაძარი. აქ ყველზე მნიშვნელოვანი ძეგლი წმ. საბას დიდი ტაძარია, რომელიც XIII ს-ის ბოლოს აშენდა. ტაძრის დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი ფასადები და გუმბათის ყელი შესანიშნავი ჩუქურთმებით არის მოხატული. რაც შეეხება აღმოსავლეთის ფასადს, ის კლდის ქიმზეა აშენებული და მნახველისთვის მიუდგომელია. ჩრდილოეთის კარის თავზე წარწერაში მოხსენებულია ფარესასძე. ეს ტაძრის მშენებელი ოსტატის გვარია. საინტერესოა, რომ საფარას ულამაზესი კანკელი ჰქონდა, რომელიც თბილისის ხელოვნების მუზეუმში ინახება.

არანაკლებ საინტერესოა ტაძრის ინტერიერი. აქ კარგად არის შემორჩენილი ფრესკები, რომლებიც შესრულებულია XIV ს-ში. ქართული ფერწერის მეორედ აყვავების პერიოდში და უბისის

ცნობილ ფრესკებთან ერთად ამ პერიოდის ყველაზე ღირებული ნიმუშია. აქ, რელიგიური ფრესკების გარდა, სამხრეთის კედელზე ისტორიულ პირთა ფრესკებია შემონახული. წარმოდგენილია სარგის I, ბექა დიდი და სარგის II. ბექას ხელში ტაძრის მაკეტი უჭირავს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი კტიტორია. ბექა დიდის დროს სამცხე-საათაბაგო ყველაზე აღზევებული კუთხე იყო, რაც ხელოვნების აყვავებაშიც გამოიხატა — საფარა, ზარზმა, ჭულეს ტაძრები, საფარის და ზარზმის ფრესკები და სხვ.

ახალციხე – აბასთუმანი – ზარზმა

ახალციხიდან მდ. ფოცხოვის ხეობით დასავლეთით მივემართებით. მარჯვნივ აღმართულია ციხის კედლები. ეს ახალციხის ციხეა – რაბათი. შემდეგ ჩვენი გზა ორად იყოფა – მარცხნივ გზა ვალეში მიდის. ჩვენ მარჯვენა გზას მივუყვებით. რამდენიმე კმ-ის გავლის შემდეგ, მარცხნივ, მდ. ფოცხოვის გადაღმა ქ. ვალე გამოჩნდა. ეს პატარა ქალაქი, რომელიც საბჭოთა პერიოდში ქვეყანას მურა ნახშირს აწვდიდა, ზედ თურქეთის საზღვარზე მდებარეობს. შორს თურქეთის მთები გამოჩნდა. ეს ერუშეთის ქედია, საიდანაც გამოედინება მდ. ფოცხოვი, რომლის აუზი ისტორიულად სამცხის შემადგენლობაში შემოდიოდა. ამჟამად სამცხე სამ რაიონს მოიცავს – ახალციხე, ადიგენი და ასპინძა. მესხეთის ორი რაიონი – ახალქალაქი და ნინოწმინდა ისტორიული ჯავახეთია, ხოლო ბორჯომის რაიონი წარსულში თორის სახელით იყო ცნობილი (სამცხე, ჯავახეთი და თორი ისტორიული მესხეთის კუთხეებია). მესხეთის დიდი ნაწილი თურქეთის ფარგლებში იმყოფებოდა.

ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მესხეთის ისეთი ისტორიული კუთხეებია დარჩენილი, როგორიცაა: კოლა, არტანი, შავშეთი, კლარჯეთი, ერუშეთი, ტაო, ოლთისი, ბასიანი, სპერი. აქ მდებარეობს ორასზე მეტი მატერიალური კულტურის ძეგლი, მათ შორის ორმოცი გუმბათიანი ტაძარი: ბანა, ოშკი, იშხანი, ხახული, ოლთისი, ტაოსკარი, დოლის ყანა, ხანძთა, ოპიზა, ანჩი... აქვე მკითხველს შევთავაზებ მესხეთის მკვიდრის პოეტ ვაჟა სამსონაძის ლექსს – ...იშხანი და ხანძთა...

იშხანი და ხანძთა...
მძიმე არის განცდა,
ბევრი ცრემლი დამცდა,
ვერვინ დაითვალოს.
შატბერტს ოშკს ან ხახულს,

თვალით ჯერ არნახულს,
ჩემთვის კარებდახშულს
ვით რა შეუთვალო!..

დროა ვიზრუნოთ „ოსმალოს საქართველოს“, როგორც ილია ამბობდა, საექსკურსიოჟდ ათვისებაზე. დავიწყოთ გაცნობა ვალეს გასასვლელიდან და დავამთავროთ სარფში. პირველ რიგში გავეცნობით იმ ძეგლებს, რომლებიც ადვილი მისადგომია.

მივადექით სოფ. ბენარას. ცოტა ქვემოთ ერთმანეთს შეერთვის მდ. ფოცხოვი და მდ. ქვაბლიანი. ამის შემდეგ ქვაბლიანის და მისი შენაკადის ოძრხეს ხეობით ვიმოგზაურებთ. სოფ. ბენარასთან არქეოლოგებმა აღმოაჩინეს საინტერესო ცხოველთა ჩონჩხები. მათ შორის მარტორქა, ჟირაფი, ანტილოპა. საკითხავია, რამ გააჩინა ეს სავანის ცხოველები აქ? მეცნიერებაში არსებობს აზრი, რომ დედამიწის პოლუსები მოძრაობს. გეოლოგიურ წარსულში ხომ არ იყო აქ სავანის ზონა? ბენარიდან ჩრდილოეთით მდ. ოძრხეს ხეობით მივემგზავრებით. გავივლით უძველეს სოფ. აბასთუმანს. მარცხნივ, მდინარის გაღმა მოჩანს ოძრხეს ციხე — სამცხის ისტორიული ცენტრი. აქ იყო ქ. ოძრხე. XI ს-დან ცენტრი გადავიდა ახალციხეში და იქ ახალი ციხე აიგო. ასეთივე პროცესს ჰქონდა ადგილი ჯავახეთში — XI ს-დან წუნდის ნაცვლად ცენტრი გახდა ახალქალაქი. სოფ. აბასთუმნიდან შევდივართ ოძრხეს ულამაზეს ხეობაში. ირგვლივ ფერდობები დაფარულია ფიჭვნარ-ნაძვნარი ტყეებით, ჰაერი გაჟღენთილია ოზონით. მარცხნივ, მთის ფერდობზე აღმართულია ციხისჯვრის ციხე — ჯაყელების ერთ-ერთი რეზიდენცია.

კურორტ აბასთუმანში შევდივართ, რომელიც საქვეყნოდ ცნობილი კლიმატური კურორტია. იგი ხუთი კმ-ის სიგრძეზეა განფენილი, მდ. ოძრხეს ვიწრო ხეობაში. კურორტის შესასვლელში, კლდოვან ბორცვზე აღმართულია შოთა რუსთაველის ძეგლი. 1932 წ. ამ ბორცვზე დაიდგა პირველი ტელესკოპი, ევგენი ხარაძის მიერ და აქედან საფუძველი ჩაეყარა აბასთუმნის ასტროფი-

ზიკურ ობსერვატორიას. დაბის ცენტრში, ჩვენგან მარჯვნივ აღმართულია ახალ ზარზმად წოდებული, 1904 წ. გიორგი რომანოვის მიერ აშენებული ტაძარი. მეფისწული გიორგი რომანოვი რუსეთის იმპერატორის მემკვიდრე იყო. მას ფილტვები ჰქონდა დაავადებული და აბასთუმანში მკურნალობდა. გავცილდებით კურორტს და სანატორიუმ „მესხეთის" კორპუსია. პირდაპირ გზა ზეკარის უღელტეხილის (2200 მ. ზღვის დონიდან) გავლით გადის დასავლეთ საქართველოში. ამ გზაზეა სანატორიუმი „არაზინდო". ჩვენ მარცხნივ მივემართებით, ობსერვატორიის აღმართზე. მარჯვნივ არის სანატორიუმი „აღობალი". მესხეთი, არაზინდო, აღობალი — ყველა ეს სანატორიუმი ფილტვებით დაავადებულთა სტაციონარია. აბასთუმნის საკურორტო რეკრეაციული პირობების ჩამოყალიბებაში, წიწვოვან-მცენარეული საფარის გარდა დიდ როლს ასრულებენ კლიმატური ფაქტორები. ამ მყუდრო ხეობაში ჰაერის მასები სტატიკურ პირობებშია. ზამთარზაფხულ ჰაერის ტემპერატურე სტაბილურია (საშუალო წლიური 10% ფარგლებშია). დიდია მზიანი დღეების რაოდენობა. უაღრესად გამჭირვალეა ჰაერი. აბასთუმანში ამოდის მინერალური წყალი.

ვიდრე აღმართს შეუდგებით ოძრხეს ხიდის შემდეგ აქ მდებარეობდა აკაკი წერეთლის მიერ დარგული ხე, რომელიც ბოლო დროს წაიქცა. ეს ხე დიდმა პოეტმა დარგო 1911 წელს როცა აქ ისვენებდა. ამ პერიოდთან არის დაკავშირებული საინტერესო ამბავი. სასადილოში საჭმელად შესულ პოეტს ბევრი გადაახდევინეს და გაბრაზებულმა წარმოთქვა — აი რატომ ჰქვია აბასთუმანი აბაზში თუმანი გადამახდევინესო. ამ დასახლების სახელი დაკავშირებულია აბაზაძეთა გვართან, რომელიც თავის მხრივ მოდის კაცის სახელ აბასიდან. მისი ისტორიული სახელი აბასთუბანია, ე.ი. აბაზაძეების უბანია. ამ გვარის ხალხი ბევრ სხვა გვართან ერთად ჩასახლებულია იმერეთში.

5 კმ. აღმართი გზის გავლის შემდეგ ყანობილის ზეგანზე

მოვხვდებით. სწორედ ამ ზეგანზე მდებარეობს საქვეყნოდ ცნობილი აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. ჰაერი გამჭირვალე და სუფთაა, ამიტომ ეს ადგილი სპეციალურად შეარჩიეს ობსერვატორიისათვის. ობსერვატორია ეწევა დიდ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მისი შემქმნელი და მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი ევგენი ხარაძე. დათვალიერების შემდეგ უკან ვბრუნდებით და სოფ. ბენარასთან დასავლეთით ვუხვევთ. მარჯვნივ, მაღლა, კლდოვან მთაზე აღმართულია უძლიერესი ციხე-სიმაგრე „ოქროს ციხე". იგი ამ კუთხის ისტორიული ჩორჩანის მთავარი ციტადელი იყო. აქვეა რაიონული ცენტრი ადიგენი — მცირე დაბა. ადიგენის რაიონი ისევე, როგორც ახალციხის და ასპინძის რაიონები, მეხილეობით და მეცხოველეობით გამოირჩევა. მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მებოსტნეობა.

ადიგენიდან გზას ვაგრძელებთ ბათუმის მიმართულებით. ეს გზა გადადის გოდერძის უღელტეხილზე. 2025 მეტრი ზღვის დონიდან და ზემო აჭარის რაიონების (ხულო, შუახევი, ქედა) გავლით ჩადის ბათუმში. ამ გზაზე მდებარეობს გოდერძის გაქვავებული ტყე, ბუნების უნიკალური ძეგლი. რაც შეეხება ზარზმას, ის ადიგენიდან 4-5 კმ-ში მდებარეობს. იგი ქართული არქიტექტურის უნიკალური ძეგლია. შეიძლება ითქვას, ზარზმა დიდი ქართული არქიტექტურის ბოლო აკორდია. აშენდა XIV ს-ის დასაწყისში და ამით დამთავრდა დიდი ქართული არქიტექტურა. შემდგომი პერიოდის არცერთი ძეგლი ასეთ სიმაღლეზე არ ასულა. ზარზმაში რამდენიმე ნაგებობაა შემორჩე-

ნილი IX-X ს-ის ტაძრის ნანგრევი, ულამაზესი სამრეკლო და დიდებული ტაძარი. ორივე XIV ს-შია აგებული. ტაძრის ფასადები შემკულია მდიდრული ჩუქურთმით. განსაკუთრებით საინტერესოა აღმოსავლეთ ფასადზე გამოხატული ჯვარი, რომელიც მთელ აღმოსავლეთ ფასადზე დომინირებს. ტაძარს აქვს სამხრეთი მინაშენი, რომელიც შესასვლელ კარიბჭეს ამრავალფეროვნებს. ეს გუმბათიანი ტაძარი ინტერიერშიც საინტერესოა. აქ, კანკელში, საკურთხეველში შესასვლელი კარები ვაზის ხისგანაა დამზადებული, რომელიც XIV ს-ის უნდა იყოს. ზაზარზმის ფრესკები ემსგავსება საფარის ფრესკებს. ეს ფრესკები გადაიხატა XIX-XX სს-ში და დაკარგა თავისი ორიგინალობა. XIII-XIV სს-ის საზღვარი სამცხე-საათაბაგოს აყვავების ხანაა.

ბორჯომი – კიმოთეს უბანი – ბაკურიანი

ბორჯომში მთავარი გზიდან გადავდივართ გამარჯვების ხიდზე. ეს ის ერთადერთი ხიდია, რომელიც გადაურჩა 1968 წ. დიდ წყალდიდობას მტკვარზე. ამის გამო ხალხმა გამარჯვების ხიდი უწოდა. მივუყვებით მდ. გუჯარულას ხეობას, გადავკვეთეთ ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ხაზი. მარცხნივ, კვარცხლბეკზე აღმართულია პატარა ორთქლმავალი – „კუკუშკას" რომ ეძახიან. ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზის ხაზი 1902 წ. გაიხსნა. 1966 წლამდე მატარებელს „კუკუშკა" ორთქლმავლები ეზიდებიან. ამის შემდეგ პატარა, ჩეხური ელმავლები ემსახურება. აქვე გადავდივართ გუჯარეთის წყალზე. მარცხნივ მინის ტარის ქარხანაა, მარჯვნივ – პირველი ჩამოსასხმელი ქარხანა. ბორჯომი, იმის გარდა, რომ საქვეყნოდ ცნობილი კურორტია, საკმაოდ სამრეწველო ქალაქია. ჩვენ აღმოსავლეთის მიმართულებით მივემართებით – გუჯარეთის წყლის მარჯვენა ნაპი-



რომანოვების საზაფხულო სასახლე ბორჯომში

რის გაყოლებით. პირველი სოფელი, რომელიც შეგვხვდება, ისტორიული სოფ. დაბაა. სახელი „დაბა“ მიუთითებს მის მნიშვნელობაზე. ის წარსულში დიდი დასახლება ყოფილა.

დაბაში რამდენიმე ძეგლის ნანგრევია შემორჩენილი. მათ შორის, ამირანის ეკლესია, თედიაშვილების ციხის ნანგრევი, ბუნებრივი გამოქვაბულები, დაბის ფლატეები, სადაც დიდი სიმაღლის ჩანჩქერია და, რა თქმა უნდა, დაბის წმ. გიორგის ტაძარი, რომელიც სოფლის გალმა, კლდის შვერილის ქვეშ არის აშენებული. ის დარბაზული ტაძარია. ხასიათდება ლამაზი ჩუქურთმებით და შესანიშნავი ასომთავრული წარწერით. დასავლეთ კარიბჭის თავზე წარწერა გვაუწყებს, რომ ტაძარი აიგო გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს — 1333 წ. ტაძრის გვერდში მოჩუხჩუხებს წყარო. ცოტა მოშორებით გამოქვაბულებია.

დაბიდან ორიოდე კილომეტრში კურორტი წაღვერია. წაღვერი კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტია. უმთავრესი ფაქტორი სტაბილური კლიმატური პირობები და მთის ფერდობებზე შეფენილი წიწვიანი მცენარეულობაა. კურორტის ტერიტორიაზე რამდენიმეგან ამოდის რკინის ჟანგიანი მინერალური წყალი. წაღვერიდან აღმოსავლეთით ავიღეთ გეზი. დასახლების ბოლოს გავდივართ ვიწრო კლედეკარში. აქ, მდ. გუჯარეთის წყლის მარცხნივ, მაღალ კლდეზე უზნარის ციხის ნანგრევებია აღმართული. ციხე კონტროლს უწევდა ამ ხეობაში გამავალ გზებს. მარჯვნივ გზა მიდის მაღლა, სააგარაკო სოფ. მზეთამზეში. რა ლამაზი სახელია — ესეც ხომ ჩვენი ისტორიაა.

გუჯარულას ხეობაში, სამიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ შევდივართ საინტერესო სოფ. კიმოთეს უბანში. ისტორიულად — ტიმოთეს უბანი. მარჯვნივ, შვეულ კლდეში მოჩანს ძველის-ძველი სახიზარები, სადაც ომის დროს ჩვენი წინაპრები თავს აფარებდნენ. გავიარეთ სოფელი და მივადექით კიმოთეს უბნის ღვთისმშობელი მარიამის მიძინების სახელზე აგებულ ტაძარს. აქ 28 აგვისტოს იმართება დიდი რელიგიური დღესასწაული მარი-



ამობა. კიმოთეს უბნის ეს, აგურით ნაშენები ტაძარი თამარის მეფობის დროს XII ს-ის ბოლოს აშენდა. ფრონტონები გარედან ლამაზია. გუმბათის ყელზე ალაგ-ალაგ მოჭიქული აგურია გამოყენებული. შესასვლელი კარიბჭე ტუფით არის შესრულებული. ტაძრის ინტერიერი ბრწყინვალე ფრესკებით არის მოხატული. ეს ფრესკები უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ ყველაზე მაღალი რანგის ფრესკებად. მიუხედავად იმისა, რომ ნაწილი ფრესკებისა დაკარგულია, რაც შემორჩა ისიც ძლიერ შთამბეჭდავია. ეკლესიის წინ ბერების საცხოვრებლის ნანგრევებია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ მონასტერი არსებობდა. ტაძრის ჩრდილო-დასავლეთში, ფერდობზე ბარბარეს სახელობის მცირე ეკლესიაა. ეკლესიის დასავლეთ სარკმელის თავზე ჩვენთვის ძვირფასი წარწერებია შემორჩენილი, სადაც მოხსენიებულია დიდი მხედართმთავარი შალვა თორელი. ეს შამქორის, ბასიანის და გარნისის ომების გმირია, რომელსაც ერმა სიმღერა „შავლეგო" უძღვნა. შალვა ადგილობრივი ფეოდალების, თორელების წარმომადგენელი იყო. თორი ძველად ბორჯომის ხეობას ერქვა. თორელები ადგილობრივი ფეოდალები იყვნენ, უმამაცესი და საქართველოს უერთგულესი ფეოდალები. ამ გვარიდან იყვნენ სახელგანთქმული სარდლები: კახა თორელი. იგი 1154 წ. ამირსპასალარად (სამხედრო მინისტრი) დანიშნა დემეტრე I-მა. 1187 წ. კიდევ ერთი თორელი გამრეკელი დიდი დანიშნა თამარ მეფემ ამირსპასალარად. პირველად თორელებს დღევანდელი ბორჯომის ხეობა ეჭირათ. შემდეგ, დიდი დამსახურების გამო დაუქვემდებარეს სამცხე-ჯავახეთი. ამიტომ შალ-

ვა და ივანე თორელები თორელ-ახალციხელებად იწოდებოდნენ. მათ მოღვაწეობას დიდი ადგილი დაუთმო მწერალმა გრიგოლ აბაშიძემ თავის ტრილოგიაში „ლაშარელა", „დიდი ღამე" და „ცოტნე". ბოლო პერიოდში მეცნიერებაში გამოითქვა აზრი შოთა რუსთაველის თორელობის შესახებ. კიმოთეს უბანის ტაძარი იყო საძვალე ამ დიდი საგვარეულოსი.

წაღვერში ვბრუნდებით და ბაკურიანის აღმართს მივუყვებით. მარჯვნივ სანატორიუმი „კეჩხობი" გამოჩნდა. ამ ადგილას ისტორიული სოფ. კეცხოვი იყო, სადაც კეცებს გამოწვავდნენ (გამოცხვებოდა). აქედან წარმოდგა სახელი კეცხოვი. ამ სოფლიდან თურქობის დროს აყრილი ხალხი ტყვიავში ჩასახლდა და გვარად კეცხოველი დაიწერა. უფრო ზემოთ, მარჯვნივ მოჩანს კლიმატური კურორტი ცემი. ცემი ხასიათდება დინამიური კლიმატური პირობებით. ირგვლივ მთები წიწვიანი ტყეებით არის შემოსილი. ცემი ზაფხულობით უამრავ დამსვენებელს იზიდავს. ისევ მარჯვნივ მოჩანს კურორტი „ლიბანი" — ტუბერკულიოზით დაავადებულთა კურორტი, რომელიც უაღრესად ლამაზ ადგილას, ზღვის დონიდან 1400 მეტრზე მდებარეობს (ცემი — 1200 მ., წაღვერი — 1000 მ.). ლიბანის შემდეგ ბავშვთა კურორტი — „პატარა ცემი" (1450 მ. ზღვის დონიდან). ამ ორივე კურორტზე რკინიგზის ხაზი გადის. ავცდებით თუ არდა პატარა ცემის გადასახვევს,



ბორჯომი — ბაკურიანი

მარჯვნივ, შორს გამოჩნდება ისტორიული თორის ნამოსახლარი. სწორედ აქ, დაბაძველის ციხეში იყო თორელთა რეზიდენცია.

ბაკურიანის შესასვლელთან, მარჯვნივ, მდ. ბაკურიანის წყლის ხეობაში საინტერესო ჩანჩქერია, რომლის სიმაღლე 25 მ. აღემატება. მალე კოხტაგორის სილუეტი გამოჩნდა, რაც მიგვანიშნებს, რომ ბაკურიანში მივედით. აი, საქვეყნოდ ცნობილი კურორტი და სათხილამურო სპორტის ცენტრი ბაკურიანი. ბაკურიანი 1700-1800 მეტრზე მდებარეობს ზღვის დონიდან. ვულკანური წარმოშობის ტაფობზე, ტაფობის თითქმის ცენტრში აღმასრთულია ვულკანის კონუსი, რომლის კრატერი ყველაზე ახალგაზრდა ვულკანური წარმონაქმნია საქართველოში. მისი ასაკი მხოლოდ 400 ათასი წელია. ასეთი ასაკი ძალიან მცირეა დედამიწის ისტორიაში. აქედან ამოღვრილი ლავის ნაწილმა ბორჯომამდე ჩაალწია, ნაწილმა ამ მიდამოში შექმნა ქვაბული, რომელშიც დაგროვდა წყალი და წარმოიშვა ტბა. მრავალი წლის შემდეგ წყალმა გაჭრა ქვაბული იქ, სადაც ამჟამად სასაფლაო მდებარეობს და დაიცალა წყლისგან. ამის შემდეგ ტბის ფსკერზე გაჩნდა მცენარეული საფარი. XIX ს-ში აქ მნიშვნელოვანი დასახლება შეიქმნა, რომელსაც ბაკურიანი ეწოდა (ალბათ ცნობილი მესხური გვარის ბაკურიანის მიხედვით). ბაკურიანი და მისი მიდამოები ბუნების ნამდვილი მუზეუმია. დასახლებული ჩანჩქერის და ვულკანის კრატერის გარდა დაბის აღმოსავლეთით მდებარეობს ლამაზი მთა „კოხტაგორა". ირგვლივ მთები დაფარულია ტყეებით. უფრო მაღალ მთებში ალპური მდელოებია. დაბიდან სამხრეთ-დასავლეთით ბუნების საინტერესო მხარე ცხრაწყარო მდებარეობს. ასე, რომ ბაკურიანი და მისი შემოგარენი საკურორტო-ტურისტული რეკრიაციის თვალსაზრისით ნამდვილი მუზეუმია.

ბაკურიანი ზამთრის სპორტული ცენტრია. აქ საუკეთესო პირობებია ამ სპორტის განვითარებისათვის; მოქმედებს საბაგირო გზები, ტრამპლინები და სხვა სპორტული ნაგებობები. ყველაზე დიდი ტრამპლინი 90 მეტრიანია. ამ ტრამპლინზე 1971 წ. რე-

კორდი 115 მეტრი დამყარდა. რეკორდი ეკუთვნის პერმელ მოხტუნავეს ზონტოვს. ბაკურიანმა ბევრი ცნობილი მოთხილამურე გაუზარდა ქვეყანას. საამაყოდ კობა წაქაძის სახელიც ეყოფა. ის ხომ „მფრინავი ტორპედოს" სახელით შევიდა სპორტის ისტორიაში. ამჟამად ამ მაღალ მთებში გამოკვეთილ დაბაში ხუთი ათასამდე მუდმივი მცხოვრებია. მოსახლეობის რაოდენობა ზაფხულის და განსაკუთრებით ზამთრის სეზონზე რამდენჯერმე იზრდება. დაბის ტერიტორიაზე მოქმედებს სპორტული ბაზები და სასტუმროები. მათ შორის საოჯახო სასტუმროები. ისტორიული ძეგლებიდან ორი-სამი ეკლესიის ნანგრევია შემორჩენილი. შემოგარენში მრავლადაა ნამოსახლარები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს კუთხე წარსულში მჭიდროდ იყო დასახლებული. აქედან კიმოთეს უბნის ტაძრამდე სულ ოციოდე კმ-ია, სადაც შეიძლება ექსკურსიის მოწყობა. ბაკურიანიდან დასავლეთით 10-12 კმ-ში მდებარეობს ისტორიული თორი. ის ულამაზესი ადგილია. თორის მიდამოებში სამი ლამაზი ტბაა — კახისი, წერო და დაბაძველი. ბაკურიანიდან ცხრაწყაროს გავლით, 30 კმ. მანძილზე მდებარეობს ტაბაწყურის უნიკალური ტბა. გზა გაივლის ცხრაწყაროს უღელტეხილს (სიმაღლე ზღვის დონიდან 2453 მ.). ტბისკენ მიმავალი გზიდან ჩანს ბუნების ძეგლი — თავკვეთილას ვულკანური კრატერი. ცხრაწყაროს მთიდან, დილით გარიჟრაჟზე, შეგიძლიათ უყუროთ მზის ამოსვლას. ეს მოვლენა უაღრესად შთამბეჭდავია. უღელტეხილიდან დიდებული ხედი იშლება. ულრუბლო ამინდის დროს მოჩანს კავკასიონის თითქმის ყველა მწვერვალი. ბაკურიანიდან ათ კმ-ში მდებარეობს კურორტი ციხისჯვარი, შესანიშნავი ბუნებით და მინერალური წყლით; მოწყობილია აბაზანები.

გორი — ცხინვალი — კვაისა — შოვი — — ნიკორწმინდა — ქუთაისი

ეს საექსკურსიო მარშრუტი ძალზედ საინტერესო და მრავალფეროვანია. იგი საბჭოთა პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამდღიანი მარშრუტი იყო. ამჟამად პოლიტიკური სიტუაცია არ გვაძლევს საშუალებას, ამ მარშრუტზე ექსკურსიები ჩავატაროთ. მიუხედავად ყველაფრისა, გადავწყვიტე აღვწერო იგი, რადგან ტურიზმი ხალხთა დაკავშირების ეფექტური საშუალებაა.

გორიდან გზას ჩრდილოეთისკენ მივყვებით. პირველი სოფ. კარელეთია — ისტორიული ნაჭარმაგევი. ნაჭარმაგევში ჰქონდათ ქართველ მეფეებს ერთი სასახლე. როცა თბილისიდან მეორე დედაქალაქში, ქუთაისში მიდიოდნენ, გზად ამ სასახლეში ისვენებდნენ. კარალეთის შემდეგ ქიწნისი, ტყვიავი, ტირძნისი და სხვა სოფლებია. ყველა ეს სოფელი მეხილეობის და მებოსტნეობის კერაა. ცხინვალთან ლიახვის მარჯვენა ნაპირზე გადავდივართ. ქალაქი ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. წერილობით წყაროებში XIV ს-დან არის ცნობილი, როგორც ქრცხინვალი. სახელწოდება მცენარე რცხილასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

1922 წელს ცხინვალი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრად გამოცხადდა. გეზი ისევ ჩრდილოეთისკენ ავიღეთ. გავივლით ისეთ ისტორიულ სოფლებს, როგორიცაა: თამარაშენი, ქურთა, აჩაბეთი, კეხვი, ქემერტი. ყველა ამ სოფელში ქართული მოსახლეობა ცხოვრობს. მარცხნივ, ზემოთ კეხვის ციხეა. კეხვის შემდეგ ჩვენი გზა ლიახვის მარჯვენა შენაკადის, ფაწას ხეობაში მიემართება. აქედან კვაისამდე ყველა სოფელში ოსები ცხოვრობენ. ხეობიდან ავდივართ ერწოს უღელტეხილზე. უღელტეხილზე 1700 მეტრ სიმაღლეზე გადავკვეთავთ ლიხის ქედის ჩრდილოეთ ნაწილს და მდ. რიონის მარცხენა შენაკადის ჯეჯორის ხეობას მივყვებით ქ. ონამდე.

ერწოს უღელტეხილის მიდამოში მდებარეობს ერწოს ტბა, რომლიდანაც მიწისქვეშა ბუნებრივი გამოქვაბულით გაედინება მდ. ყვირილა. ერწოს ტბა კარსტული წარმოშობისაა. კარსტი წყალში ხსნადი ქანების გახსნას და მიწისქვეშა სიცარიელეების წარმოშობას გულისხმობს. ტბიდან დასავლეთით ბუბას მთის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს ერწოს ცნობილი მღვიმე, რომელიც ზღვის დონიდან 2100 მეტრზეა. მღვიმეში აღმოჩენილია პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების კვალი. ეს არის ევროპაში ყველაზე მაღლა მდებარე მღვიმე, სადაც ადამიანის ცხოვრების კვალია ნაპოვნი.

ერწოს უღელტეხილიდან ვეშვებით დასავლეთისკენ. გეოგრაფიულად უკვე დასავლეთ საქართველოში ვიმყოფებით. აქ მდინარეები შავი ზღვის აუზს განეკუთვნებიან. რამდენიმე კმ-ის შემდეგ, ჯეჯორის მარცხენა ნაპირზე კვაისა გამოჩნდა. კვაისაში მოიპოვება ფერადი ლითონები. აქვე ხდება მადნის გამდიდრება. მარჯვნივ სოფ. ჩასავალია, იგივე ზასეთა. ჩასავალის თავზე, კირქვის კლდეებში კუდაროს ცნობილი მღვიმეებია. აქ ოთხი მღვიმეა. მათგან კუდარო II ყველაზე საინტერესოა. მღვიმეში ორი მიწისქვეშა ტბაა. მღვიმის სიგრძე 250 მეტრს აღემატება. ამ მღვიმეებში შესწავლილია პირველყოფილი ადამიანის საცხოვრისი.

კვაისიდან მალე ზემო რაჭა იწყება — ონის რაიონი. პირველი სოფ. ირი გზიდან მარცხნივ მდებარეობს. აქედან გაღმა მთებში საბაგირო გზაა გაყვანილი, საიდანაც ჩამოაქვთ ჩორდის ბარიტის მადანი. სოფლიდან მეორე მხარეზე, ორიოდე კმ-ში სოფ. წედისია, სადაც რკინას მოიპოვებდნენ და გამოჭედდნენ წარსულში. სავარაუდოდ, ჭედვისგან წარმოდგა სოფლის სახელი წედისი. ონამდე ჯეჯორის ღრმა ხეობას მივყვებით. ჯეჯორას მარჯვნიდან, სოფ. ქვედთან შეერთვის მდ. ქვედრულა. ამ მდინარეს ეძღვნება სიმღერა „ქვედრულა მოდიდებულა". აქედან 10 კმ-ში 1896 წელს ჩამონაშალმა მასამ გადაკეტა მდინარე და შეიქმნა ტბა. ქვედის ტბა ულამაზესი შემოგარენით ხასიათდება, რომელიც

წიწვიანი ტყით არის დაფარული. ეს ადგილი ტურიზმის განვითარებისათვის ნამდვილი ყამირია. საჭიროა კარგი გზის გაყვანა. ქვედიდან ონში შევდივართ. რაჭის ეს ერთ-ერთი უძველესი და დიდი დასახლება მდ. რიონის და მდ. ჯეჯორის შეერთების კუთხეში მდებარეობს. ონის თავზე X ს-ის ონის ციხეა აღმართული.

ონიდან რიონის ხეობას მივყვებით აღმა. მარჯვნივ, სოფ. ღარია — ჯაფარიძეთა სამკვიდრო. შემდეგ მოდის სოფ. ნაკიეთი — ქაფიანიძეთა სამკვიდრო. ამის შემდეგ შევდივართ უწერაში, რომელიც მნიშვნელოვანი ბალნეო-კლიმატური კურორტია. ამ კურორტზე რამდენიმე ადგილზე ამოდის მინერალური წყალი, რომელსაც მაღალი სამკურნალო თვისებები გააჩნია. კურორტის შემოგარენი ტყეებით არის დაფარული და ხასიათდება კარგი კლიმატური პირობებით. უწერის წყლის ჩამოსხმა წარმოებს ბოთლებში. სოფ. საგლოლისთან მდ. რიონზე გადავდივართ და ჭანჭახის ხეობას მივყვებით. რიონის ხეობით გზა ზემო რაჭის ისტორიულ სოფლებში, ჭიორაში და ღებში მიდის. მარჯვნივ მივდივართ და კურორტ შოვის ტერიტორიაზე შევდივართ, რომელიც ზღვის დონიდან 1600 მეტრზე მდებარეობს და მაღალი მთის ერთ-ერთ საინტერესო კლიმატო-ბალნეოლოგიურ კურორტს წარმოადგენს. აქ შესანიშნავი ბუნებრივ-კლიმატური პირობებია (მზის დიდი რადიაცია, მდგრადი კლიმატი, მდიდარი მცენარეული საფარი, მინერალური წყლები), რაც ძვირფას საკურორტო-რეკრეაციულ პირობებს ქმნის. კურორტზე მოქმედებს დასასვენებელი სახლი.

შოვიდან ონში ვბრუნდებით და მდ. რიონის ხეობას ამბროლაურისკენ მივყვებით. ხუთიოდე კმ-ის გავლის შემდეგ, მარცხნივ, შორს შქმერის თამარ დედობლის კლდეები გამოჩნდა, სადაც მიუდგომელი გამოქვაბულები მოჩანს. ეს გამოქვაბულები დღემდე არავის შეუსწავლია (ჯერ კიდევ რამდენი გამოუცნობი და შეუსწავლელი ადგილია საქართველოში...). აქვე, მარცხნივ სოფ. კვაშხიეთია — მურმან ლებანიძის სამშობლო. მდ. რიონის გაყოლე-

ბით, მარჯვნივ სოფ. სორია. სოფლის ეკლესიაში საინტერესო ფრესკებია შემორჩენილი. კიდევ მარჯვნივ სოფ. წესია — რაჭის ერისთავთა რეზიდენცია. მარჯვნივ, კლდოვან ბორცვზე მინდა ციხეა წამომართული — რაჭის საერისმთავროს უმთავრესი ციხე. მარცხნივ ბარაკონის ტაძარი დგას — გვიანი პერიოდის მნიშვნელოვანი ძეგლი და ერისმთავართა კარის ეკლესია. აშენდა XVIII ს-ში, 1753 წელს, ავთანდილ შულავრელის მიერ. იგი ტიპიური გუმბათიანი ტაძარია. აქ ფრესკები არ შემორჩენილა. ფასადებია შემკულია საკმაოდ მაღალი ხარისხის ჩუქურთმით. ტაძრის მახლობლად მდებარეობდა ერისმთავრების სახლი.

ბარაკონიდან, ხუთიოდე კმ-ის გავლის შემდეგ, ამბროლაურში შევდივართ. თუ ონის რაიონი ძირითადად მეცხოველეობის რაიონია, ამბროლაურში მევენახეობა ჭარბობს. ამ რაიონში მდებარეობს სოფ. ხვანჭკარა, სადაც მოყვანილი ყურძნისაგან მზადდება საქვეყნოდ ცნობილი ღვინო ხვანჭკარა. ამბროლაურის დასახლება მდ. რიონისა და მდ. კრიხულას შეერთების ადგილას მდებარეობს. ამბროლაურიდან 16 კმ. აღმართი უნდა გავიაროთ, რომ ნიკორწმინდაში მოვხვდეთ. გზად გავივლით სოფ. ხოტევს, სადაც XVIII ს-ის გუმბათიანი ეკლესია და კარგად შემორჩენილი ციხე-სიმაგრეა. შემდეგი სოფ. ჭელიაღელეა — ჭელიძეთა სოფელი. სოფლის განაპირას მოზრდილი ტბა მდებარეობს. იქვეა დარბაზული ტაძარი.

ჭელეაღელეს ავცდებით თუ არა, წინა პლანზე ნიკორწმინდა გამოჩნდა. ალბათ ამ ადგილას წამოსცდა შოვიდან მომავალ გალაქტიონს: „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა. ჩემთვის დიდებული სხივი გამობრწყინდა". 1947 წელს გალაქტიონი შოვში ისვენებდა და აქედან ჩასულა ნიკორწმინდის სანახავად. სწორედ მაშინ დაწერა „ქებათა-ქება ნიკორწმინდისა".

შევდივართ ტაძრის ეზოში. წინ XIX ს-ში აშენებული სამრეკლოა. ცოტა უკან ჩუქურთმებით მოქარგული ნიკორწმინდის ტაძარი. ეს ქართული არქიტექტურის შედევრი ყველაზე ჩუქურთმი-



ანი ტაძარია საქართველოში. გუმბათის ყელი მთლიანად და ფასადების დიდი ნაწილი ჩუქურთმაშია ჩასმული. აღმოსავლეთის ფასადიდან ვიწყებთ დათვალიერებას. ისევ გალაქტიონი შეგვეხმიანა: „აქ რომ თაღებია სვეტთა შეკონება, / ისე ნაგებია, სიზმრის გეგონება“. როგორც ყველა ტაძარში, ნიკორწმინდის აღმოსავლეთი ფასადიც ძალზედ ლამაზია. აქ, კარნიზის ქვეშ ამაღლების სცენაა გამოსახული. განსაკუთრებით ლამაზია სამხრეთი ფასადი. აქაც, კარნიზის ქვეშ გამოსახულია „ქრისტეს მეორედ მოსვლის“ რელიეფური სცენა. „რა განძი გქონია, რა მხნე, რა მდიდარი / ჟღერს ქვის ჰარმონია – დარობს რამდი-დარი.“ საერთოდ, ნიკორწმინდის რელიეფური გამოსახულებები ხელოვნების შედევრებია. შემოვუარეთ ტაძარს დასავლეთიდან. აქაც ბრწყინვალე რელიეფური გამოსახულებაა. მაღლა, გუმბათის ყელის ძირში ფრთოსანი ფასკუნჯების გამოსახულებაა – „მზერა ქართულია სივრცის დაუნჯებით, / თვალი გართულია ფრთოსან ფასკუნჯებით“. ვიდრე ტაძარში შევალთ, იბადება კითხვა – როდის და ვინ ააშენა ნიკორწმინდა, ვინ იყო ხელოვანი? მშენებელი კტიტორის ვინაობა გაცხადებულია დასავლეთის ფასადის წარწერაში. ტაძარი აშენდა 1010-1014 წლებში, ბაგრატის III-ს კტიტორობით. ბაგრატი აქ აფხაზთა და რანთა მეფედ მოიხსენიება. რანი ბაგრატმა დაიმორჩილა 1010-

1014 წლებში. რაც შეეხება ხელოვანს, ის უცნობია. კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებით რომ ვთქვათ „ხელოვნებაა თავად უკვდავება". ალბათ ყველა ხელოვანი ასე ფიქრობდა — ამ ხელოვნებაშია მისი უკვდავება და არა მისი ვინაობის გაცხადებაში. ისევ გალაქტიონი მოვიშველიოთ: „ნეტა ვინ მოქარგა / და როცა მოქარგა, / შიგ მიჰკარგ-მოჰკარგა / გზნება ნიკორწმინდა".

შევდივართ ტაძრის ინტერიერში. ნიკორწმინდა გუმბათოვანი ტაძარია, ჩუქურთმაში ჩასმული გუმბათის ყელით და ფრონტონებით. არანაკლებ საინტერესოა მისი ინტერიერი, ანუ შიგთავსი. ტაძარი გეგმაში ექვს აფსიდიანია. მისი დასავლეთი აბსიდა ოთხკუთხა მკლავად არის გადაქცეული. ნიკორწმინდა ექვს აფსიდიანი ტაძრების საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. ამ სტილის ტაძრებზე ბოჭორმის ტაძრის აღწერისას ვისაუბრებთ. ნიკორწმინდის შემდეგ ასეთი სტილის ტაძრების მშენებლობა აღარ გაგრძელებულა — ვერ ჰპოვა მან განვითარება. ტაძარში ფრესკები კარგად არის შემორჩენილი. ისინი XVII ს-ს განეკუთვნება. გუმბათის კამარაში ჯვრის ამაღლების კომპოზიციაა. აბსიდების კონქში მაცხოვრის ცხოვრების ეპიზოდებია გამოსახული. დაბლა რეგისტრში ისტორიულ პირთა (ადგილობრივი ფეოდალების, ბეჟან და კაცია წულუკიძეების) XVIII ს-ის ფრესკებია წარმოდგენილი.

საიდან წარმოსდგა სახელწოდება ნიკორწმინდა? ორი ვარიანტია: ერთნი ფიქრობენ, რომ წმინდა ნიკოლოზთან არის დაკავშირებული, მეორე ვერსიით კი სახელწოდება წარმართული პერიოდიდან მოდის და ცხოველის, ნიკორა ხარის კულტთან არის დაკავშირებული. ცნობილი ფაქტია, რომ ქრისტიანობამდე საქართველოში ხარის კულტი იყო გავრცელებული. ნიკორა წმინდა აქედან უნდა იყოს მიღებული. აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი ცხოველის კულტს უკავშირებს, აგრეთვე, თვით რაჭის სახელწოდებასაც. ძალიან ადრე რაჭის ტერიტორიაზე სვანური მოდგმის ხალხი ცხოვრობდა. რაჭველები აქ ქართლიდან გადმოსახლდნენ

უფრო გვიან. სვანებმა აქ დატოვეს თავისი ეტიმოლოგია. რაჭვი სვანურად კურდღელს ნიშნავს. ის სვანებში ტოტემური ცხოველი იყო და აქედან შეიქმნა სახელწოდება რაჭაც. გამოვდივართ ტაძრიდან ემოციებით სავსე. ისევ გალაქტიონი შემოგვეგება: „მძლავრი ხელოვნება, ხალხის ხელოვნება — / ბრწყინავს საქართველოს ქებად ნიკორწმინდა!“

ამის შემდეგ გავეცნობით არა ხელოვნების, არამედ ბუნების საინტერესო ძეგლს, შაორის კარსტულ ქვაბულს და მის შემოგარენს. ნიკორწმინდის ტაძრიდან სოფლის ცენტრში გამოვდივართ. აქედან მივდივართ უდაბნოში, იქ, სადაც გამოდის შაორის მიწისქვეშეთში მოგროვილი წყალი შარეულა — ცივწყალას სახით. აქვე მდებარეობს პატარა ტაძარი. წარსულში აქ მონასტერი ყოფილა, მეუდაბნოები ცხოვრობდნენ და უდაბნოს ეძახის ხალხი. ვბრუნდებით უკან და ჩავდივართ გრანდიოზულ მიწისქვეშა სიცარიელეში, რომელსაც საყინულე ჰქვია. ამ მღვიმეში ზაფხულშიც კი ყინული რჩებოდა და ამიტომ შეარქვეს საყინულე. აქედან გავდივართ შაორის ქვაბულზე, სადაც ამჟამად წყალსაცავია მოწყობილი.

შაორის ქვაბული კარსტულ პოლიეს წარმოადგენს. ტერიტორია კირქვული ქანებით არის აგებულია. უკვე აღვნიშნეთ, რომ კირქვები წყლის მიერ იხსნება და ჩნდება მიწისქვეშა სიცარიელეები, მღვიმები და ზედაპირული ფორმები: ძაბრები, პოლიუ, ანუ კარსტული ქვაბული, შრატული ზედაპირი და სხვ. ეს პოლიე ირგვლივ შემოზღუდულია მთებით — საწალიკე, სამგლია, ნაქერალა. წყალი, რომელიც ამ მთებიდან ჩამოედინებოდა და გროვდებოდა ქვაბულში, აქედან გაედინებოდა სოფ. ნიკორწმინდის ბოლოში არსებული სასულებით და შარეულასა და ცივწყალას სახით გამოედინებოდა ზედაპირზე. XX ს-ის 50-იან წლებში აქ ჩატარდა დიდი საინჟინრო სამუშაოები. ნაქერალას ქედის ძირში გაყვანილი იქნა 800 მეტრიანი გვირაბი. აქედან წყალი მილებით ეშვება ქ. ტყიბულამდე და იქ ამუშავებს ელექტროსადგურ — შა-

ორჰესს. ნიკორწმინდის ბოლოში არსებული სასულეები გადაკეტილი იქნა კაშხალით, რომელმაც წყალს ნაქერალას გვირაბისკენ მისცა სავალი გზა. ქვაბულის აღმოსავლეთ ნაწილში კიდევ არის ორი კარსტული მღვიმე — კიდობანი და საკიშორა. ქვაბულის ფსკერი ამჟამად შაორის წყალსაცავით არის შევსებული. ის რეზერვუარია შაორის ელექტროსადგურისათვის და მას წყლით ამარაგებს. წყალსაცავში მოშენებულია თევზი. მისი სარკის ფართობი 13 კვ.კმ-ია, რაც ცოტათი აღემატება თბილისის წყალსაცავის ფართობს.

შაორის ქვაბულის ჩრდილოეთით გეოლოგების დასახლება ხარისთვალა მდებარეობს. ქვაბულის ქვეშ ქვანახშირის დიდი მარაგია აღმოჩენილი, რომლის გამოტანა ტყიბულისკენ უნდა მოხდეს. გავცდით წყალსაცავს და ნაქერალას უღელტეხილს შევუდექით. ის ზღვის დონიდან 1300 მეტრზე მდებარეობს. მიუხედავად იმისა, რომ უღელტეხილი არ არის მაღალი, აქედან მოჩანს კოლხეთის დაბლობი და მთელი დასავლეთ საქართველო.

ნაქერალადან დაბლა ულამაზეს ქ. ტყიბულისაკენ ვეშვებით. მარჯვნივ, მთაზე ცხრაკვარის ნანგრევები და სანატორიუმის შენობა მოჩანს. ამ შენობაში ტყიბულელი მეშახტეებისათვის მოწყობილი იყო დღე-ღამური სტაციონარი. აქ ტყიბულიდან საბაგირო გზა მოძრაობდა. ვეშვებით სერპანტინებით და შევდივართ ქალაქში. მართლაც ლამაზი ქალაქია ტყიბული. განსაკუთრებით კი მისი ცენტრი.

ქალაქის ბოლოში გზა ორად იყოფა. ერთი, თერჯოლის გავლით, თბილისი-ქუთაისის ტრასაზე გადის. გზიდან მარჯვნივ ტყიბულის წყალსაცავი რჩება, რომლის ფართობი 12 კვ.კმ-ია, რაც ცოტათი ჩამორჩება თბილისის წყალსაცავს (12.3 კვ.კმ.). აქედან გავდივართ წინწკილის ფსიქიატრიულ საავადმყოფოსთან და ვეშვებით სოფ. ძევრში, საიდანაც თერჯოლის გავლით მთავარ გზაზე გავდივართ.

ჩვენ ტყიბულის ბოლოდან მივყვებით მარჯვნივ, ქუთაისისკენ

მიმავალ გზას. გავიარეთ ოკრიბის ისტორიულ სოფლებს: საწირე, ღელვა, ხრესილი, ორპირი, კურსები, გელათი და ქუთაისში შევდივართ. საწირის შემდეგ ოკრიბის ცნობილი 100 ჰექტარიანი წაბლის ტყეა. ასეთი დიდი ფართობის წაბლის ტყე იშვიათი მოვლენაა. შემდგომ ისტორიული სოფ. ხრესილია. ამ სოფლთან 1757 წელს ახალციხიდან შემოჭრილი თურქების ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი გამარჯვება იზეიმა იმერეთის მეფე სოლომონ I-მა. ეს ომი დასავლეთ საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ომი იყო. ხრესილიდან ორპირში და კურსებში გავდივართ. კურსებში მოიპოვება ძვირფასი სამშენებლო გრანიტი — კურსების ტეშენიტი.

გელათის შესახვევთან ვუერთდებით თბილისი-ქუთაისის მარშრუტს. გელათი, მოწამეთა, ბაგრატი, სათაფლია თბილისი-ქუთაისის მარშრუტშია მოცემული და მკითხველი იქ გაეცნობა. ქუთაისიდან უკან რიკოთის უღელტეხილით ვბრუნდებით. ქ. გორთან შეიკვრება ექსკურსიის დიდი წრე.

გომი – სავანე – საჩხერე – სხვიტორი – – კაცხი – ზესტაფონი

ცენტრალური მარშრუტიდან სოფ. გომთან გადავუხვევთ. გომიდან საჩხერემდე სულ 56 კმ-ია. ხუთიოდე კმ-ში ვაყას გავივლით. ეს სოფელი პატარა და მყუდრო ხეობაში მდებარეობს. ის ხეხილის ბაღებშია ჩაფლული. სოფელში გაედინება მდ. ჭერათხევი (ალის წყალი), რომელიც სარწყავ წყალს იძლევა. აქაურ მოსახლეობას მოვლილი ბაღ-ბოსტანი აქვთ. სოფლის ცენტრში ძველისძველი ეკლესიაა შემორჩენილი. ვაყის შემდეგ, მარცხნივ, მდინარის გაღმა სოფ. ნაბახტევია. მოჩანს დარბაზული ეკლესია, რომელშიც შემორჩენილია შესანიშნავი ფრესკები. ეს ფრესკები ქართული ფერწერის ძალზედ მნიშვნელოვანი ნიმუშია. მომდევნოში სოფ. ალია – უძველესი და საინტერესო სოფელი, რომელიც ისტორიულ წარსულში ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა ახლომახლო სოფლებისათვის. ალის მოპირდაპირედ სოფ. წაღვლია. სადაც მეფეებს სასახლე ჰქონდათ ისევე, როგორც ნაჭარმაგევში – თბილისიდან ქუთაისში მიმავალ გზაზე დასასვენებელი. ალის განაპირას აგურით ნაშენები რამდენიმე ნაგებობაა, მათ შორის, დიდი გუმბათიანი ტაძარი. სოფ. ცხეთისჯვართან ჭერათხევის ვიწყო ხეობაში შევდივართ. მარცხნივ, მთის ფერდობზე ჭერათხევის ციხეა აღმართული, რომელიც დასავლეთ საქართველოსკენ მიმავალ გზას კეტავდა. აქედან ჯვრის უღელტეხილამდე ამ მდინარის ლამაზ ხეობას მივყვებით.

გავიარეთ ჯვრის უღელტეხილი (988 მ.), რომელიც ყველაზე დაბალი გადასასვლელია ლიხის ქედზე. ისტორიულად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთავარი სამიმოსვლო გზა ამ უღელტეხილზე გადადიოდა. სამეფო ამალის გადაადგილება თბილისიდან ქუთაისში ამ გზით ხდებოდა: თბილისი-მცხეთა-უფლისციხე-ნაჭარმაგევი-წაღვლი-სვერის ციხე-ჩხარი-ქუთაისი. უღელტეხილიდან მდ. ძირულას ხეობაში შევდივართ. გადავივლით ძირუ-

ლას და აღმართს შევუყვებით. ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხე ზემო იმერეთი. სოფ. კორბოულთან, ზემო იმერეთის პლატოზე ვართ, საიდანაც დაბლა-დაბლა ვეშვებით საჩხერის მიმართულებით. გავივლით სოფლებს: მერჯევი — მუხრან მაჭავარიანის სოფელი; საირხე, სადაც აქაური არქეოლოგის ჯურხა ნადირაძის მიერ აღმოჩენილი და შესწავლილი იქნა მნიშვნელოვანი ნამოსახლარი. მანამ საჩხერეში შევალთ, მარჯვნივ გადავუხვევთ და სამიოდე კმ-ის გავლის შემდეგ მოვხვდებით სოფ. სავანეში. აკაკის სახლის ეზოში შევდივართ. შემორჩენილია სახლი, სადაც ექვსი წლის განმავლობაში ყრმა აკაკი იზრდებოდა ფარსადან ყანჩაველის ოჯახში და მანო სადუნიშვილის მზრუნველობით. აქვე, ეზოს ჩრდილოეთით, გორაზე მდებარეობს შესანიშნავი ძეგლი — სავანის წმინდა გიორგი, რომელიც 1046 წელს ოსტატ არაბის ხელით არის აშენებული, როგორც ადგილობრივი ფეოდალების კარის ეკლესია. ტაძრის კედლები შემკულია მდიდრული ჩუქურთმით. ეს ჩუქურთმა ემსგავსება კაცხისა და ნიკორწმინდის ჩუქურთმას. ტაძარში შემორჩენილია საკმაოდ მაღალი რანგის კანკელი, რომელსაც გვიანდელი გადაკეთებები განუცდია.

სავანიდან მივემართებით საჩხერეში. აქ ისტორიული ძეგლებიდან ქალაქის თავზე აღმართული „მოდი ნახეს“ ციხეა, რომელიც გვიან პერიოდში ადგილობრივი ფეოდალების, წერეთლების მთავარი ციტადელი იყო. გადმოცემით, წერეთელს მის ძლიერ მეზობელთან, აბაშიძესთან დაუკვეხნია: მოდი ნახე, რა ციხე ავაგეო.

საჩხერიდან ორიოდე კმ-ს გავივლით მდ. ჩიხურას ხეობაში სოფ. სხვიტორია. მარცხნივ, მაღლა აკაკის სახლ-მუზეუმია, სადაც დაიბადა დიდი პოეტი. აქ და სავანეში გაატარა მან ბავშვობა და ყრმობა. ის დაიბადა 1840 წელს და გარდაიცვალა 1915 წელს. — 75 წლის ასაკში. მუზეუმი მდიდარია პოეტის ცხოვრების ამსახველი ექსპონატებით. წერეთელთა გვარი იმერეთში ჰერეთიდან, დღევანდელი საინგილოდან, სოფ. წერეთიდან ჩამოსახლდა, XVII ს-ში. ამ პერიოდში საინგილო იარანს ჰქონდა დაპ-

ყრობილი და მიმდინარეობდა ქართული მოსახლეობის გამუსულ-მანება-ასიმილაცია. წერეთლებმა იმერეთს შეაფარეს თავი. სხვი-ტორიდან ავდივართ ცნობილ კლიმატურ კურორტ კვერეთში. აქ ზაფხულის პერიოდში მრავალი დამსვენებელი თუ მოაგარაკე ჩა-მოდიოდა. ბოლო პერიოდში კურორტი გაპარტახდა და დამსვე-ნებელთა რაოდენობამაც იკლო.

კვერეთიდან საჩხერეში ვბრუნდებით და გეზს ჭიათურისაკენ ვიღებთ. საჩხერიდან ჭიათურამდე 12 კმ-ია. გზა მდ. ყვირილას ვიწრო კანიონში გადის. მარჯვნივ სოფ. სარეკია. გზის პირას სა-რეკის გამოქვაბულია, რომელშიც სტალინი იმალებოდა 1905 წელს, ჭიათურაში მისი რევოლუციური მოღვაწეობის დროს. აქე-დან ჭიათურამდე, ხეობის თავზე, უამრავი საბაგირო გზა გადის, რომლის მეშვეობითაც მაღაროებიდან გადააქვთ მოპოვებული მა-დანი. საერთოდ, ჭიათურას საბაგირო გზების ქალაქს ეძახიან. აქ რამდენიმე ათეული ასეთი გზაა. ქ. ჭიათურა ყვირილის ვიწრო და ლამაზ ხეობაშია გაშენებული, სადაც 15 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. ქალაქის შესასვლელთან, მარჯვნივ, კლდეში მღვიმე-ვის მონასტერია, რომელიც XII ს-ში შეიქმნა – პირველად ბუ-ნებრივ ღვიმეში, შემდეგ კი ხელით გამოიჭრა გამოქვაბულები. ასე რომ, მღვიმევის მონასტერი ბუნებრივ-ხელოვნურ გამოქვაბულთა კომპლექსია. წარსულში (და ამჟამადაც) აქ მოქმედებდა ქალთა მონასტერი. ჭიათურიდან ნაგუთის აღმართით კაცხის მიმართუ-ლებით გავდივართ. გზად სოფ. ნავარძეთს გავივლით (მესხეთიდან გადმოსულებმა აქ გადმოიტანა თავის სოფლის სახელი). ჭიათუ-რიდან 10 კმ-ის გავლის შემდეგ სოფელ კაცხში შევდივართ. კაც-ხის ტაძარი ხელოვნების იშვიათი ძეგლია. გარედან ის მრავალ-წახნაგა ცილინდრს მოგვაგონებს. გარეთა მინაშენი, მთავარი კორპუსი და გუმბათის დოლი საკუთარი ფრონტონით მთავრდე-ბა, რითაც სამი დამოუკიდებელი კარნიზი იქმნება, რაც. თავის მხრივ, მეტად თავისებურ ელფერს აძლევს ტაძარს. მთავარი ტა-ძარი გეგმაში ექვსაფსიდიანია. ტაძრის შიგნითა ძირითადი ნაწი-

ლი ადგილობრივი ფეოდალების, ბაღავაშების მიერ X ს-ის ბოლოს აშენდა. გარეთა გალერეა ცოტა მოგვიანებით, XI ს-ის პირველ ნახევარშია აშენებული. XIX ს-ში მოხდა ტაძრის შეკეთება და ზოგი რამ შეიცვალა. ძირითადი ნაწილი შესანიშნავი ჩუქურთმით დღემდეა შემორჩენილი. კაცხის ჩუქურთმა თავისი ფორმით ახლოს დგას სავანის, ბაგრატის და ნიკორწმინდის ჩუქურთმასთან. ტაძარში არ შემორჩა ფრესკები.

კაცხიდან ერთ კმ-ში, მდ. კაცხურას ხეობაში მდებარეობს ბუნების იშვიათი ძეგლი კაცხის სვეტი. სვეტი შეიქმნა ტექტონიკური მოძრაობის შედეგად — მასიური კირქვის მასივს მოწყდა 50 მეტრამდე სიმაღლის კირქვის სვეტი, რომლის ფუძის ზომებია 12X16 მეტრი. მაღლითა ნაწილი უფრო განიერია. ზედ შემორჩენილია ორი ტაძრის ნანგრევი. ეტყობა, სვეტი წმინდა ადგილად ითვლებოდა და ზედ მესვეტე ცხოვრობდა. აქვე, სვეტის მახლობლად ორი მცირე ზომის კარსტული მღვიმეა.

ბრწყინვალე ტაძარი, სვეტი, მღვიმეები იმის საშუალებას ქმნის, რომ ეს მიდამოები გამოყენებული იქნას მნიშვნელოვან ტურისტულ ობიექტად.

კაცხიდან დაბლა, კოლხეთის დაბლობისკენ ვეშვებით და ქ. ზესტაფონის ტერიტორიაზე თბილისი-ქუთაისის ცენტრალურ საექსკურსიო მარშრუტს ვუერთდებით. აქედან უბისის გავივლით, რომელსაც ადგილზე ვათვალიერებთ მივემართებით თბილისისკენ. უბისის შესახებ საუბარია თბილისი-ქუთაისის საექსკურსიო მარშრუტში. გავივლით რიკოთის გვირაბს, სურამს, ხაშურს და სოფ. გომში ვუერთდებით ჩვენს მარშრუტს.

ქუთაისი — ბაღდათი — ვანი — ლანჩხუთი — — ქობულეთი — ბათუმი

ქუთაისიდან სამხრეთისკენ ავიღეთ გეზი. ბაღდათამდე 30 კმ-ია. პირველად საღორიას მუხიანი ტყის მასივს გავლით მივემართებით. სადგურ რიონის შემდეგ გავდივართ მდ. ყვირილაზე. მარჯვნივ სოფ. ვარციხეა — უძველესი დასახლება. ვარციხის ციხე ანტიკური პერიოდისაა და მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო. გზიდან მარცხნივ აჯამეთის ნაკრძალია, რომელიც მეფეთა სანადირო ტყე იყო ისტორიულ წარსულში. აქ არსებულ მუხოვან ტყეებში გარეული ღორისათვის კარგი საარსებო პირობები იყო. აქედან სოფ. ობჩას გავივლით და რაიონულ ცენტრ ბაღდათში შევდივართ. ბაღდათის რაიონი მნიშვნელოვანი მევენახეობის რაიონია. ამ დასახლებაში დაიბადა დიდი რუსი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი. მისი მამა აქ მეტყევედ მუშაობდა. პოეტის საპატივცემულოდ დაბას მრავალი წლის განმავლობაში მაიაკოვსკი ეწოდებოდა. დაბის სამხრეთ ნაწილში, მდ. ხანისწყლის მარჯვენა ნაპირზე მაიაკოვსკის სახლმუზეუმი მდებარეობს. მაღალკვალიფიციური გიდის მეშვეობით საშუალება გექნებათ მუზეუმი დაათვალიეროთ. ბაღდათიდან კურორტ საირმემდე 25 კმ-ია.

მაიაკოვსკიდან ვანისკენ მივემართებით. ის აქედან დასავლეთით, ორმოცდაათიოდე კმ-ში მდებარეობს. ვანის ტერიტორიაზე, ე.წ. ახვლედიანების გორაზე არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი იქნა ანტიკური ქალაქის ნანგრევები, სადაც გათხრების შემდეგ მდიდარი და მრავალმხრივ საინტერესო ნამოსახლარი აღმოჩნდა. ის მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, შემაღლებულ გორაზე მდებარეობს. აქვე, ყოფილ საბჭოთა კავშირში ყველაზე უძველესი არქეოლოგიური მუზეუმია. აღმოჩენილი ძვირფასი სამკაულების ნაწილი თბილისის ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმში ინახება, ხოლო დიდი ნაწილი კი აქ, ვანის არქეოლოგიურ მუზეუმშია გამოფენილი. ექსპონატების დათვალიერება მუზეუმის მეცნიერ-მუ-

შაკების ხელმძღვანელობით მიმდინარეობს.

ვანის შემდეგ სოფ. შუამთიდან მარჯვნივ ვუხვევთ და ათიოდე კმ-ის გავლის შემდეგ მდ. რიონის პირას, სოფ. ჭყვიშში შევდივართ. ამ სოფელში დაიბადა დიდი გალაქტიონი 1891 წელს. აქ მდებარეობს მისი სახლ-მუზეუმი. აქვე, აგრეთვე, არის ტიციან ტაბიძის მუზეუმი. ორივე სახ-მუზეუმის დათვალიერება ადგილობრივი ექსკურსიამძღოლების მონაწილეობით მიმდინარეობს. აქვე, რიონის პირას, კვარცხლბეკზე აღმართულია ახალი არგოს მაკეტი. 1984 წლის ივლისის თვეში, ტიმ სევერინის ხელმძღვანელობით სოფ. ჭყვიშს მოადგნენ ახალი არგონავტები. მათ საბერძნეთის ქ. ვოლოსინიდან არგონავტების მიერ 3300 წლის წინ გავლილი გზა გაიარეს და ღუზა სოფ. ჭყვიშთან ჩაუშვეს. აქედან ქუთაისისკენ შეუძლებელია რიონით გზის გაგრძელება, აქ არსებული ელექტროსადგურის კაშხალის გამო.

ჭყვიშიდან ლანჩხუთისკენ მივემართებით. მარცხნივ სოფ. დაფნარია, სადაც არქეოლოგების მიერ სოფლის ტიპის ნამოსახლარია შესწავლილი. დაფნარის შემდეგ ისტორიული სოფ. საკავახოა. ამ სოფელში გზა ორად იყოფა: ერთი ჩოხატაურ-ოზურგეთის გავლით გურიის ორ რაიონს გაივლის და ქობულეთში ჩადის, მეორე გზა კი ლანჩხუთზე გადის. გურიის სამივე რაიონი მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის მნიშვნელოვანი რაიონებია. ჩოხატაურის რაიონში ორი კურორტია: ნაბეღლავი — ბალნეოლოგიური კურორტი და ბახმარო — მთის კლიმატური კურორტი. ჩვენ ლანჩხუთის გზით მივემართებით. ლანჩხუთის მდიდარი რაიონი მდ. რიონის მარცხენა მხარეს მდებარეობს. სოფ. სუფსიდან ერთი გზა ფოთის მიმართულებით მიდის. აქვე, ახლოს სუფსის ნავთობის ტერმინალია. ჩვენ მარცხნივ მივუყვებით. ურეკთან ზღვაზე გავედით. ურეკი გამორჩეული პლაჟის კურორტია. მისი პლაჟის ქვიშას მაგნიტური თუ რადიაციული თვისებები აქვს. იგი განსაკუთრებით კარგია ბავშვების სამკურნალოდ. ურეკის შემდეგ სოფ. ნატანებია. ეს ადგილები დაფარულია ციტრუსის და ჩაის პლანტაციებით.

ნატანების შემდეგ მდ. ჩოლოქზე გადავდივართ, საიდანაც აჭარის ავტონომიის ტერიტორია იწყება. აჭარის ავტონომია საბჭოთა კავშირის დაარსების შემდეგ ეროვნული ნიშნით კი არა, რელიგიური ნიშნით შეიქმნა. მისი დედაქალაქი ბათუმია. ავტონომია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. მას სამხრეთიდან თურქეთი ესაზღვრება, დასავლეთიდან — შავი ზღვა, ჩრდილოეთიდან — გურიის ადმინისტრაციულ-ეთნიკური კუთხე, აღმოსავლეთიდან — არსიანის ქედი. სულ მოიცავს ხუთ ადმინისტრაციულ რაიონს — ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი და ქ. ბათუმი. მოსახლეობის უმრავლესობა ქართველია. პირველი რაიონი, რომელსაც გავივლით, ქობულეთია — საქართველოს უპირველესი მეციტრუსეობის რაიონი. საბჭოთა პერიოდში იგი საქართველოს ყველაზე მდიდარი რაიონი იყო, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მიხედვით. ქ. ქობულეთი მნიშვნელოვანი ზღვის კურორტია. ის შავი ზღვის პირას, ვიწრო ზოლად არის გაშენებული. კურორტს 12 კმ-ის სიგრძეზე გაუყვება ლამაზი პლაჟი. ზაფხულის პერიოდში აქ მრავალი დამსვენებელი ჩამოდის. მათი დიდი ნაწილი კერძო სექტორში ქირაობს ბინას. ქობულეთი ვაკე ადგილას მდებარეობს. აქედან ბათუმამდე 30 კმ-ის სანაპირო შედარებით მთაგორიანია. ქობულეთიდან პირველი კურორტი ციხისძირია. ის ზღვის პირას, ლამაზ გორაკებზე არის შეფენილი. კურორტის ტერიტორიაზე მდებარეობს საქართველოს მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე პეტრას ციხე, რომელიც V ს-ში აშენდა.

ციხისძირიდან მოზრდილ სამრეწველო დაბაში, ჩაქვში შევდივართ. ჩაქვში მუშაობს ჩაის გადამამუშავებელი საწარმო. აჭარა გარდა იმისა, რომ მეციტრუსეობის მთავარი რეგიონია, ამავე დროს ჩაის ერთ-ერთი მთავარი მწარმოებელია. ჩაქვიდან გზა ისევ ციტრუსის ბაღებსა და ჩაის პლანტაციებზე გადის. საცხოვრებელი სახლები მწვანე სამოსშია ჩაფლული. აქ, ზღვის ნაპირსა და გზას შორის საქვეყნოდ ცნობილი კურორტი, მწვანე კონცხია, რომლის მიდამოებშიც მდებარეობს საქართველოში უდიდესი ბო-

ტანიკური ბაღი. იგი შექმნა პროფესორმა კრანსოვმა 1912 წელს. პოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე გაშენებულია ყველა კონტინენტის და ბუნებრივი ზონის მცენარეულობა — დაწყებული ტუნდრიდან, ტროპიკული ტყეებით დამთავრებული. ბათუმამდე კიდევ ერთ ცნობილ კურორტს გავივლით. ეს მახინჯაურია, რომელიც ბათუმის მისადგომებთან მდებარეობს.



ქ. ბათუმი ჩვენი ქვეყნის უმთავრესი საზღვაო კარიბჭეა. მდებარეობს საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ე.წ. კახაბერის ველზე. სანავსადგურო ქალაქი საკმაოდ ღრმა უბის პირასაა გაშენებული. აქედან მოდის მისი სახელი. ბათომ ნიშნავს ღრმა უბეს. ნავსადგური დიდ ტვირთბრუნვას აწარმოებს და დაკავშირებულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ნავსადგურთან. ბათუმი საკმაოდ დიდი ქალაქია. საქართველოს ქალაქებს შორის სიდიდით მეოთხე ადგილზეა (თბილისის, ქუთაისის და რუსთავის შემდეგ). ბათუმი აჭარის მთავარი სამრეწველო ქალაქია. ამავე დროს, ავტონომიის პოლიტიკური და კულტურული ცენტრი; ქალაქი, სადაც 100 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. ბათუმი არა მარტო აჭარის, არამედ მთელი საქართველოს მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრია. საბჭოთა პერიოდში იგი საკავშირო მნიშვნელობის კურორტი იყო. ამჟამად საქართველოს უმთავრესი საზღვაო კურორტია, ქობულეთთან ერთად. ქალაქს სამხრეთიდან ჩაუდის მდ. ჭოროხი, რომლის გავლის შემდეგ, რამდენიმე კმ-ში გონიოს ციხე მდებარეობს. ციხე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის სამიმოსვლო გზის მთავარი მაკონტრტოლებელი იყო. ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლია აჭარაში. გონიოდან ახლოს იმყოფება სოფ. სარფი, რომლის იქით თურქეთი იწყება.

ქუთაისი – მარტვილი – ნოქალაქევი

ქუთაისიდან ჩრდილო-დასავლეთით მივემართებით. ათიოდე კმ-ის გავლის შემდეგ კურორტ წყალტუბოს ტერიტორიაზე შევდივართ, რომელიც ლამაზად არის გაშენებული. ბუნებრივი ტაფობი, რომლის გარშემო, დაბალ გორებზე სანატორიუმის კორპუსებია წამოჭიმული ქალაქის მთავარ დასასვენებელ ადგილს წარმოადგენს. აქ გაშენებულია ტყე-პარკი, ცენტრში ამოდის მინერალური წყალები. წყალტუბოს რადიაქტიული მინერალური წყლები უნიკალური მოვლენაა – მკურნალობს მრავალ დაავადებას. თავისი სამკურნალო თვისებების გამო, ხშირად, საქართველოს ბადენ-ბადენს ეძახიან. ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიაზე ათობით სანატორიუმია. მათი უმრავლესობა მწყობრიდან არის გამოსული. აუცილებელია მისი აღდგენა და ფეხზე დაყენება. წყალტუბოს მიდამოებში რამდენიმე კარსტული მღვიმე მდებარეობს, რომელთა დათვალიერებაც არ წარმოადგენს სირთულეს. განსაკუთრებით ადვილი მისადგომია. ე.წ. თეთრი მღვიმე. ის ქალაქიდან სულ 500 მეტრში მდებარეობს. მღვიმე ძალიან მდიდარია მღვიმური ფორმებით – სტალაქტიტები. სტალაგმიტები. ისინი ქათქათა თეთრი ფერისაა.

წყალტუბოდან გეზი ქ. ხონისკენ ავიღეთ. წყალტუბოდან ხონამდე 14 კმ-ია. ქალაქი გაშენებულია მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე. იგი იმერეთის ყველაზე დასავლეთი რაიონია სამტრედიასთან ერთად. აქედან ავყვებით ცხენისწალს ალმა და სოფ. მათხოჯთან გადავდივართ მდინარის მარჯვენა ნაპირზე. საიდანაც სამეგრელო იწყება. მას გვიან პერიოდში ოდიში ერქვა. საქართველოს ეს კუთხე შვიდი ადმინისტრაციული რაიონისაგან შედგება – მარტვილი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, აბაშა, სენაკი, ხობი, ზიგდიდი და ფოთის საქალაქო ზონა. ამჯერად მარტვილში ვიმყოფებით, რომელიც პატარა სასოფლო რაიონია. რაიონის მთავარი სამეურნეო დარგებია: მაჩაიობა, მესიმინდეობა და მეცხოველეო-

ბა. მარტვილში მოქმედებს კარგი მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი. რაიონულ ცენტრთან ახლოს, ლამაზ ბუნებრივ გორაზე მდებარეობს ქართული არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლი მარტვილისი ტაძარი. დაბლიდან აღმართ გზას შევუყვებით. ზედ გორის თავზეა წამომართული მარტვილის ტაძარი, რომელიც აშენებულია VII ს-ის დასაწყისში. იგი წარმოადგენს გუმბათიან ტაძარს და გეგმაში ემსგავსება მცხეთის ჯვარს, თუმცა ინტერიერში არი განსხვავებული ნიშნები. ტაძარმა გადაკეთება განიცადა X ს-ში, აფხაზეთის მეფე გიორგი II-ს მეფობის დროს — გადაკეთდა ფასადები, აღდგენილი იქნა გუმბათი. ტაძრის ინტერიერში შემორჩენილია XIV-XVII ს-ის ფრესკები. ეზოში დგას მცირე ორსართულიანი ტაძარი.

მარტვილიდან გადავდივართ მდ. ტეხურის ხეობაში. მდინარის ნაპირას მდებარეობს უდიდესი ციხე-სიმაგრე, ისტორიული არქეოპოლისი-ციხე გოჯი, რომელიც ლაზიკის დედაქალაქი იყო. ქალაქის ტერიტორიაზე შემორჩენილია მრავალი ნაგებობა, ნანგრევების სახით — ზოგი უკეთა არის შემორჩენილი. აქედან ქუთაისში დაბრუნება შეიძლება იმავე გზით, ან სენაკისა და სამტრედიის გავლით.

ეს კუთხე დიდი პოლიტიკოსის და ისტორიული მოღვაწის, გიორგი ჭყონდიდელის სამშობლოა. ჭყონდიდი — დიდი მუხა აქედან ახლოს მდებარეობს, მდ. ტეხურის ხეობაში. გიორგი ჭყონდიდელი დავით აღმაშენებლის აღმზრდელი და ვაზირთუხუცესი იყო. მისი უშუალო მონაწილეობით ჩატარდა ის რეფორმები, რომლიც დავით აღმაშენებელმა განახორციელა. ის დიდი საქართველოს ჩამოყალიბების საჭესთან იდგა.

ქუთაისი – ზუგდიდი – სოხუმი – გაგრა – რიწა

ქუთაისიდან დასავლეთით, ქ. სამტრედიის მიმართულებით მივემართებით. აქედან სამტრტედიამდე 30 კმ-ია. სამტრედია ჩვენი ქვეუნის ერთ-ერთი მთავარი სამაგისტრალო ქალაქია. აქ იკვეთება დასავლეთ საქართველოს სამიმოსვლო გზები. ქალაქი დასავლეთ საქართველოს ცენტრში, მდ. რიონის და ცხენისწყლის შეერთების კუთხეში მდებარეობს. სამტრედიიდან, ცხენისწყლის ხიდის გავლის შემდეგ სამეგრელოს ტერიტორიაზე შევდივართ. პირველი რაიონი აბაშის რაიონია. ჩვენი მარშრუტით, სამეგრელოს შვიდი რაიონისა და ერთი საქალაქო ზონიდან, ოთხ რაიონს გავივლით – აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი. აბაშის რაიონი მებოსტნეობის და მესიმინდეობის მნიშვნელოვანი რაიონია. რაიონის ცენტრიდან მარჯვნივ გზა სოფ. აბაშისკენ მიემართება, სადაც მოქმედებს დიდი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი. ამ სოფელში დაიბადა დიდი მწერალი 1893 წელს, გარდაიცვალა 1975 წელს. აბაშიდან 15 კმ-ის გავლის შემდეგ ქ. სენაკში შევდივართ. ეს ქალაქიც მნიშვნელოვანი სამაგისტრალო პუნქტია. აქედან ერთი გზა ფოთისკენ მიემართება. ფოთამდე 30 კმ-ია. სენაკიდან 2 კმ-ში მდებარეობს კურორტი მენჯი.

ფოთი საქართველოს უმთავრესი საპორტო ქალაქია. იგი უძველესი პორტი იყო შავ ზღვაზე. ის დღეს არის საქართველოს მთავარი საზღვაო კარიბჭე. მდებარეობს იმ ადგილას, სადაც მდ. რიონი შავ ზღვას შეერთვის. ფოთი თანამედროვე საპორტო ქალაქად აქცია ნიკო ნიკოლაძემ. ამ დიდმა საზოგადო მოღვაწემ საფუძვლიანად გარდაქმნა ფოთის პორტი. სენაკიდან ერთი გზა მარტვილის მიმართულებით მიდის, ერთი სამტრედიის, ერთიც ზუგდიდის მიმართულებით. ჩვენ ზუგდიდისკენ მივემართებით. ზუგდიდამდე კიდევ ერთ რაიონულ ცენტრს, ხობს გავივლით, რომელიც მეციტრუსეობის, მეჩაიეობის და მედაფნეობის უპირველესი რაიონია საქართველოში. ხობიდან სოფ. ხეთას გავივლით,

სადაც კარგად შემორჩენილი ძველი ციხე დგას. ხეთის შემდეგ, მარჯვნივ ცაიშის VII ს-ის გუმბათიანი ტაძარი მოჩანს. ცაიში ბალნეოლოგიური კურორტია. აქ ამოსულ მინერალურ წყალს სამკურნალოდ იყენებენ. აბაზანების სახით.

ქ. ზუგდიდი სამეგრელოს უმთავრესი და უძველესი ქალაქია. ოდიშის მთავრების, დადიანების რეზიდენცია. ქალაქის ცენტრში შემორჩა დადიანების სასახლე, რომელიც XVII ს-შია აშენებული. აქვე დგას XIX ს-ის სასახლე და ამავე საუკუნეში აშენებული კარის ეკლესია. დადიანების ისტორიულ რეზიდენციაში მუშაობს მუზეუმი. მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ მუზეუმად, თავის ექსპონატებით. აქვე, ეზოში მდებარეობს ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი. ზუგდიდი მნიშვნელოვანი სამრეწველო ქალაქია. აქედან მარჯვნივ გზა სვანეთის მიმართულებით მიდის. სვანეთის საექსკურსიო მარშრუტი, უგზოობის გამო, არ მოქმედებს. აქედან სოფ. ჯვარამდე შეიძლება ჩასვლა და ენგურჰესის კაშხალის დათვალიერება. ეს კაშხალი და, საერთოდ, ენგურჰესი XX ს-ის უდიდესი ნაგებობაა. კაშხალის სიმაღლე 275 მეტრია და შექმნილია დიდი წყალსაცავი. ზუგდიდიდან დასავლეთით გადავდივართ 500 მეტრის სიგრძის, მდ. ენგურის ხიდზე. ამ ხიდის შემდეგ აფხაზეთი იწყება. საბჭოთა პერიოდში სამდღიანი ექსკურსიები ტარდებოდა თბილისიდან აფხაზეთში: სოხუმი — გაგრა — რიწა; სოხუმი — ახალი ათონი. მიუხედავად რთული პოლიტიკური სიტუაციისა, გადავწყვიტე ამ მარშრუტის აღწერა, რადგან დღეს და ხვალ; თუ არა, ზეგ დაგვჭირდება.

აფხაზეთი საქართველოს ყველაზე დასავლეთი კუთხეა. ის ჩვენი ქვეყნის ძირითადი შემადგენელი ნაწილი იყო ყოველთვის. ადმინისტრაციულად აფხაზეთი ექვსი რაინისგან შედგება — გალი, ოჩამჩირე, გულრიფში, სოხუმი, გუდაუთა, გაგრა. გზად პირველი რაიონი გალის რაიონია. იგი სამურზაყანოს ისტორიულ კუთხეს მოიცავს. არის მნიშვნელოვანი სუბტროპიკული კულტურების რეგიონი. საბჭოთა პერიოდში ითვლებოდა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ რაიონად. ამ რაიონის ტერიტორია-

ზე იმყოფება ენგურის ენერგო-კასკადის მნიშვნელოვანი ნაწილი, დიდი კაშხალის გარდა, რომელიც წალენჯიხის რაიონშია. გალის რაიონში მდებარეობს ბედიის ცნობილი ტაძარი, სადაც დაკრძალულია გაერთიანებული საქართველოს მეფე, ბაგრატ III.

გალიდან გადავდივართ ოჩამჩირის რაიონში. გავივლით ისტორიულ სოფ. ილორს. გზის პირას აღმართულია X ს-ის ილორის ცნობილი ტაძარი. აქედან მდ. ღალიძგას გავივლით, საიდანაც იწყება ქ. ოჩამჩირე (ისტორიული გიენესი) — ზღვის მნიშვნელოვანი კლიმატური კურორტი. ოჩამჩირიდან ჩრდილოეთით სოფ. მოქვია, X ს-ის ცნობილი ტაძრით. ოჩამჩირიდან ჩვენი მარშრუტი ზღვის სანაპიროს, ან ზღვის სიახლოვეს მიემართება. სოფ. დრანდამდე მდ. კოდორს გადავდივართ, რომელიც საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე წყალუხვი და აფხაზეთის ყველაზე დიდი მდინარეა. კოდორის შემდეგ სოფ. დრანდა მდებარეობს. გზიდან მარცხნივ, სოფლის ცენტრში მდებარეობს მნიშვნელოვანი გუმბათიანი ტაძარი, რომელიც VIII ს-ში აშენდა. დრანდის შემდეგ რაიონულ ცენტრს, გულრიფშს გავივლით, საიდანაც, რამდენიმე კმ-ში მდ. კელასურს მივადგებით. აქედან ქ. სოხუმი იწყება.

ქ. სოხუმი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია. იგი სოხუმის უბის გარშემოა გაშენებული, მდ. კელასურსა და მდ. გუმისთას შორის. აფხაზეთის პოლიტიკური, კულტურული, სამრეწ-

ველო ცენტრი და მნიშვნელოვანი კურორტია შავ ზღვაზე. ქალაქის ტერიტორიაზე პატარა მდ. ბესლეთს ავყვებით. ამ მდინარეზე, ერთი კმ-ით ზემოთ, ძველი საქართველოს მნიშვნელოვანი ნაგებობა,

ბესლეთის ხიდი მდებარეობს. ხიდი XII ს-შია აგებული. იგი წარმოადგენს ერთმალიან ხიდს. მასზე შემორჩენილია ასომთავრული წარწერები. აქედან ქალაქის ცენტრში, მთავარ ბულვარზე შევდივართ. სოხუმში ექსკურსანტებისათვის კარგი სანახავია ბოტანიკური ბაღი და უნიკალური მაიმუნთსაშენი, სადაც დიდი მეცნიერული კვლევა-ძიება მიმდინარეობს.

სოხუმის შემდეგ გეზს ისევ დასავლეთისკენ ვიღებთ. გადავდივართ მდ. გუმისთაზე ლამაზი ხიდით, რომლის შემდეგ საკურორტო სოფ. ეშერა იწყება. აქ, გზის მარჯვენა მხარეს შთამბეჭდავი რესტორანია. ის გამოქვაბულშია გამოშენებული. მალე ახალ ათონს მივადგებით.

ახალი ათონი საქვეყნოდ ცნობილი ზღვის კლიმატური კურორტია. იგი ზღვასთან ახლოს მდებარე მთის კალთებზეა გაშენებული. მთის და ზღვის ასეთი სიახლოვე კარგ მიკრო-კლიმატურ პირობებს ქმნის, რაც განსაზღვრავს კურორტის დადებით მხარეებს. ახალი ათონი უძველესი დასახლებაა. მაღლა, ანაკოფიის მთაზე ციხის ნანგრევებია შემორჩენილი. საეკლესიო წყაროებით აქ ქრისტიანობა პირველად მოციქულმა სიმონ კანანელმა იქადაგა. ის ანდრია პირველწოდებულთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში I ს-ში. კურორტის ტერიტორიაზე, მდ. ფსირცხის მარცხენა ნაპირზე პატარა გუმბათიანი ტაძარია, რომელიც სიმონ კანანელის სახელზეა აგებული. კურორტის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს XIX-XX სს-ის საზღვარზე, რუსულ სტილზე აშენებული ტაძარი ფსირცხა, რომელიც მაღალი ხელოვნებით აშენებული ტაძარია.

საგანგებოდ უნდა შევეხო ახალი ათონის მღვიმეს, თუმცა ჩემთვის უცნობია, რა მდგომარეობაშია ამჟამად. კურორტის ჩრდილოეთით, ანაკოფიის მთის გადაღმა დიდი ბუნებრივი ორმო ადგილობრივი მოსახლეობისათვის ოდითგან იყო ცნობილი. მას უძირო ორმოს ეძახდნენ, რადგან შიგ ჩაგდებული ქვა დიდი ხნის განმავლობაში ხმაურით მიგორავდა. დადგა ამ უძირო ორმოს საი-

კალციტის ტრავერტინი „ქაჯეთის ციხე“

დუმლოს გაცხადების დრო. 1961 წელს მას ეწვია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტულ-სპელეოლოგიური ლაბორატორიის სპელეოლოგთა ჯგუფი, შალვა ყიფიანის ხელმძღვანელობით. ჯგუფი შეიარაღებული იყო ალპინისტური ტექნიკით. დაიწყო ჩასვლა 200 მეტრზე მეტი სიღრმის უფსკრულში. უფსკრულის ძირში ჰორიზონტალურ მღვიმეთა სისტემა იყო. პირველი კაცი, ვინც მარადიულ წყვდიადში არსებული სილამაზე იხილა, უმამაცესი სპელეოლოგი, არსენ ოქროჯანაშვილი იყო. წარმომიდგენია, რას განიცდიდა ის. პირველად რომ დადგა ფეხი ფსკერზე. წილად მხვდა ბედნიერება, ახალი ათონის მღვიმე მეხილა შეურყვნელი, ველურ მდგომარეობაში. გვირაბი რომ გაიყვანეს, აქ ექსპედიციით ვიმყოფებოდით. ამ გვირაბის მეშვეობით შევაღწიე მღვიმეში და დილიდან საღამომდე საფუძვლიანად დავათვალიერე. შუქი გაყვანილი იყო. შიგნით სხვა არავითარი სამუშაოები არ იყო ჩატარებული, არც ბილიკები იყო გაყვანილი. ასე, რომ ველური ახალი ათონის მღვიმე ვიხილე. ამ პერიოდისათვის საკმაო გამოცდილება მქონდა სპელეოლოგიაში. მაგრამ ასეთ გრანდიოზულ სიცარიელეს თუ ვიხილავდი, წარმოუდგენელი იყო ჩემთვის. დიდი შოაბეჭდილება მოახდინა ქვის ყვავილებით მოხატულმა კედლებმა, სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების სიმრავლემ, დარბაზ თბილისის განუმეორებელმა სილამაზემ. მთავარი საოცრება ჯერ კიდევ წინ მელოდა. დარბაზ თბილისიდან მარცხნივ, კარნიზის ქვეშ პატარა შესასვლელია, საიდა-

ნაც ჰელექტიტების სალონში შევდივართ. ეს არის დაბალი, 1-2 მეტრი სიმაღლის ჭერის და მცირე ფართობის (15X20 მ.) დარბაზი, რომლის ჭერი მთლიანად დაფარულია უცნაური მღვიმური ფორმებით — ჰელაქტიტებით. ჰელაქტიტები არა სიმეტრიული, არამედ ექსცენტრიული, კალციტისგან შექმნილი ფორმებია. უკეთ რომ გამეცნობიერებინა ეს სილამაზე, იატაკზე დავწექი და ასე ვტკბებოდი ამ მშვენიერებით. აქ, მარადიულ წყვდიადსა და სიწყნარეში უკეთ გესმის შენი გულის ცემა. მღვიმეში ყოფნა ისე გამიტკბა, დილის 9 საათზე შესული საღამოს 8 საათზე გამოვედი მღვიმიდან. ბიჭები, რომლებიც გარეთ მელოდნენ, აღელვებულები დამხვდნენ — შეეშინდათ, არაფერი დაემართოსო. (ცოტა გამიგრძელდა — პატიებას ვთხოვ მკითხველს).

ახალი ათონის მღვიმის სიგრძე მთავარი ღერძის გასწვრის 1500 მეტრს აღემატება. ჯამური სიგრძე 3000 მეტრია. მღვიმეში გამოიყოფა ცხრა დარბაზი: სოხუმი, ქართველ სპელეოლოგთა, თიხის, კანიონი, ტაძარი, აფხაზეთი, ივერია, თბილისი, ჰელექტიტების. მღვიმე მოცულობით ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. თვალსაჩინოებისათვის — ქართველ სპელეოლოგთა დარბაზის სიგრძე 260 მეტრია, დარბაზ-ტაძარის სიმაღლე — 90 მეტრი, თიხის დარბაზის სიგანე — 50 მეტრს აღემატება. მღვიმეში კურორტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნა გვირაბი, რომელიც შედის დარბაზ აფხაზეთში. ექსკურსანტები პატარა მატარებლით შეჰყავთ მღვიმეში. დარბაზ აფხაზეთიდან ფეხით მიუყვებიან, ათვალიერებენ ყველა დარბაზს და გამოდიან დარბაზ თბილისიდან. ბოლოს სხდებიან მატარებელში, რომელსაც გამოყავს დღის სინათლეზე.

ახალი ათონიდან ოციოდე კმ-ის გავლის შემდეგ გუდაუთას გავივლით, რომელიც რაიონული ცეცნტრი და მნიშვნელოვანი კურორტია, შესანიშნავი პლაჟით. გუდაუთიდან ჩრდილოეთით სოფ. ლიხნია — აფხაზეთის მთავრების ისტორიული რეზიდენცია. სოფელში არის X ს-ის მნიშვნელოვანი ტაძარი, რომელზეც შემორჩენილია ქართული ასომთავრული წარწერები. გაგრისკენ მიმავალ



გზაზე, მარცხნივ ცნობილი ნაკრძალი მიუსერაა. მის მეზობლად ბიჭვინთის ენდემური ფიჭვის ტყეა. სახელწოდება ბიჭვინთა ფიჭვის მთას უნდა ნიშნავდეს. აქვე, ახლოს ზღვის კლიმატური კურორტი ბიჭვინთაა — ლამაზი და გამორჩეული. აქ ძველის-ძველი ნამოსახლარები შეისწავლეს არქეოლოგებმა. აქვე მდებარეობს ბიჭვინთის ცნობილი გემბათიანი ტაძარი. ძალზედ საინტერესოა პატარა ტაძარში აღმოჩენილი მოზაიკის იატაკი, რომელიც ძალისის ცნობილი მოზაიკის (II ს.) შემდეგ ყველაზე ძველი მოზაიკაა საქართველოში — V ს.

ბიჭვინთიდან ქ. გაგრაში მივემგზავრებით. ქ. გაგრა ზღვის პირას, ციცაბოდ აღმართული მთის კალთებზეა გაშენებული. იგი ზღვის ნაპირს ვიწრო ზოლად მიჰყვება 20 კმ-ის მანძილზე. წარმოადგენს ერთ-ერთ ლამაზ და გამორჩეულ კურორტს მთელ შავიზღვისპირეთში. იგი ბორჯომთან, წყალტუბოსთან და ბიჭვინთასთან ერთად საერთაშორისო მნიშვნელობის კურორტია.

გაგრიდან უკან ვბრუნდებით და მდ. ბზიფის ხეობით რიწის გზას მივუყვებით. აქედან რიწამდეე 60 კმ-ია. ბზიფის ხეობაში ბუნების მნიშვნელოვან ძეგლებს გავივლით. ბზიფის ულამაზესი კანიონი, რომლის შვეული კლდეების სიმაღლე 200-300 მეტრს აღემატება. ამ ხეობაშია საქვეყნოდ ცნობილი ცისფერი ტბა. ტბა კარსტული ვოკლუზაა (კარსტული — წყალში ხსნადი ქანების წყლის მიერ გახსნას ნიშნავს; ვოკლუზა — დიდი დებეტის წყაროა). გაგრის ქედის სიღრმეში მოგროვილი წყალი ამ ადგილას დიდი წყაროს სახით ამოდის და პატარა ტბას (70X50 მ.) მოგ-



ვაგონებს. ზაფხულობით ტბასთან უამრავი ხალხი იყრის თავს, ძირითადად — რიწისკენ მიმავალი. ცისფერი ტბიდან იუფშარას ხეობას შეეუყვებით აღმა. მდ. იუფშარა რიწიდან გამოედინება. დიდი აღმართის ავლის შემდეგ ტბის ნაპირზე ვართ.

ეს ულამაზესი ტბა დაახლოებით 450 წლის წინ შეიქმნა, როცა მთის ფერდობი ჩამოინგრა და გადაკეტა მდ. ლაშიფცეს ხეობა. დაგროვდა წყალი და შეიქმნა ტბა, რომლის სიღრმე 115 მეტრია, სიგრძე კი 2 კმ-ს აღემატება, სარკის ფართობი 1,5 კმ²-ია და ზღვის დონიდან სიმაღლე კი 800 მეტრზე მეტია. ტბაში მდ. ლაშიფსე ჩაედინება. ტბის მიდამოები ციცაბო მთის კალთებით არის შემოსაზღვრული, რომლებიც ტყით არის დაფარული. რიწიდან ათიოდე კმ-ში კურორტი ავადხარაა. თუ რიწა მთის კლიმატური კურორტია, ავადხარას კლიმატურ ფაქტორებთან ერთად მინერალური წყლებიც გააჩნია. წარმოებს ბოთლებში მათი ჩამოსხმა. რიწა-ავადხარის მიდამოებში გავრცელებულია საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ნაკრძალი, რომელიც კომპლექსურია და იცავს მკვდარი ბუნების ძეგლებს, მცენარეულ საფარს და ცხოველთა სამყაროს.

ეს მარშრუტი დასაწყისში თბილისის საგარეუბნო კურორტებს გაივლის. თბილისიდან შეიძლება წყნეთის გავლით (უფრო ახლოსაა) ქალაქის ბოლოდან, ბაგებიდან აღმართს მივუყვებით. მარჯვნივ ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი უბანი, საბურთალო გვრჩება. რამდენიმე კმ-ის გავლის შემდეგ მარჯვნივ, მდ. ვერეს ხეობაა. შთამბეჭდავია ვერეს ლამაზი მეანდრები. ავათავეთ აღმართი და წყნეთში შევედით. მნიშვნელოვანი საგარეუბნო აგარაკი ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მაღლა მდებარეობს. ამ, თბილისთან ახლოს მდებარე კურორტზე შეძლებულ და მდიდარ ოჯახებს აქვთ აგარაკები. მეორე და ძირითადი მარშრუტი სოლოლაკიდან მიუყვება. პირველი სადაჩო ადგილი მარჯვნივ მდებარე სოფ. ოქროყანაა. ის მიბჯენილია მთაწმინდის პლატოს. შემდეგ მოდის სააგარაკო სოფლები: შინდისი, წავკისი, ტაბახმელა. ტაბახმელა ისტორიული აგარაკია. აქ იმყოფებოდა მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია. ყველზე მაღლა, უძოს მთის ფერდობზე კოჯორია, რომლის განაპირას აღმართულია კოჯრის ციხე, რომელიც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო ალგეთის ხეობაში. კოჯორი 1300 მეტრზე მდებარეობს, ზღვის დონიდან და საუცხოო აგარაკს წარმოადგენს.

კოჯრის შემდეგ სამადლოა. აქ, მარცხნივ კურორტი კიკეთია. მარჯვნივ გზა სოფ. ახალდაბაში მიემართება, საიდანაც საცალფეხო ბილიკის გავლით ბეთანიის მონასტერში მოეხვდებით. ბილიკით 5 კმ-ია ახალდაბიდან ბეთანიამდე. ბეთანია მდ. ვერეს ლამაზ ხეობაში მდებარეობს, თბილისიდან 16-18 კმ-ში. იგი XII ს-ის ბოლოს აშენებული ბრწყინვალე გუმბათიანი ტაძარია. მისი ფასადების დიდი ნაწილი და გუმბათის ყელი უზადო ჩუქურთმაშია ჩასმული. X-XIV სს. ქართული ჩუქურთმის აყვავების ხანაა. არც ბეთანიის ოსტატმა შეირცხვინა ამ მხრივ თავი. ტაძრის ინტერიერში შესანიშნავი ფრესკებია. აქ შემორჩენილია თამარ მეფის ერთ-

ერთი ფრესკა. ფრესკები XII-XIII სს-ის საზღვარზეა შექმნილი.

კიკეთიდან ჩვენი გზა მდ. ვერეს და მდ. ალგეთის წყალგამყოფი ქედის თხემს მიუყვება. აქ, მარჯვნივ კლდოვანი ქარაფია. სწორედ ამ ქარაფიდან გადააგდო საჩინო ბარათაშვილმა მოღალატე ყორლანაშვილი — „ყორლანაშვილს ქარაფიდან ხელი ჰკრეს და გადაფრინდა". მარცხნივ, ქვემოთ, ალგეთის ხეობაში უძლიერესი ციხე-სიმაგრე ბირთვისი მდებარეობს.

1121 წელს, დიდგორის ომის წინ, ამ მიდამოებში გზა გადმოჭრა ნახევარმილიონიანმა თურქულმა კოალიციურმა არმიამ. მტერი აქედან დიდგორის გავლით შიდა ქართლში უნდა გადასულიყო. ბრძოლა 1121 წლის 12 აგვისტოს ჩვენგან მარჯვნივ, დიდგორის მიდამოებში გაიმართა. 13 კმ-ის გავლის შემდეგ მივადგებით ომის ადგილს. აქ ბოლო პერიოდში დიდი მემორიალი შეიქმნა მერაბ ბერძენიშვილის ავტორობით.

დიდგორის ომში ქართულმა ჯარმა დავით აღმაშენებლის სარდლობით არნახულ გამარჯვებას მიაღწია. მემატიანემ მას „ძლევაი საკვირველი" უწოდა. მართლაც, საკვირველი გამარჯვება იყო. ამ ომის დროს, თუ მემატიანეებს დავუჯერებთ, თურქებს 300 ათასი ან 600 ათასი ჯარისკაცი ჰყავდათ. ქართველებს მხოლოდ 56 ათასი. დავითმა სწორედ ამ ვიწრო ადგილებში შესთავაზა ომი, რითაც მტერს მანევრირების უნარი შეუზღუდა. თვითონ ჯარი მდ. ნიჩბურას ხეობიდან შეიყვანა, ხეობა ბარიკადებით გადაკეტა და ჯარს მიმართა მგზნებარე სიტყვებით. გამოსავალი ორად-ორი იყო — ან მთლიანად უნდა ამოხოცილიყვნენ, ან გაემარჯვათ. გახელებული ჯარი ეკვეთა მტერს ამ ვიწროებში და ოთხ საათში, რომ იტყვიან, სიქა გააცალა. ოთხ

საათში დამთავრდა ეს დიდი ომი ქართველთა გამარჯვებით — მოხდა „ძლევაი საკვირველი". ეს ომი მსოფლიო ომების ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ქართველმა მეომრებმა სახელმწიფო საზღვრამდე სდია მტერს და უამრავი ალაფი დააყრევინა. იმ დროის მემატიანეები დიდ შეფასებას აძლევენ დიდგორის ომში გამარჯვებას.

დიდგორიდან უკან ვბრუნდებით მანგლისის გზაზე და სვლას ვაგრძელებთ მანგლისის მიმართულებით. გზად გავივლით სოფ. დიდ თონელს. აქ ხომ ვაჟა-ფშაველას უმოღვაწია მასწავლებლად. დაბლა ალგეთის ლამაზი ხეობა მოჩანს. თითქოს საგანგებოდ უბოძებია ღმერთს ალგეთის ხეობა თბილისისთვის. თბილისს მდინარე სამხრეთ-დასავლეთიდან ჩაუდის — იმ მხრიდან, საიდანაც მტერი შემოდიოდა ქვეყანაში. ამდენად, ამ ხეობას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც თბილისისთვის, ასევე მთლიანად საქართველოსთვის. ალგეთის ხეობაში მდებარეობს ისეთი უძლიერესი და უძველესი ციხეები, როგორიცაა: კლდეკარი, ბირთვისი, ფარცხისი, კოჯრის ციხე. თუ ამ ციხეებს გადმოლახავდა მტერი, უკვე თბილისს მოადგებოდა. ხეობიდან აღმართს შევუყვებით და კურორტ მანგლისში შევდივართ. ის 1200 მ-ზე მდებარეობს ზღვის დონიდან. მანგლისი, ისევე, როგორც წყნეთი, ოქროყანა, შინდისი, ტაბახმელა, კოჯორი, კიკეთი, თბილისის საგარეუბნო-საკურორტო სისტემაში შედის. ხასიათდება კარგი ლანდშაფტური პირობებით და საუცხოო კლიმატით. კურორტის შემოგარენი ფიჭვნარი ტყით არის დაფარული. კურორტის დასავლეთით მდებარეობს ქართული არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლი მანგლისის ტაძარი. პირველი ტაძარი აქ XI ს-ში გაჩნდა, თუმცა გარკვეული შეკეთება XIX ს-შიც განიცადა. ტაძარში შომოგვრჩა XI ს-ის ფრესკის ფრაგმენტები. მანგლისის ტაძარი კათედრალია. ამჟამად აქ ზის ეპისკოპოსი — მანგლისის ეპარქიის მეთაური. სულ ქვემოთ ქართლში ორი ეპარქიაა — მანგლისის და ბოლნისის.

თბილისი – ბოლნისის სიონი – ტანძია – – დმანისის ნაქალაქარი

ღნიშნული საექსკურსიო მარშრუტი ძალზედ საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ აქეთ ჩვენი ადამიანები იშვიათად ხვდებიან. ის მოცილებულია ცენტრალური სამიმოსვლო გზებიდან. საუბარს ქალაქის გასასვლელიდან, ფონიჭალიდან ვიწყებთ. აქედან თელეთის აღმართს ავუყვებით. მარჯვნივ, ლამაზი გორის თავზე, შავნაბადას ციხეა აღმართული. ციხის გარდა აქ IX ს-ის ეკლესიაც მდებარეობს. საინტერესოა მისი სახელწოდება. ხალხური გადმოცემით, ამ მთის ფერდობებზე მტრის შემოსევის დროს სარები დაურსიათ, ზედ შავი ნაბდები დაკიდეს, რომ მტრისთვის ეჩვენებინათ ჯარის სიმრავლე. ამავე გადმოცემით მტერს შეშინებია და უკან გაბრუნებულა. ამის შემდეგ შავნაბადა უწოდეს.

სოფ. თელეთი პირველი სოფელია ჩვენს გზაზე. აქედან გავდივართ ისტორიულ და მდიდარ ქვემო ქართლის ველებზე. აქ ყველა სოფელი ისტორიით სუნთქავს. თელეთში შემოგვრჩა ეკლესია, სადაც 30 ივნისს აღნიშნავენ თელეთობას. თელეთის ეს სალოცავი, ხალხის წარმოდგენით, უშვილობას კურნავს. ამიტომაც შორიდან მოდიოდა ხალხი სალოცავად და ღამის სათევად. მკითხველს ახსოვს ილიას „კაცია ადამიანი“ – ლუარსაბი და მისი მეუღლე დარეჯანი შორიდან ჩამოვიდნენ სალოცავად. თელეთის შემდეგ მნიშვნელოვანი სოფ. კუმისია. ეს სოფელი გვიან პერიოდში ორბელიანების რეზიდენცია იყო. ამ სოფლიდან იყვნენ გრიგოლ ორბელიანის წინაპრები. სოფლის თავზე მდებარე ტაძარში განისვენებს XIX ს-ის ულამაზესი ქალი მანანა ორბელიანი. სოფლის აღმოსავლეთით მდებარეობს კუმისის ტბა. ადრე ის მლაშე იყო, გლაუბერის მარილით მდიდარი. ბოლო პერიოდში მტკვრიდან გამოყვანილი მილებით მტკნარი წყალი ჩაუშვეს. გამტკნარებულ წყალში კი მოაშენეს თევზი. ამჟამად ეს ტბა ითვლება თევ-

ზით პროდუქტიულ ტბად. კუმისიდან ტბამდე სოფლის სავარგულებია გაშლილი.

კუმისიდან პატარა აღმართს ავივლით და ისტორიულ სოფ. კოდაში შევდივართ. გზიდან მარცხნივ, სოფლის ცენტრში დგას ცნობილი ქართველი მწერლის ვასილ ბარნოვის ბიუსტი. ის ამ სოფლის მკვიდრი იყო. ბარნოვის წინაპრები თურქების მიერ მესხეთის დაპყრობის შემდეგ გადმოსახლდნენ მესხეთიდან, სოფ. ბარნავიდან. გვარად ბარნაველად დაეწერნენ, ბარნოვი კი მისი ფსევდონიმია. სოფლის ბოლოს გზა ორად იყოფა. მარჯვნივ გზა თეთრიწყარო-სამშვილდის მიმართულებით მიემართება. ჩვენ მარცხენა გზას მივყვებით მარნეულის მიმართულებით. აქ, მარცხნივ კოდის სამხედრო ნაწილის კორპუსებია. ორიოდე კმ-ის გავლის შემდეგ, მარჯვნივ ობელისკია აღმართული. ეს მარაბდის ომის ობელისკია. სწორედ ამ ადგილას გაიმართა მარაბდის ტრაგიკული ომი ირანელების წინააღმდეგ 1625 წლის 1 ივლისს.

1625 წელს სამჯერ მოხდა შეტაკება ქართველებსა და ირანელებს შორის. პირველად მარტის დასაწყისში, როცა საქართველოში მოსული ირანის ჯარი ყორჩიხანის სარდლობით სოფ. აღაიანთან დაბანაკდა. ირანის სარდლობამ განადგურების მიზნით თავისთან დაიბარა ქართლ-კახეთის თავადები. ქართველებმა საშიშროება დროზე იგრძნეს და ბრძოლით უშველეს თავს. ირანის ჯარმა სოფ. აღაიანიდან მარტყოფის ველზე გადაინაცვლა. აქ მას 1625 წლის 25 მარტს ქართველთა ჯარი დაესხა თავს, გიორგი სააკაძის სარდლობით და გაანადგურა მტერი. გამწარებულმა შაჰ-აბას I კიდევ ერთხელ გამოგზავნა ჯარი. ომი ამჯერად მარაბდასთან გაიმართა. ამ ომში ირანელებს 50 ათასი ჯარისკაცი ჰყავდათ, ქართველებს კი 20 ათასი. ომის წინ ქართველების მხრიდან ორი შეცდომა იქნა დაშვებული: ერთი, რომ სარდლობამ არ მიიღო გიორგი სააკაძის გეგმა — დაეხიათ კოჯრის მიმართულებით, სადაც გაუადვილდებოდათ ასეთ დიდ არმიასთან გამკლავება. მეორე ის, რომ ომის სარდლად თეიმურაზ I იქნა დანიშნუ-

ლი — მაშინ, როცა ირანელებს გიორგი სააკაძის ლანდისაც კი ეშინოდათ. ომი პირველად ქართველების წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ საბოლოოდ ირანელთა გამარჯვებით დამთავრდა. ირანელები შიდა ქართლში შეიჭრნენ. აქ ქართველებმა ბრძოლა შესთავაზეს გიორგი სააკაძის სარდლობით და განდევნეს ირანელები საქართველოს ფარგლებს გარეთ. დამარცხებული ომი ფაქტიურად გამარჯვების ტოლფასი იყო. ირნელებმა ფეხი ვერ მოიკიდეს ჩვენში და ქვეყნის დაპყრობაზე ხელი აიღეს. ეს ომი საინტერესო იყო იმითაც, რომ მასში მთელი ოჯახები მონაწილეობდა — ცხრა ძმა ხერხეულიძე (მათი საფლავები სოფ. მარაბდის სასაფლაოზე შემორჩა), ცხრა ძმა მაჩაბელი, შვიდი ძმა ჩოლოყაშვილი. ომში 9 ათასი ქართველი და 14 ათასი ირანელი დაეცა.

აქედან მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზზე გადავდივართ. ეს რკინიგზა ყველაზე ახალი ხაზია საქართველოში. პერსპექტივაში ის ახალქალაქიდან გაგრძელდება და საქართველოს თურქეთთან დააკავშირებს. იქვე გადის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი. მარჯვნივ, მთის ფერდობზე მოჩანს სოფ. წინწყარო. ამ სოფელს ეძღვნება ქართული ხალხური სიმღერა „წინწყარო ჩამოვიარე". ქ. მარნეულში შევდივართ. მარცხნივ მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკებაა აღმართული, რომელიც ზემოდან მდ. ალგეთს გადაჰყურებს. ეს მდინარე მარნეულში გაედინება. ქანდაკება „კიდევაც დაიზრდებიან..." ერთ-ერთი ყველაზე ღირებული ძეგლია საქართველოში. მარნეული ქვემო ქართლში, რუსთავის შემდეგ, ყველაზე დიდი და სამრეწველო ქალაქია. ქალაქის ტერიტორიაზე მდ. აგლეთს გადავედით და ბოლნისისაკენ ავიღეთ გეზი.

მარნეულიდან მდ. ხრამის ნოყიერ ველებზე გადავდივართ. აქედან ბოლნისამდე ქვემო ქართლის ველი მნიშვნელოვანი მებოსტნეობის რეგიონია. ამ ველზე წელიწადში მოყავთ ორი მოსავალი. ადრე გაზაფხულზე კარტოფილს თესავენ, შემდეგ ბოსტნეულს და სიმინდს. ეს ველი ირწყვება მდ. ხრამიდან გამოყვანილი

არხით. სანამ ხრამზე გადავალთ, მარცხნივ უძველესი სოფ. ცურ-ტავია — სამშობლო „შუშანიკის წამების“ ავტორის იაკობ ცურ-ტაველის. გადავდივართ მდ. ხრამზე ანუ ქციაზე, რომელიც მო-ედინება თრიალეთის სამხრეთ კალთებიდან. მოედინება ჯავახეთის ვულკანურ ზეგანზე, აჩენს მრავალ მეანდრას. ამიტომ წალკამდე მდინარეს ქცია ეწოდებოდა. როგორც ვახუშტი ამბობს: „ეძანს ქცია დახრამდების და ვიდოდეს მარადის აღმოსავლეთით“. ეძანი წალკას ერქვა. აქედან დახრამდება და ხრამი ეწოდება. შემდეგ სოფ. ნახიდურთან გაივაკებს და ქვემო ქართლის ველზე მდორედ მიედინება. ნახიდურთან ქართველმა ხალხმა მნიშვნელოვანი ომი გადაიხადა 1569 წელს. მალე მდ. მაშავერას ხეობაში შევდივართ. მარცხნივ, მდ. მაშავერას მარჯვენა ნაპირზე აღმართულია ბუნე-ბის საინტერესო ძეგლი — ბოლნისის ლაკოლითები. ლაკოლითე-ბი ვულკანოგენური წარმოშობისაა. მივადექით ქ. ბოლნისს. ბოლ-ნისის რაიონი, გარდაბნისა და მარნეულის რაიონებთან ერთად. რომელთა ტერიტორია უკვე გამოვიარეთ, მთავარი მებოსტნეო-ბის რაიონია საქართველოში. ქალაქის ცენტრში მხარეთმცოდნე-ობითი მუზეუმი მდებარეობს. ბოლნისის ცენტრიდან მარცხნივ ვუხვევთ, გადავდივართ მდ. მაშავერაზე და შევუყვებით ბოლნისის სიონისკენ მიმავალ გზას. რამდენიმე კმ-ის გავლის შემდეგ მაშა-ვერას მარჯვენა შენაკადის, ფოლადაურის ხეობაში გადავდივართ. ამ ხეობის სათავეში ჩვენი წინაპრები რკინას მოიპოვებდნენ და ფოლადს ადნობდნენ. ამიტო-მაც ეწოდება ფოლადაური. უნდა ითქვას, რომ ქვემო ქართლი მდიდარია წიაღისე-ულით. სოფ. ქვემო ბოლნის-თან მცირე ბოლნისის ტაძა-რია, რომელიც, სავარაუდოდ, IX ს-შია აშენებული. რო-გორც გავცდებით სოფელს.



მარცხნივ გამოჩნდება მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლი წულრუღაშენის გუმბათიანი ტაძარი — აშენებული ლაშას მეფობის დროს (1213-1222 წწ). ტაძარი მდიდარია მაღალი რანგის ჩუქურთმებით და კედლის წარწერებით. გუმბათის მაღლითა ნაწილი ჩამონგრეული იყო და ბოლო დროს აღადგინეს. ტაძარში თავისუფლად ჩამოდიოდა წვიმის წყალი, რის გამოც მთლიანად განადგურებულა ფრესკები. ბოლნისის სიონის დათვალიერების შემდეგ მას ვეწვევით (ბოლო ერთი კმ. ფეხით იქნება გასავლელი).

8 კმ, რომელიც ქ. ბოლნისიდან გამოვიარეთ, შემოგველია და მივადექით ბოლნისის სიონს, რომელსაც დაბალი გალავანი აქვს შემოვლებული. გალავნის შიგნით ორი ნაგებობაა — XVII ს-ის სამრეკლო და დიდებული ბოლნისის სიონი — ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზილიკა საქართველოში. ტაძარი ბოლნისის ტუფით არის ნაგები. ტაძრის დასავლეთი ფასადი მასიური კედელია, სადაც XVII ს-ში გაჭრილი პატარა კარებია გაყვანილი. XVII ს-ში აღდგა ტაძრის გადახურვა. აგრეთვე აღდგა ჩრდილოეთის გალერეა, სადაც სამშენებლო წარწერაა შემორჩენილი. ამავე საუკუნეში აშენდა სამრეკლო. ჩრდილოეთ კედელში ორი შესასვლელი კარებია. ორივეს თავთან ასომთავრული წარწერები შემორჩა, რომელიც ქართული ანბანის უძველესი ნიმუშია. მნიშვნელოვანი წარწერა მდებარეობს აღმოსავლეთის და სამხრეთის ფასადებზე. ეს წარწერები ათარიღებს ბოლნისის სიონის მშენებლობას — 478-493 წწ. ეს ის ეპოქაა, როცა ქრისტიანობას დიდი ყურადღება მიექცა დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის მიერ. ამ პერიოდში ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და გათავისუფლდა მსოფლიო პატრიარქის გავლენისაგან. ტაძარი ტიპიური სამნავიანი ბაზილიკაა, ამავე დროს სამეკლესიანი, რაც ძალიან საყურადღებოა. აშენებულია ღვთისმშობელი მარიამის სახელზე. ამიტომაც ატარებს სიონის სახელს. რამდენიმე ტაძარი გვაქვს სიონის სახელზე — ბოლნისის სიონი, თბილისის სიონი, დმანისის სიონი, მანგლისის სიონი, ურბნისის სიონი. ტაძრის გეგმა რთუ-

ლი და საინტერესოა — გადახურვა სამი ნავისგან შედგება; ისინი თავისუფლად მდგარ ხუთ წყვილ სვეტზე და გვერდით კედლებზე ეყრდნობა; ფრონტონები, როგორც ყველა ადრინდელი ძეგლი, ჩუქურთმას მოკლებულია; არის რელიეფური გამოსახულებანი. ძალზედ საინტერესოა ორიგინალური ბოლნური ჯვარი, რომელიც გამოსახულია ჩრდილოეთის კარების თავზე, აღმოსავლეთ სარკმლის თავზე და ინტერიერში აღმოსავლეთის სვეტებზე. ასეთი ჯვარი პირველად ბოლნისში შეიქმნა და ბოლნური ჯვარის სახელით არის ცნობილი. ბოლნური ჯვრის გარდა ტაძრის ინტერიერში, საკურთხევლის აფსიდში წარმოდგენილია XVII ს-ის ფრესკები. ამჟამად ბოლნისის სიონი მოქმედი ეკლესიაა და წარმოადგენს ბოლნელი ეპისკოპოსის რეზიდენციას. აქედან ავდივართ წულრუღაშენში, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი.

ბოლნისის სიონიდან უკან ქ. ბოლნისში ვბრუნდებით. ოციოდე კმ-ის გავლის შემდეგ მივადგებით სულხან-საბა ორბელიანის მუზეუმს სოფ. ტანძიაში. აქ დაიბადა დიდი მწერალი-მეიგავე. მუზეუმის შენობა ოციოდე წლის წინ აშენდა იმ ადგილას, სადაც ორბელიანის ძველი ნამოსახლარის ნანგრევები იყო. აქ მწერლის დროიდან არაფერი შემორჩა, გარდა პატარა და ლამაზი ერთნავინი ტაძრისა, რომელიც მუზეუმის ეზოში დგას. მუზეუმის გახსნის პერიოდში ეზოში დაიდგა სულხან-საბას ძეგლი. მუზეუმში გამოფენილია ფოტოები, ნახატები, რომლებიც ჩვენს დროშია შესრულებული. ეზოდან შორს, ჩრდილოეთით მოჩანს ფიტარეთის ბრწყინვალე ტაძარი — აშენებული 1212-1222 წწ-ში. აქედან ფიტარეთამდე ფეხით შეიძლება მისვლა (7-8 კმ-ია). გადავივლით ხრამს, ვათვალიერებთ ხულუტის ციხეს. ბოლოს — ფიტარეთის ჩუქურთმით მოქარგულ ტაძარს.

ვბრუნდებით ქვეშის ციხესთან ეს ციხე გვიანი პარიოდის მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე იყო, რომელიც იცავდა სამხრეთ-დასავლეთიდან მომავალ სამიმოსვლო გზას. ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ქვევრები, წყლის აუზი და სხვა სამეურნეო ნაგებობა.



აქედან მივყვებით სომხეთისაკენ მიმავალ გზას. ცოტა ხანში მარცხნივ ქალაქის ტიპის დასახლება მადნეული-კაზრეთი გამოჩნდა. ეს დასახლება შეიქმნა მას შემდეგ, რაც აქ აღმოჩენილი იქნა ფერადი ლითონების საბადო და დაიწყო მისი დამუშავება. შორს მოჩანს კარიერები და მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა. უკეთ გაცნობის მიზნით გადავუხვევთ მარცხნივ და გავივლით დასახლებას. აქედან ავდივართ ფაბრიკასთან, ვეცნობით მის მუშაობას. ვიდრე კარიერთან მივალთ, გზის პირას სამების ტაძრის ნანგრევებს ვათვალიერებთ. ეს ტაძარი ხასიათდება შესანიშნავი ჩუქურთმით. აშენებულია XI ს-ში. მისი გადახურვა ჩამონგრეულია. ავდივართ კარიერებზე, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. აქ მადნის მოპოვება ღია კარიერული წესით ხდება. მთის თხემი მთლიანად დაღარულია კარიერებით.

ვბრუნდებით ისევ ცენტრალურ გზაზე და მივემართებით დმანისის ნაქალაქარისკენ. ჩვენ გზას მარცხნივ მოყვება უძველესი სარწყავი არხი, რომელიც ვახტანგ VI-ს მიერ არის გაყვანილი. ეს დღეს მოქმედი უძველესი არხია. მთავარი გზიდან მარჯვნივ გზა გადაუხვევს რაიონულ ცენტრ დმანისისკენ. იქამდე 17 კმ-ია. დმანისის რაიონი მნიშვნელოვანი მეცხოველეობის რაიონია საქართველოში. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მეფუტკრეობა. ჩვენ გზას პირდაპირ ვაგრძელებთ. ხუთი კმ-ის გავლის შემდეგ მდ. მაშავერასა და ფინეზაურის შეერთების ადგილას, ჩვენგან მარჯვნივ აღიმართა დმანისის უძველესი და უძლიერესი ციხე-ქალაქი.

არქეოლოგიური გათხრები ამტკიცებენ, რომ დმანისის ადგი-

ლას ნასახლარი ორი ათასი წლის წინ გაჩნდა. განვითარებულ ფეოდალურ პერიოდში დმანისი იქცა უდიდეს სამეფო ქალაქად. ნაქალაქარი 13 ჰექტარზეა განფენილი, მაშავერას და ფინეზაურის შეერთების კუთხეში, სამი მხრიდან შვეული კლდე ესაზღვრება. მხოლოდ დასავლეთის მხრიდან შემოზღუდულია გალავნით. გალავნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ქალაქის მთავარი ციტადელია აღმართული, რომლის შიგნით ნანგრევებია შემორჩენილი. როგორც ყველა მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეს, დმანისსაც ჰქონდა საიდუმლო გვირაბი. ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში ეს გვირაბი კარგად არის შემორჩენილი და ციხეს მდ. მაშავერასთან აკავშირებდა. ნაქალაქარის ტერიტორიაზე მთავარი ნაგებობა დმანისის ერთნავიანი დიდი ტაძარია. — აშენდა VI ს-ში. ტაძრის აღმოსავლეთით დიდი ციხე-გოდოლია, ხოლო დასავლეთ კარიბჭეზე ლაშას მეფობის დროს მიშენებული ნაგებობაა. ეს ნაგებობა ხასიათდება შესანიშნავი ჩუქურთმით და მნიშვნელოვანი ლაპილარული წარწერებით. ცალკე უნდა აღვნიშნოთ არქეოლოგების მიერ ბოლო პერიოდში აღმოჩენილი პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების კვალი. 1991 წელს პირველად წააწყდნენ არქეოლოგები ადამიანის ქვედა ყბის ძვალს, რაც სენსაციური მოვლენა იყო. უფრო გვიან აღმოჩენილი იქნა თავის ქალა — როგორც მამაკაცის, ასევე ქალის.

დმანის-გომარეთის მიდამოებში 1,8 მლნ წლის წინ მოხდა მნიშვნელოვანი გეოლოგიური მოვლენა — ჯავახეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში, ვულკანების მოქმედების შედეგად, ამოღვრილი ლავა წამოვიდა ქვემო ქართლის ბარის მიმართულებით, შეავსო მაშავერას ხეობა და შექმნა მოსწორებული პლატო. როგორც ჩანს, ლავის მოძრაობის დროს ამ მიდამოში მცხოვრები პირველყოფილ ადამიანთა ოჯახი სტიქიური უბედურების მსხვერპლი გახდა. აქ არქეოლოგები ისტორიული პერიოდის ნამოსახლარს სწავლობდნენ და შემთხვევით წააწყდნენ ამ, თითქმის 2 მლნ. წლის წინ დაღუპულ პირველყოფილ ადამიანთა ნაშთებს. დმანისის ადამიანი ევროპეიდის უძველესი ნიმუშია. სიძველით ის მხოლოდ ავსტრალიოპითეკს ჩამორჩება. ავსტრალიოპითეკს ნეგროიდის უძველეს ნიმუშად და წინაპრად მიიჩნევენ. ზემოთ ნათქვამი მეტყველებს, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორია ადამიანი წარმოშობის მთავარი კერაა მსოფლიოში. ეს რომ ასეა, ამაზე მეტყველებს მრავალ მღვიმეში აღმოჩენილი კულტურული ფენები. ჩამოვთვლი რამდენიმეს: საკაჟია — წყალწითელას ხეობაში; მაღარა — სოფ. ცუცხვასთან; რგანი — ჭიათურასთან; ჭრუჭულას მღვიმეები — ყვირილას მარჯვენა შენაკადის — ჭუჭულას ხეობაში; წონა — ერწოს ტბის მახლობლად; კუდაროს მღვიმეთა სისტემა — ჯეჯორის ხეობაში და სხვა მრავალი.

კოდა – თეთრიწყარო – სამშვილდე

ზოდიდან სოფ. მუხათში შევდივართ. ის კოდაზე მიბმულია. მუხათიც ძველი ისტორიული სოფელია ისე, როგორც ბევრი სხვა სოფელი ქვემო ქართლში. ამ სოფელში ცხოვრობდა საქვეყნიდ ცნობილი მეომარი ქალი ანაბაჯი. ამ ქალს ანა ერქვა, ხოლო თათრები ბაჯის ეძახდნენ და აქედან დამკვიდრდა მისი სახელი. ამჟამად სოფელში მისი შთამომავლები ბაჯიაშვილები ცხოვრობენ. ანაბაჯი ძლიერი ქალი იყო – კაცებს ხშირად ამარცხებდა ჭიდაობაში. ქმართან და მაზლებთან ერთად შემართებით იბრძოდა იმში.

მომდევნო სოფ. ასურეთია. აქ XIX ს-ში გადმოსახლებული გერმანელები ცხოვრობდნენ (ამჟამად ქართველები ცხოვრობენ). მალე მდ. აგლეთს მოვუახლოვდით. აქ, მდინარის მარცხენა ნაპირზე სოფ. ფარცხისი და მისი ისტორიული ციხეა. ფარცხისის ციხე მნიშვნელოვანი რგოლი იყო ალგეთის ხეობის ციხეთა სისტემაში. ციხესთან დიდი ბრძოლა გადაიხადა მეფე გიორგი II-მ 1073 წელს, სადაც სასტიკად დაამარცხა თურქების არმია. ამ წელს დაიბადა გიორგი II-ს მემკვიდრე – შემდომში დიდი დავით აღმაშენებელი. აქედან მარჯვნივ, მთის კლდოვან ფერდობზე აღმართულია აუღებელი ციხე-სიმაგრე ბირთვისი. გადავკვეთეთ მდ. ალგეთი და აღმართს ავუყევით. პირველი სოფ. ჩხიკვთაა. გზიდან მარცხნივ მაწევანი მოჩანს – აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის სამშობლო. მუსხელიშვილები მესხეთიდან გადმოსახლდნენ სოფ. მუსხიდან. ამ სოფლის შესახებ ვარძიის მარშრუტში გვქონდა საუბარი.

სპეციალურად უნდა შევეხოთ ქართველი მოსახლეობის გადასახლებას XVI ს-ში მესხეთიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან მესხეთს თურქები დაეპატრონენ. მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული შეიქნა გადასახლებულიყო აქედან: კეცხოველები – კეცხოვიდან, აბაზაძეები -აბას-

თუბნიდან (დღევანდელი აბასთუმანი), ჯავახიშვილები — ჯავახეთიდან, ბარნაველები — ბარნავიდან, კლდიაშვილები — კლდიდან, მუსხელიშვილები — მუსხიდან, ჯაყელები — ჯაყიდან, იშხნელები — იშხანიდან და სხვა. ასეთია ჩვენი ისტორია და ჩვენი ხალხის ტრაგიკული ბედი.

მაწევანის შემდეგ, გზიდან მარჯვნივ, ორიოდე კმ-ში მდებარეობს XIII ს-ის მნიშვნელოვანი ძეგლი გუდარეხი — აშენებული რუსუდანის მეფობის დროს. იგი ერთნავიანი ტაძარია, მაგრამ აღმოსავლეთის ფასადი დიდი გუმბათიანი ტაძრების მსგავსი კომპოზიციით არის შექმნილი. ფასადზე წარმოდგენილია დიდი ჯვარი, ორი ნიშა და მოჩუქურთმებული რომბები. მონასტრის ეზოში დგას 1278 წლით დათარიღებული სამრეკლო. სამრეკლოების მშენებლობა XIII ს-ში დაიწყო. ყველაზე ძველ დათარიღებულ სამრეკლოდ ითვლება გუდარეხის სამრეკლო. მონასტრის გარშემო შუა საუკუნეების ნამოსახლარია შემორჩენილი.

შევდივართ თეთრიწყაროში — რაიონული ცენტრი ისტორიული თრიალეთის ტერიტორიაზე, რომელსაც წარსულში გარისი ერქვა. სწორედ გარისის ომის დროს, 1556 წელს დაიღუპა ქართლის უმამაცესი მეფე ლუარსაბ I. ეს ომი ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. ომს სარდლობდა ქართლის მომავალი მეფე სიმონ I. თეთრიწყაროდან ვეშვებით მდ. ხრამის ხეობაში. სოფ. სამშვილდიდან — სამშვილდის ნაქალაქარამდე (ერთი კმ. ფეხით არის სავალი).

სამშვილდე ძველი საქართველოს ერთი უძლიერესი და უდიდესი ციხე-ქალაქია. ის მდებარეობს მდ. ხრამის და ჭივჭავის შეერთების კუთხეში. სამი მხრიდან შვეული კლდე საზღვრავს, მხოლოდ დასავლეთის მხრიდან შეიძლება მიდგომა. ამ გვერდიდან აშენებულია მაღალი გალავანი, რომლის გადალახვა მტრის მიერ არც ისე ადვილი იყო. ციხე-ქალაქის მთავარი ნაწილი გალავნის შიგნით იყო მოქცეული, რომლის ფართობი 15 ჰექტარს აღემატება. ქალაქის დიდი ნაწილი გალავნის გარეთ მდებარეობს. ასე,

რომ ეს უძველესი ქალაქი გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს. ქვემო ქართლის ციხეთა სისტემაში სამშვილდე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული რგოლი იყო. მტერი უმთავრესად ქვემო ქართლიდან შემოდიოდა ჩვენს ქვეყანაში. თუ აიღებდა ლორეს, დმანისს, ხულუტის ციხეებს, სამშვილდის რიგი დგებოდა. სამშვილდის ციხე-ქალაქი და მთლიანად ხრამის ხეობა ფარივით ედგა დანარჩენ საქართველოს. თუ სამშვილდესაც დაიმორჩილებდა მტერი, ჯერი ალგეთის ხეობაზე და აქ არსებულ ციხეებზე მიდგებოდა. ამ სიმაგრეს დიდ ყურადღებას აქცევდნენ საქართველოს მესვეურები. თვით დავით აღმაშენებელმა 1110 წელს გაგზავნა ჯარი გიორგი ჭყონდიდელის სარდლობით. ციხე გამოხსნილი იქნა მტრის ხელიდან. რამაც ხელი შეუწყო 1122 წელს თბილისის განთავისუფლებას არაბების ბატონობისგან.

სამშვილდის ციხის ტერიტორიაზე მდებარეობს ქართული არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლი. ეს ძეგლი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტაძარი იყო საქართველოში. მისი გუმბათი მონგრეულია. აშენდა გარდამავალ პერიოდში – 759-777 წლებში. ტაძარი ერთადერთი ძეგლია, რომლის გეგმა თითქმის კვადრატია – 24X24 მეტრი. ფასადებზე შემორჩა წარწერები. სადაც მოხსენიებულნი არიან ადგილობრივი მმართველების გარდა, ბიზანტიის იმპერატორები კონსტანტინე V და ლეონ IV ხაზარი.



თბილისი — კახეთი

ზახეთი საქართველოს ყველაზე აღმოსავლეთი პროვინციაა. გავივლით თბილისის აღმოსავლეთ ნაწილს, რომელიც სამგორის ველზე გადის და ლილოს შემდეგ გადავდივართ მდ. ლოჭინის ხევზე. აქედან კახეთი იწყება. ეს ხევი საზღვარია ქართლსა და კახეთს შორის. კახეთი ორ ნაწილად იყოფა — გარე კახეთი და შიდა კახეთი. გარე კახეთი გეოგრაფიულად ივრის ზეგანს და გომბორის ქედს ემთხვევა. შიდა კახეთი — ალაზნის ველს და გომბორის და კავკასიონის ქედის კალთებს. ისტორიულად საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი ჰერეთისა და კახეთისგან შედგებოდა. ჰერეთი მოიცავდა დღევანდელ გარე კახეთს და შიგნითა კახეთის აღმოსავლეთ ნაწილს. აქ საზღვარი პირობითად ბარჯისხევზე გადიოდა. აქედან დასავლეთით კახეთია. მის აღმოსავლეთით ჰერეთი იყო, დღევანდელი საინგილოს ჩათვლით, ციხე გიშამდე — ბელაქანი, ზაქათალა და კახის რაიონები.

ლოჭინის ხევიდან აღმართს შევუყევით. იქ, სადაც კახეთის რკინიგზის ხაზი გადავკვეთეთ, მარჯვნივ ისტორიული სოფ. ვაზიანი მდებარეობს. მარცხნივ კიდევ უფრო დიდი და ისტორიული სოფ. მარტყოფია — 2 ათასი წლის სოფელი. აქ 1625 წელს გაიმართა მარტყოფის ცნობილი ომი, რომელიც ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. აქვე, მარცხნივ გზა სოფ. საკაძის მიმართულებით მიემართება. ეს ისტორიული სოფ. საცხენისია. ისევ აღმართს შევუდექით, ავიარეთ ივრის ზეგნის დასავლეთი ფერდობი და ზემოდან მოვექეცით ზეგანს. აქ, მარცხნივ გზა გომბორის უღელტეხილის გავლით თელავში ჩადის. ეს უმოკლესი გზაა თბილისიდან თელავამდე.

გომბორის გადასახვევიდან ჩვე კახეთის მთავარ გზას მივუყვებით. 5 კმ-ის გავლის შემდეგ სოფ. სართიჭალაში გავივლით, რომელიც მდ. იორის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. მიუხედავად იმისა, რომ იორი მცირე წყლიანი მდინარეა, იგი ერთ-ერთი ყვე-

ლაზე გრძელი მდინარეა საქართველოში (მტკვარი — 1515 კმ., თერგი — 591 კმ., ჭოროხი — 432 კმ., ალაზანი — 390 კმ., იორი — 357 კმ., რიონი — 327 კმ.) იორის შემდეგ, მარცხნივ ისტორიული სოფ. ხაშმია. სოფლის სიახლოვეს მდებარეობს ხაშმის ბაზილიკა — არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლი. მარჯვენა მხარეს ნავთობის ჭაბურღილები და მუდმივი ცეცხლის ალი მოჩანს. ამ მიდამოებში წარმოებს ნავთობის მოპოვება. გეოლოგები ვარაუდობენ დიდ მარაგს. ამავე დროს, აქაური ნავთობი ძალიან მაღალი ხარისხისაა.

ისევ აღმართს შევუყევით და სოფ. პატარძეულთან გავივაკეთ. პატარძეული სამშობლოა XX ს-ის უდიდესი პოეტის და მეცნიერის, პოეტ-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის. სოფლის ცენტრში პოეტის მემორიალური სახლ-მუზეუმია. ის ორ ოთახშია მოწყობილი. პატარძეულიდან საგარეჯოში შევდივართ. ქალაქის შესასვლელში, მარცხნივ კიდევ ერთი ისტორიული სოფ. ნინოწმინდაა. სოფლის ცენტრში მოჩანს შესანიშნავი არქიტექტურული კომპლექსი. აქ ნინო კაბადოკიელს დაუხანია, როცა კახეთს ქრისტიანობაზე მოსაქცევად ეწვია. საგარეჯო კახეთის მნიშვნელოვანი დასახლებაა. ის მევენახეობის და მეცხოველეობის რაიონია. სამხრეთით გზა მიემართება დავით გარეჯისაკენ. გარეჯამდე 55 კმ-ია. დავით გარეჯის კლდეში გამოკვეთილი სამონასტრო კომპლექსი ქართული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქმნილებაა. საგარეჯოდან აღმოსავლეთისკენ მივემართებით. აქ, მარცხნივ, მთის ფერდობებზე მარიამჯვრის ნაკრძალია შეფენილი. ნაკრძალი კომპლექსურია და იცავს როგორც მკვდარ ბუნებას, ასევე ფლორას და ფაუნას. ნაკრძალის შემდეგ მნიშვნელოვანი ისტორიული სოფ. მანავია. სოფლის თავზე ძველისძველი ციხის ნანგრევებია. იქვე, ფერდობზე მანავის ტაძარია აღმართული. სოფლის შესასვლელში ვენახებია გაშლილი. აქ ცნობილი ჯურძენი „მანავის მწვანე“ მოყავთ, რომლისგანაც ძალზედ არომატულ და სასიამოვნო ღვინოს აყენებენ.

საქართველო მევენახეობის და მეღვინეობის უძველესი ქვეყანაა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ საქართველო ერთ-ერთი ის ქვეყანაა, სადაც პირველად მოხდა ვაზის მოშენება და ღვინის დამზადება. ნათქვამის სასარგებლოდ მეტყველებს შრომის ის წესები და იარაღები, რაც დაკავშირებულია ვაზის მოყვანასთან და ღვინის დამზადებასთან. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ ყურძნის აღების პროცესს ერთი სიტყვით გამოვხატავთ — რთველი. არსებობს ერთი საინტერესო თქმულება: სანამ ღვინის დამზადებას დაიწყებდა ადამიანი, უფრო ადრე ყურძნის წვენს ამზადებდნენ ყოველდღიურად დასალევად. ერთ-ერთ ქართულ ოჯახში მოხდა შემთხვევა, როცა ოჯახის მამასახლისი სამუშაოდან დაღლილი მოვიდა სახლში და ისადილა, დასაყოლებლად ყურძნის წვენი მოითხოვა. დიასახლისი წავიდა მოსატანად და იქვე გაუსინჯა გემო. ნახა, რომ წვენი დამჟავებულიყო. მოახსენა მეუღლეს, რომ წვენი გაფუჭებულა. იწყინა კაცმა — რატომ დროზე არ დაგვალევინე, რატომ გააფუჭეო. თუ დაგენანა, მე დავლევო, — უთხრა ქალმა. წავიდა და ერთი-ორი თასი დალია. ცოტა ხნის შემდეგ კარგ ხასიათზე დადგა და ქმარსაც ურჩია დაელია. ამის შემდეგ დამჟავების ტექნოლოგიით დაიწყეს ღვინის დამზადება. ალბათ, სიმართლის პატარა მარცვალი დევს ამ თქმულებაში.

მანავიდან ისევ ივრის ზეგანით მივემართებით. მარცხნივ სოფ. კაჭრეთია, სადაც მოქმედებს წისქვილ-კომბინატი. სოფ. ჩალაუბანთან, მარჯვნივ გზა სიღნაღისკენ და დედოფლისწყაროსკენ გადაუხვევს. სიღნაღამდე 16 კმ-ია. სიღნაღი, როგორც მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი, XVIII ს-ში ჩამოყალიბდა. ქალაქი შემოვლებულია მთლიანად ციხე-გალავნით. გალავანში ჩაყოლებულია კოშკები და გოდოლები. ქალაქის ტერიტორიაზე რამდენიმე ეკლესია არსებობს. აქვს შესანიშნავი მდებარეობა. ის ზემოდან გადაჰყურებს ალაზნის ველს. შორს მოჩანს კავკასიონის თოვლიანი მთები. არმისული სიღნაღში, ორი კმ-ის აქეთ ბოდბის ცნობილი მონასტერია. აქ IV ს-ში ჩამოვიდა ნინო კაბადოკიელი კახეთის

ქრისტიანობაზე მოსაქცევად. აქვე მიიცვალა — როგორც ვარაუდობენ, 356 წელს და აქვეა დაკრძალული. ძველი, IX ს-ის ტაძარი, რომელიც ახლახანს აღადგინეს, XIX ს-ში გადააკეთეს. აქვე ააშენეს სამრეკლო რუსულ სტილზე. ამჟამად აქ ქალთა მონასტერი მოქმედებს.

ვბრუნდებით ჩალაუბანში და გზას ვაგრძელებთ შიდა კახეთისკენ. გავივლით ბარჯისხევს, რომელიც გადაკვეთს გომბორის ქედს და შევდივართ შიდა კახეთში. პირველი სოფ. ბაკურციხეა. სოფლის მაღლა, ჩვენგან მარცხნივ ბაკურის ციხე მდებარეობს. ეტყობა კაცის სახელ ბაკურისგან წარმოდგა და გავრცელდა სოფელზეც. ეს სოფელი მნიშვნელოვანი ისტორიული ცენტრია — რეზიდენცია კახეთის ერისმთავრების. ამ სოფლიდან იყო XIII ს-ის ცნობილი მოღვაწე ეგარსლან ბაკურციხელი. მნიშვნელოვანი მევენახეობის სოფელი, მსგავსად ყველა სოფლისა, რომელიც ალაზნის ველზე მდებარეობს. სოფლის ცენტრში გზა ორად იყოფა — ერთი მარჯვნივ, წნორისკენ და შემდგომ ლაგოდეხისკენ მიემართება. აქედან ლაგოდეხამდე 50 კმ-ია. ის ალაზნის მარცხენა მხარეზე მდებარეობს — კავკასიონის ქედის ძირში. ლაგოდეხის ტურისტულ-რეკრეაციული პირობები, ნაკრძალი ჩანჩქერებით იძლევა იმის იმედს, რომ ის მომავალში იქცევა ტურისტულ მხარედ.

ბაკურციხიდან მეორე გზა მარცხნივ მიემართება. აქედან თელავამდე 50 კმ-ზე მეტია. მთელ ამ გზაზე სოფლები ისე ახლოახლოს არის გაშენებული, რომ ერთი დიდი ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს. ბაკურციხის შემდეგ სოფ. კოლაგია — ვაჩნაძეთა სოფელი. ამ სოფლიდან იყო ნატო ვაჩნაძის პირველი მეუღლე მერაბ ვაჩნაძე. მისი გვარი სიკვდილამდე შერჩა ნატო ვაჩნაძეს. ნატო მამით ანდრონიკაშვილი იყო. კოლაგიდან კარგად ჩანს ალაზნის ველი — ულამაზესი და უმდიდრესი ველი, რომელიც გეოლოგიურ წარსულში ტექტონიკურ ძვრებთან ერთად მდ. ალაზანმა შექმნა. ეს ველი ალაზნის ორი არხით ირწყვება. შეიძლება ეგვიპტელთა ნათქვამი გავიმეოროთ ალაზნის ველის მიმართ: „ეგვიპტე

ნილოსის წყალობაა", შიგნითა კახეთი — ალაზნის წყალობაა.

კოლაგის შემდეგ სოფ. ვეჯინია — დიდი და ძველი სოფელი. ეს სოფელი მკითხველს ალბათ XI ს-ის მეორე ნახევრიდან დაამახსოვრდა. როცა მეფე გიორგიმ ვეჯინის ციხეს ალყა მოხსნა და აჯამეთის ტყეში წავიდა ტახზე სანადიროდ. ასეთი კურიოზებიც ხდებოდა ისტორიაში. ვეჯინის შემდეგ, მალე სოფ. გურჯაანს მივადგებით. მარჯვნივ. ორ კმ-ში იმყოფება ორგუმბათიანი ტაძარი — გურჯაანის ყველაწმინდა, აშენებული VIII ს-ში. ამ სოფლიდან წამოვიდა ორი დიდი გვარი — შალიკაშვილი, რომელთა შთამომავალნი, ორი ძმა ოთარ და მალხაზ შალიკაშვილები (ამერიკელი გენერლები) ამჟამად ამერიკაში ცხოვრობენ; და ანდრონიკაშვილები, რომელთა წარმომადგენელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყო ნატო ვაჩნაძე. სოფელში მოქმედებს ამ სახელოვანი ქალის სახლ-მუზეუმი. მუზეუმის ექსპონატები ასახავს დიდი მსახიობის ცხოვრებისა და შემოქმედების გზას.

სოფ. გურჯაანს მოსდევს ქ. გურჯაანი — თელავის შემდეგ ყველაზე დიდი დასახლება კახეთში. ის შიგნითა კახეთის ცენტრში მდებარეობს. ქალაქში, დაახლოებით, 20 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ვარაუდობენ, რომ მისი ისტორია XVII ს-ში იწყება. გურჯი ქართველს ნიშნავს თურქულად და აქედან წარმოიშვა ქალაქის სახელი. ქალაქის წარმოება ღვინის დამზადებასთან არის დაკავშირებული. გურჯაანის რაიონი მევენახეობის მთავარი რაიონია. საქართველოში, საბჭოთა პერიოდში 150 ათას ტონა ყურძენს კრეფდნენ რაიონის მევენახეები. გურჯაანზეა მიბმული კურორტი ახტალა — მნიშვნელოვანი ტალახის კურორტი. აქ ვულკანური წარმოშობის ტალახი ამოდის მიწის სიღრმიდან. ამ ტალახით მკურნალობენ სახსრებს, გინეკოლოგიურ, კანის და სხვა დაავადებებს. ტალახის ამოსასვლელები გზიდან მარჯვნივ გვრჩება. მარცხნივ ომში დაღუპულთა მემორიალია აღმართული. მემორიალს ზემოდან გადმოჰყურებს სერგო ზაქარიაძისეული „ჯარისკაცის მამა", შესრულებული მერაბ ბერძენიშვილის ავტორობით. აქვე

მთავრდება ქალაქი და იწყება სოფ. ჩუმლაყი. ახაშენი და ველისციხე. ეს უკანასკნელი არის საქართველოს ყველაზე დიდი სოფელი. ველისციხიდან ერთი გზა ყვარლისაკენ მიემართება. ჩვენ უკან ამ გზით ვბრუნდებით. აქვე გადავდივართ კახეთის რკინგზის ხაზზე და შევდივართ ღვინით განთქმულ სოფ. მუკუზანში.

მუკუზანიდან წინანდლამდე შემდეგი ცნობილი სოფლებია: ვაზისუბანი, ვაჩნაძიანი, ვანთა, ბუშეთი და სხვ. ყველა ეს სოფელი მდებარეობს გომბორის ქედის კალთებისა და ალაზნის ვეილს შეხების ადგილას. სოფლები მნიშვნელოვან სავარგულებს მოცილებულია, ისინი შედარებით მწირ ადგილზეა გაშენებული. ნავარგულებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურებია მოშენებული. ეს ხელს უწყობს მიწის ეკონომიურად გამოყენებას. წინანდალი — საქვეყნოდ ცნობილი სოფელი. როგორც ყურძნის და ღვინის სამშობლო, ასევე სამშობლო ცნობილი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის. სოფელში დაცულია ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, დიდებული ტყე-პარკით და წინანდლის ღვინის ქარხანა. სახლ-მუზეუმში დაცულია პოეტის და მისი ოჯახის მემუარული ნივთები. ტყე-პარკში კი დაცულია იშვიათი მცენარეულობა. ტყე-პარკის დასავლეთში ჭავჭავაძეთა საგვარეულო ეკლესია მდებარეობს. იქვე ცაცხვის ხე დგას, რომლის ფუღუროში დაიმალა პოეტის შვილიშვილი 1854 წელს, ლეკების შემოსევის დროს. წინანდლიდან თელავამდე 10 კმ-ია დარჩენილი. წინანდლის ხევის გავლის შემდეგ, მარცხნივ ციხისმაგვარი ნაგებობა დგას. ეს ვაჩნაძეთა წისქვილია. გავივლით სოფ. ნასამხარს და თელავში შევდივართ.

თელავი კახეთის ყველაზე დიდი დასახლებაა და ცხოვრობ'ს 25 ათას ადამიანზე მეტი. ეს იყო კახეთის სამეფოს დედაქალაქი. თუმცა ეს მისია XVI-XVII სს-ში 150 წლის განმავლობაში ქ. გრემმა ჩამოართვა. ქალაქის ცენტრში, ერეკლეს მოედანზე შევდივართ. პირდაპირ მოჩანს 1971 წელს მერაბ მერაბიშვილის ავტორობით შესრულებული ერეკლე II-ს ქანდაკება. აქვე. მარცხნივ ერეკლეს წყაროა და თელავის რვაასწლოვანი ჭადრის ხე დგას.

თელავის ჭადარი ბუნების უნიკალური ძეგლია. ის მასიური აღნაგობისაა (სიმაღლე – 36 მ., გარშემოწერილობა – 12 მ. და დიამეტრი – 3.5 მ.) – ერთერთი ყველაზე ხანდაზმული ხეა ჩვენს ქვეყნის ტერიტორიაზე. ავდივართ ბატონის სასახლის ეზოში. შესასვლელთან დგას გოდოლი. ეზო შემოზღუდულია მაღალი გალავნით. ეზოში დგას კარის ეკლესია და მეფეთა სასახლე, რომელიც არჩილ მეფემ ააშენა XVII ს-ში. ბოლო წლებში სამეფო სახლის სრული რეკონსტრუქცია მოხდა. აქვე, ეზოში დგას მუზეუმის შენობა და სამხატვრო გალერეა. თელავი, როგორც ძველი ქალაქი, მრავლამხრივ საინტერესოა. ქალაქის ცენტრში დგას თეატრის შენობა. აქვე, ახლო-მახლო თელავის ძველი უბნებია გორებზე შესკუპებული. თელავის მეფეთა სასახლეში შემორჩენილია ოთახი, სადაც 1720 წელს დაიბადა დიდებული მეფე ერეკლე და აქვე გარდაიცვალა 1798 წლის იანვარში. სასახლის ეზოში განისვენებენ კახეთის ცნობილი ადამიანები.

თელავიდან შუამთისკენ ავიღეთ გეზი. გზად სოფ. ვარდისუბანი გავიარეთ – სამშობლო გიორგი ქუჩიშვილის და დავით თურდოსპირელის. შუამთა ორი უბნისგან შედგება – ძველი და ახალი შუამთა. ძველი შუამთა ორი კმ-ით უფრო მაღლაა. ეს მონასტერი შუა მთებში მდებარეობს და აქედან მოდის მისი სახელწოდება – შუამთა. ის ძალზედ ლამაზი ადგილია. მონასტრის მოპირდაპირე მხარეზე ბაში-აჩუკის გამოქვაბული მოჩანს. აკაკი წერეთლის მოთხრობა „ბაში-აჩუკი“ ამ მიდამოს ეხება. ამ





მოთხრობის მიხედვით გადაღებულია ამავე სახელწოდების კინოფილმი.

ძველი შუამთა მხატვრულ-არქიტექტურულად საინტერესო კომპლექსია. აქ სამი ტაძარია შემორჩენილი: V ს-ის სამნავიანი ბაზილიკა; VI ს-ის გარდამავლაი გუმბათიანი ტაძარი, რომელიც ჯერ არ არის დახვეწილი; VII ს-ის დახვეწილი გუმბათიანი ტაძარი — ტიპიური ტეტრაკონქი. ძველი შუამთა ქართული არქიტექტურის განვითარების კარგი მაგალითია. დიდ ტაძარში ფრესკის მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი. სამივე ტაძარი მოტეხილი ქვით არის ნაშენი. საერთოდ, კახეთი ღარიბია ძვირფასი სამშენებლო მასალით. ამიტომ აქ ტაძრები შენდებოდა მოტეხილი, რიყის ან შირიმის ქვით. შედარებით გვიან პერიოდში აგურით მშენებლობა გააქტიურდა. მდარე ხარისხის სამშენებლო მასალა მიზეზია იმისა, რომ კახეთის ძეგლები ღარიბია ჩუქურთმით. ტაძრის ეზოში დიდი ქვევრია ჩაფლული.

ახალი შუამთა, როგორც აღვნიშნეთ, ორი კმ-ით დაბლა მდებარეობს. აქ XVI ს-ში შეიქმნა მონასტერი კახეთის დედოფლის, თინათინის კტიტორობით. თინათინი გურიელის ასული იყო. კახეთის მეფის, ლევან აღმაშენებლის მეუღლე და კახეთის დედოფალი. მეფე ლევანმა, პოლიტიკური მიზნით, მეორე ცოლად შეირთო დაღესტნის შამხალის ასული. ამაზე განაწყენებულმა თინათინმა დატოვა სამეფო კარი და მონაზვნად აღიკვეცა. შუამთა-

ში დაბინავდა და აა-
შენა მონასტერი. ახალ
შუამთაში ორი აგუ-
რის ნაგებობაა — მა-
ღალყელიანი ტაძარი
და დიდი სამრეკლო.
აქ მოქმედებს ქალთა
მონასტერი.

შუამთიდან ვბრუნ-
დებით სოფ. ვარდისუბანში და გზას ვაგრძელებთ იყალთოს მი-
მართულებით. 10 კმ-ის გავლის შემდეგ იყალთოს მივადგებით.
ეზოში შესვლამდე, ასიოდე მეტრით ქვემოთ, მარცხენა მხარეზე
დიდი დებეტის წყარო მოჩქეფს. 1966 წელს, შოთა რუსთაველის
იუბილის დღეებში ამ წყაროს შოთას წყარო შეარქვეს. შევდივართ
ეზოში და გეზი მარჯვნივ ავიღეთ. აკადემიის შენობასთან ვჩერ-
დებით. იყალთოს აკადემია, კულტურის ეს უდიდესი კერა XII ს-
ში, 1120 წელს გაიხსნა. პირველი რექტორი არსენ იყალთოელი
იყო. აქვე, მცირე ტაძარშია ის დაკრძალული. არსენ იყალთოელი
მოწაფე იყო გელათის აკადემიის სახელგანთქმული რექტორის,
იოანე პეტრიწის. იყალთოს აკადემიაში ცოდნის მრავალ სფეროს
ეუფლებოდნენ. ეს ერთადერთი აკადემია იყო მსოფლიოში, სადაც
მევენახეობა-მეღვინეობა ისწავლებოდა. გადმოცემით, ამ აკადემი-
აში უსწავლია შოთა რუსთაველს. აკადემიის შენობის გარდა,
იყალთოში რამდენიმე ნაგებობაა, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით:
არსენ იყალთოელის აკლდამა; საწნახელი; მცირე ტაძრის ნაშთი,
რომელსაც სვეტიცხოველს ეძახიან; VI ს-ის ორსართულიანი ტა-
ძარი. საერთოდ, იყალთოში მონასტერი შეიქმნა VI ს-ში ერთ-ერ-
თი ასირიელი მამის, ზენონ იყალთოელის მიერ. აქვეა IX ს-ის დი-
დი გუმბათიანი ტაძარი, სადაც არ შემოგვრჩა ფრესკები. აქ, სამ-
ხრეთ-აღმოსავლეთ ეკვდერში განისვენებს ზენონ იყალთოელი.

იყალთოდან მივდივართ ალავერდში. სოფ. ზედა ხოდაშენთან,



მარცხნივ მოჩანს თეთრი გიორგის ტაძარი. ეს ტაძარი აშენდა XIX ს-ში. აქვე გადავუხვევთ ახმეტის გზიდან მარჯვნივ და რამდენიმე კმ-ის გავლის შემდეგ მივადგებით ალავერდს.

ჩვენს წინაშე აღიმართა გრანდიოზული ტაძარი — ალავერდი, რომლის სიმაღლე 53 მეტრია, სიგრძე — 42 მეტრი და სიგანე — 27 მეტრი. ის ახმეტის რაიონში, ალაზნის ველის ცენტრში მდებარეობს. ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე იყო წარმართული სალოცავი. VI ს-ში აქ მოვიდა ერთ-ერთი ასირიელი მამა — იოსებ ალავერდელი და დააარსა მონასტერი. შემორჩენილია ძველი სალოცავის ნანგრევები. XI ს-ის პირველ მეოთხედში, ქართული არქიტექტურის მეორე აყვავების ხანაში აშენდა ეს დიდი გუმბათიანი ტაძარი, რომელიც, ბაგრატის და სვეტიცხოვლის ტაძრებთან ერთად სამეფო ტაძარია და მათ შორის ყველაზე მაღალი. ალავერდის გუმბათის ყელი ძალიან მაღალია, რაც კახეთის ძეგლებისათვის არის საერთოდ დამახასიათებელი. სამაგიეროდ, ფასადები ჩუქურთმით ღარიბია. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კახეთის მდარე სამშენებლო მასალა ჩუქურთმის განვითარების საშუალებას არ იძლეოდა. გეგმაში ტიპიური ტრიკონქია. დასავლეთის აფსიდა კუთხოვან მკლავად გადაკეთდა. ტაძრის ზეაწეული გუმბათი აფსიდების ქიმებს ეყრდნობა. სვეტიცხოველთან შედარებით, სადაც გუმბათი თავისუფალ სვეტებს ეყრდნობა. ალავერდის ინტერიერი უფრო ხალვათი და გრანდიოზულია. ინტერიერში შემოგვრჩა XVII ს-ის ფრესკები. ისინი საკმაოდ მაღალი რანგისაა. ალავერდი XV ს-დან კახეთის მეფეთა საძვალე იყო. აქ, ჩრდილოეთ აფ-

სიდაში განისვენებენ „გმირთა ვარამის“ გმირები. აქვეა იოსებ ალავერდელის საფლავი. ალავერდი ნაგებია რიყის და შირიმის ქვით; გამოყენებულია აგურიც.

ალავერდიდან თელავში ვბრუნდებით. აქედან გეზს გალმა კახეთისაკენ ვიღებთ. რამდენიმე კმ-ის გავლის შემდეგ, სოფ. შაქრიანთან გადავდივართ მდ. ალაზანზე და გეზს აღმოსავლეთისაკენ ვიღებთ. აქვეა პატარა საინტერესო სერი. ამ სერს ხალხი კუდიგორის მთას ეძახის, ვინაიდან აქ პატარა სერი გამოეყოფა დიდ ქედს და, ერთი შეხედვით, კუდის ილუზიას ქმნის. ალბათ გახსოვთ ილიას სიტყვები: „ვერ მიმასწავლით კუდიგორის მთას?“ წინ, აღმოსავლეთისკენ გამოჩნდა გრემის მთავარანგელოზის ტაძარი და სამრეკლო. XV ს-ის ბოლოს გრემი კახეთის დედაქალაქად იქცა და 150 წელზე მეტი ხნის განმავლობაში დედაქალაქის მოვალეობას ასრულებდა. 1466 წელს საქართველოს მეფემ, გიორგი VIII-მ ვერ გაუძლო ფეოდალთა ჭიდილს, გადავიდა კახეთში და სატახტოდ გრემი აირჩია. ამიერიდან საბოლოოდ დაიშალა საქართველო და ჩამოყალიბდა ოთხი პოლიტიკური ერთეული — კახეთის სამეფო, ქართლის სამეფო, იმერეთის სამეფო და სამცხე-საათაბაგოს სამთავრო. გიორგი VIII-მ კახეთში ათი წელი იმეფა (1466-1476 წწ).



გრემი თელავიდან 20 კმ-ში მდ. ინწობის ნაპირას მდებარეობს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის კახეთის დედაქალაქად იქცა. XVI ს-ში ითვლებოდა დიდ და მდიდარ ქალაქად.

შესასვლელში, მარცხნივ ქალაქის სავაჭრო უბანია. ახლაც არის შემორჩენილი ბაზრის ქულბაქები. ცენტრში აღმართულ კლდეზე აგებულია მთავარანგელოზის ტაძარი და სამრეკლო. აქვეა პატარა სამეფო დარბაზი. ეს სამივე ნაგებობა აგურითაა ნაშენი. ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში მდიდართა უბანი იყო. აქვე იყო მეფეთა სასახლე. გრემის შემოგარენში მდებარეობს დიდი და ისტორიული სოფლები — გრემი, ენისელი, შილდა, საბუე. ქალაქის ტერიტორიაზე შემორჩა რამდენიმე ეკლესიის ნანგრევები და აბანოს ნაშთები. მაღლა, მთაზე ქალაქის მთავარი ციტადელია.

გრემიდან ისევ აღმოსავლეთით, ყვარლისკენ მივემართებით. რამდენიმე კმ-ში, მარცხნივ, მთის თხემზე ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი მოჩანს. გადავუხვევთ მარცხნივ და ერთი კმ-ის გავლის შემდეგ, წყაროსთან, მთის ძირში შევჩერდებით. აქედან ნეკრესში ფეხით უნდა ავიაროთ აღმართი გზა. ეს კომპლექსი რთული ნაგებობაა. მონასტრის მშენებლობა აქ აბიბოს ნეკრესელმა დაიწყო. ის ასირიელი მამათაგანი იყო და აქ VI ს-ის შუაწლებში მოვიდა. დეტალური შესწავლის შემდეგ ირკვევა, რომ ჯერ კიდევ IV ს-ში აქ ქრისტიანული წესების აღსრულება მიმდინარეობდა. ამის დამადასტურებელია აქ შემორჩენილი მცირე ტაძარი (ზომით 2X1,5 მეტრი). ეს ტაძარი, შემორჩენილ ტაძრებს შორის, ყველაზე ძველია — IV ს. საერთოდ, ქრისტიანობის საწყისში მცირე ზომის ტაძრები შენდებოდა. მაშინ ტაძარი მღვდელთმსახურისთვის იყო განკუთვნილი და მრევლი გარედან ისმენდა საეკლესიო მსახურებას. ტაძრის გარდა, ამ რთულ კომპლექსში VII-IX სს-ის სხვადასხვა ნაგებობაა შემორჩენილი. ნეკრესის მონასტერი ერთადერთი სალოცავი იყო, სადაც ღორის შეწირვა ხდებოდა. ამის მიზეზი ისტორიულ-პოლიტიკური და რელიგიური პირობები იყო. კავკასიონის ქედის გადალმა, რომლის კალთაზეც ნეკრესი მდებარეობს, მუსულმანი ლეკები ცხოვრობენ. ისინი ხშირად გადმოდიოდნენ კახეთში და აწიოკებდნენ მოსახლეობას; ართმევდნენ, რაც გააჩნდათ. ნეკრესის ბერებმა შემოიღეს ღორის

შეწირვა, რადგან მუსულმანებს ღორის დანახვაც ჭირივით არ უნდოდათ — დონღუზ-დონღუზის ძახილით გარბოდნენ და მონასტერს არ ეკარებოდნენ. ნეკრესის მონასტერი საეპისკოპოსო რეზიდენცია იყო. სულ ოთხი საეპისკოპოსო იყო კახეთში — ალავერდი. ნეკრესი. ბოდბე. ნინოწმინდა. ნეკრესში ბოლო ხანს არქეოლოგებმა აღმოაჩინეს უძველესი ნიმუში ქართული ანბანისა, რომელიც IV ს-ით თარიღდება.

ნეკრესიდან ყვარელში შევდივართ. ცენტრში აღმართულია XVI ს-ის გუმბათიანი ტაძარი. აქვე ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმია. შემორჩენილია სახლი, სადაც 1837 წელს დაიბადა ილია (გარდაიცვალა 1907 წელს). აქ არის მემორიალური ნივთები და ლამაზი ეზო. ასიოდე მეტრში მდებარეობს კოტე მარჯანიშვილის მუზეუმი — ორსართულიანი სახლი, რომლის პირველ სართულზე მოწყობილია დიდი მარანი. ყვარლის მიდამოებში არის ბევრი საინტერესო ადგილი: ყვარლის მთა, სადაც ილიას ძეგლია აღმართული; ყვარლის წყალსაცავი და კლდეში გამოკვეთილი ღვინის საცავი მარანი.

ყვარლიდან გეზი სოფ. ველისციხის მიმართულებით ავიღეთ. ვიდრე მდ. ალაზანს გადავალთ სოფ. კუჭატანია — გიორგი კუჭატნელის სოფელი. კვლავ გადმოვკვეთავთ მდ. ალაზანს და მალე გვერდში გავუვლით საქართველოს უდიდეს სოფ. ველისციხეს, სადაც 15 ათას კაცზე მეტი ცხოვრობს. აქვე მკითხველს შევახსენებ ერთ საინტერესო მომენტს საქართველოს ისტორიიდან: ველისციხეში სტუმრობისას მეფე ლაშა-გიორგის შეუყვარდა ველისციხელი აზნაურის ცოლი და წამოიყვანა თბილისში, მაგრამ გავლენიან პირთა მცდელობით, ქალი პატრონს დაუბრუნდა. იმდენად დიდი იყო ახალგაზრდა მეფის სიყვარული, რომ სხვა ქალის მოყვანაზე აღარ უფიქრია. საერთოდ, ლაშა-გიორგი გამოირჩეოდა იშვითი ჰუმანურობით და, უნდა ითქვას, დემოკრატიული ქცევებით. მალე ცენტრალურ გზაზე გავედით და აქ შეიკრა ჩვენი მარშრუტის დიდი წრე.

თბილისი — მარტყოფის ღვთაება

თბილისის განაპირას, სამგორის ველზე გავდივართ. მარჯვნივ აეროპორტის გზა გადაუხვევს. კუთხეში სიცოცხლის ობელისკია აღმართული, რომელიც ზურაბ წერეთლის ავტორობით არის შესრულებული. ჩვენ მარცხნივ გადავუხვევთ. რამდენიმე კმ-ში სოფ. დიდი ლილოა. გადმოცემით ამ მიდამოებში დიდი ომი მოხდა. მკვდრებისგან სამი დიდი გორა შეიქმნა. ამიტომაც ამ მიდამოს ეწოდა სამგორი. ამის შემდეგ სამგორის არხზე გადავდივართ. ეს არხი უნიკალური სარწყავი სისტემაა. ის შენდებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და 1953 წელს საექსპლუატაციოდ გადაეცა. არხი გამოდის სოფ. სასადილოსთან, მდ. იორიდან. დასაწყისში რამდენიმე კმ. გვირაბში გაედინება. ზედაპირზე გამოდის სოფ. საცხენისთან, ამუშავებს საცხენისის, თეთრხევის ჰიდროელექტრო სადგურებს. ბოლოს სოფ. ვარკეთილთან ჩაედინება თბილისის ზღვად წოდებულ წყალსაცავში, რომელიც რეზერვუარია ისევე, როგორც სიონის წყალსაცავი. თბილისის ზღვამდე ზემო სისტემა ეწოდება. ზღვიდან გამოედინება ქვემო სარწყავი სისტემა, რომელიც რწყავს სამგორის ველებს. გადავდივართ ლოჭინის ხევს, სადაც გზა ორად იყოფა.

მარჯვნივ სოფ. მარტყოფია — საქართველოს უძველესი და უდიდესი სოფელი. მარტყოფის მიდამოებში 1625 წლის 25 მარტს ცნობილი ომი გაიმართა. ამ ომში ქართველებმა, გიორგი სააკაძის სარდლობით, გაანადგურეს ირანელთა მრავალრიცხოვანი არმია, ყორჩიხანის სარდლობით. ჩვენ მარცხენა გზას მივყვებით. გავივლით სოფ. ნორიოს, რომელიც უძველესი და დიდი სოფელია. ის ქართლის და კახეთის საზღვარზე მდებარეობს. მარჯვნივ კახეთ-ჰერეთია — საქართველოს ყველაზე აღმოსავლეთი პროვინცია. ის შედგებოდა კახეთის და ჰერეთის კუთხეებისგან. მარჯვნივ საქართველოს უპირველესი ცენტრალური კუთხე ქართლია. ქართლი სამი ნაწილისაგან შედგება: ქვემო ქართლი, ში-

და ქართლი და ზემო ქართლი, ანუ ისტორიული მესხეთი.

სოფ. ნორიოდან ხუთი კმ-ის გავლის შემდეგ მივადგებით მარტყოფის ღვთაებას. მონასტერი ტყით დაფარული მთის ფერდობზე მდებარეობს. აქ ბუნება ლამაზი და შემკულია, რასაც კიდევ უფრო ალამაზებს ადამიანის ხელით შექმნილი მარტყოფის ღვთაება. მონასტერი აქაც ერთ-ერთი ასირიელი მამის, ანტონის მიერ არის აშენებული. უკვე აღვნიშნეთ, რომ ისინი VI ს-ის შუა წლებში ჩამოვიდნენ. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ისინი ქართველები იყვნენ, სირიაში მიიღეს ქრისტიანული განათლება და სამშობლოში დაბრუნდნენ სამონასტრო მოღვაწეობისათვის. სოფ. მარტყოფს მაშინ აკრია ერქვა. ის ორი ათასი წლისაა. მამა ანტონი აკრის მახლობლად, გამოქვაბულში მარტოდ ცხოვრობდა და აქედან წარმოსდგა მისი სახელწოდება. რაც შეეხება მარტყოფის მონასტრის მხატვრულ მხარეს, მონასტერმა მრავალი შემოსევა და ნგრევა განიცადა. ამიტომ აქ პირვანდელი სახით არაფერია შემორჩენილი. კომპლექსს ზემოდან დაჰყურებს ციხის ნანგრევები. ქვემო მხარეზე რამდენიმე სათავდაცვო თუ სამეურნეო ნაგებობაა. ცენტრში აღმართულია დიდი ტაძარი, რომელიც XIX ს-შია აღდგენილი. ტაძარში ფრესკები არა გვაქვს. მონასტერი გალავნით არის შემოზღუდული. გალავნის გარეთ მოჩქეფს საკმაოდ დიდი დებეტის წყარო. მარტყოფის ღვთაება თბილისიდან სულ 40 კმ-ში მდებარეობს. ის ხელმისაწვდომია ჩვენი მოსწავლეახალგაზრდობისთვის და აქ ყოველთვის ხალხმრავლობაა. აქ მომავალში კარგი საექსკურსიო და დასვენების კერა უნდა შეიქმნას.



ჯახეთი საქართველოს ყველაზე აღმოსავლეთი პროვინციაა. ჩვენი გზა ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, სამგორის ველზე გადის. ლილოს შემდეგ გავდივართ ლოჭინის ხევზე. აქედან კახეთი იწყება. აღნიშნული ხევი საზღვარია ქართლსა და კახეთს შორის. კახეთი ორი ნაწილისგან შედგება — გარე კახეთი და შიდა კახეთი. გარე კახეთი გეოგრაფიულად ივრის ზეგანს და გომბორის ქედს ემთხვევა. შიდა კახეთი — ალაზნის ველს, გომბორისა და კავკასიონის ქედის კალთებს. ისტორიულად, საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი ჰერეთისა და კახეთისაგან შედგება. ჰერეთი მოიცავდა დღევანდელ გარე კახეთს და შიგნითა კახეთის აღმოსავლეთ ნაწილს. საზღვარი ბარჯისხევზე გადიოდა. ბარჯისხევის აღმოსავლეთით, საინგილოს ჩათვლით, ბელექანი, ზაქათალა და კახის რაიონები ჰერეთს წარმოადგენდა. მისგან დასავლეთით კახეთია.

ლოჭინის ხევიდან აღმართს შევუყევით. მარჯვნივ სოფ. ვაზიანია. მარცხნივ, იანლოს მთის ძირში გამოჩნდა დიდი და ისტორიული სოფ. მარტყოფი. მარცხნივ გზა მიემართება სოფ. საკაძის მიმართულებით. ეს ისტორიული სოფ. საცხენისია. ისევ აღმართს შევუდექით. ავიარეთ ივრის ზეგანის დასავლეთი ფერდობი და ზემოდან მოვექეცით ზეგანს. ჩვენ აქ მარცხენა გომბორის გზით მივემართებით. ეს გზა გომბორის უღელტეხილის გავლით (სიმაღლე ზღვის დონიდან 1616 მ.) უმოკლესი გზაა თელავამდეე. რამდენიმე კმ-ის გავლის შემდეგ სოფ. უჯარმაა — ცნობილი საკურორტო ადგილი. აქედან ივრის ხეობას აღმა მივყვებით. ჩვენგან მარჯვნივ უჯარმის ციხის ქონგურები გამოჩნდა. ასიოდედ მეტრი აღმართი ბილიკის გავლის შემდეგ ციხის ტერიტორიაზე შევდივართ. ციხეს შესასვლელის მხრიდან მაღალი კედელი ზღუდავს. აქვეა ორსართულიანი ეკლესია — ჯვარი პატიოსანი. ციხე ორი უბნისგან შედგება: ზედა უბანი, სადაც. ძირითადად, სამე-

ურნეო ნაგებობებია; დაბლითა უბანი ზედა ციხიდან ივრისკენ დაშვებული ნაწილია. მთლიანად ციხე-ქალაქი გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ციხეს გააჩნია საიდუმლო გვირაბი



იორზე ჩასასვლელად. ციხის ქვედა უბანში კედლებში ჩატანებულია ოთხკუთხა კოშკები, რაც მის სიძველეზე მეტყველებს. უჯარმის ციხე ნამდვილად უძველესი ციხე-სიმაგრეა საქართველოსი. ის მცხეთასთან და თბილისისთან ერთად სამეფო რეზიდენცია იყო IV-V სს-ში და ზოგჯერ დედაქალაქის როლსაც ასრულებდა. იყო ვახტანგ გორგასლის და მეფე დაჩის რეზიდენცია, ვიდრე თბილისში არ გადმოვიდა სამეფო ტახტი 519 წელს. ამ ციხეში აღესრულა დიდი მეფე ვახტანგ გორგასალი 502 წელს 60 წლის ასაკში. ციხე კონტროლს უწევდა ივრის ხეობაში გამავალ სამიმოსვლო გზებს. ამ ხეობით გადიოდა გზა შიგნითა კახეთში.

ციხიდან ჩრდილოეთით, მაღალი მთის ქარაფოვან ფერდობზე მოჩანს ქობთავის გამოქვაბულები. 1957 წელს აქ შეაღწიეს ალპინისტების და მეცნიერების ჯგუფმა ლევან გოთუას ხელმძღვანელობით. აღმოჩენილი იქნა დიდძალი ეპიკური მასალა (XI-XII სს).

ვაგრძელებთ სვლას ივრის ხეობაში. სოფ. პალდოს შემდეგ სამგორის სარწყავი არხის სათავეზე გადავდივართ. ამ არხზე თბილისი-მარტყოფის მარშრუტში ვისაუბრეთ. აქვეა სოფ. სასადილო, სადაც გზა ისევ ორად იყოფა. მარჯვნივ გომბორისკენ მიმავალი გზა მიდის. ჩვენ მარცხნივ ავიღეთ გეზი, სიონის მიმართულებით. სიონამდე მარჯვნივ, მაღლა, მთის წვერზე ბოჭორმის ციხე წამომართულა.



ბოჭორმის ციხე აუღებელი ციხე-სიმაგრე იყო. უჯარმასთან ერთად კონტროლს უწევდა ამ მხარეში გამავალ გზებს. ციხის კედლები საკმაოდ კარგად არის შემორჩენილი. ციხე ძნელად მისადგომია. სიონი-თიანეთის გზიდან 2-3 კმ. მთის ციცაბო ფერდობზე ფეხით უნდა ავიდეთ. ციხის ტერიტორიაზე ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობა IX ს-ის ექვსაფსიდიანი ტაძარია. ის ყველაზე ძველია ამ სტილის ძეგლებს შორის. სულ შვიდი ასეთი ტაძარი გვაქვს. სამი აქედან ამჟამად თურქეთშია, ოთხი საქართველოში, ბოჭორმის გარდა. კუმურდო 964 წელს აშენდა, კაცხი X ს-ის ბოლოს, ნიკორწმინდა 1010-1014 წლებში. ბოჭორმის ტაძარში საკმაოდ კარგად შემორჩენილი ფრრესკებია.

აქედან 7-8 კმ-ში ჩვენი ექსკურსიის ბოლო პუნქტი სიონის წყალსაცავია. ეს წყალსაცავი სამგორის სარწყავ სისტემას ამარაგებს ზაფხულის პერიოდში, როცა იორზე წყლის რაოდენობა შემცირებულია. ე.ი. ის დამხმარე რეზერვუარია თბილისის ზღვისთვის. წყალსაცავი საკმაოდ დიდია. მისი სარკის ფართობი 25 კმ²-ს აღემატება. გამოყენებულია თევზის მოსაშენებლად. მისი შემოგარენი ფოთლოვანი ტყეებით არის დაფარული, რაც საშუალებას ქმნის ამ მიდამოებში კარგი დასვენების კერის . ¹ქმნისათვის.

თბილისი – ნინოწმინდა – დავით გარეჯი

დავით გარეჯი მდებარეობს გარე კახეთში, ივრის ზეგანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. თბილისიდან საგარეჯოს გავლით 100 კმ-ია. რუსთავის გავლით – 80 კმ. ჩვენ ვიწყებთ საგარეჯოს გზით და ვბრუნდებით რუსთავით. ქალაქის გავლის შემდეგ ლოჭინის ხევს გადავდივართ. ამ ხევზე გადის საზღვარი ქართლსა და კახეთს შორის. კახეთი საქართველოს ყველაზე აღმოსავლეთი პროვინციაა. იგი გარე და შიდა კახეთად იყოფა. ჩვენი დღეანდელი მარშრუტი მთლიანად გარე კახეთს ემთხვევა.

ლოჭინის ხევიდან აღმართს შევუდექით. მარჯვნივ სოფ. ვაზიანი მდებარეობს. მარცხნივ, იანლოს მთის ძირში საქართველოს უძველესი და უდიდესი სოფ. მარტყოფია. ავიარეთ ივრის ზეგნის დასავლეთი ფერდობი. მარცხნივ გზა გომბორის უღელტეხილის გავლით თელავში მიდის.

მივუყვებით კახეთის მთავარ გზას. 5 კმ-ის გავლის შემდეგ სოფ. სართიჭალას და მდ. იორს გავივლით.

მარცხნივ სოფ. ხაშმია. სოფლის მახლობლად ხაშმის ცნობილი ბაზილიკა მდებარეობს. მარჯვენა მხარეს ნავთობის ჭაბურღილია, სადაც ნავთობის მოპოვება წარმოებს. გეოლოგები დიდ მარაგს ვარაუდობენ. ამავე დროს აქაური ნავთობი მაღალი ხარისხისაა.

ისევ აღმართი ავიარეთ და სოფ. პატარძეულთან გავივაკეთ. პატარძეული სამშობლოა XX ს-ის დიდი ქართველი პოეტისა და მეცნიერის – გიორგი ლეონიძის. სოფლის ცენტრში მდებარეობს პოეტის მემორიალური სახლ-მუზეუმი. პატარძეულიდან გეზი ავიღეთ სოფ. ნინოწმინდისკენ. სოფლის ცენტრში მდებარეობს თვალსაჩინო არქიტექტურული კომპლექსი. კომპლექსი მაღალი და კარგად შემონახული გალავნით არის შემოზღუდული. ეზოში რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაგებობაა. აქ, როგორც ჩანს, IV ს-ში

დროებით დამკვიდრებულა ნინო კაბადოკიელი, ვიდრე ბოდბეში გადავიდოდა. დღემდე შემორჩენილი შენობებიდან ყველაზე ძველი დიდი გუმბათიანი ტაძარია, VI ს-ში აშენებული. ტაძრის გუმბათი და ფრონტონების ნაწილი მონგრეულია. ეს ტაძარი საეტაპო ძეგლია. გეგმაში ჯვარი იხაზება, ოთხივე მკლავი მრგვალი აბსიდებია. ეს არის მცხეთის ჯვარზე ადრე აშენებული ტაძარი. ის დახვეწილი ტეტრაკონქია — საეტაპო ძეგლი, რომელმაც ჯვარგუმბათოვან მშენებლობას მისცა დასაბამი. უკეთესად არის შემორჩენილი აღმოსავლეთი ფასადი, რომლის აფსიდის კონქში შემორჩენილია XVII ს-ის ფრესკები. კომპლექსის ჩრდილოეთ ნაწილში ორი მნიშვნელოვანი ნაგებობაა. XVI ს-ის მრავალსართულიანი სამრეკლო, გვიანი საუკუნის გამოჩენილი ძეგლი.

სამრეკლო მთლიანად აგურით არის ნაგები. იქვე დგას XVII ს-ის საცხოვრებელი სახლი. საცხოვრებელთა შორის ერთ-ერთი უძველესი შემობაა. სახლი ადგილობრივი ეპისკოპოსის ტუსიშვილის აშენებულია.

რაიონული ცენტრი საგარეჯო გავიარეთ, რომელიც გარე კახეთის ყველაზე დიდი დასახლებაა. რაიონი მევენახეობით და მეცხოველეობით გამოირჩევა. რაიონის ცენტრი კი კვების მრეწველობით, კერძოდ, ღვინის წარმოებით. საგარეჯოდან სამხრეთისაკენ ავიღეთ გეზი. აქედან დავით გარეჯამდე 55 კმ-ია. ეს გზაზ გარეჯის დაუსახლებელ ტრამალზე გადის.

საგარეჯოს შემდეგ რკინიგზის ხიდების ქვეშ გავდივართ. აქვე გადავდივართ მდ. იორზე და შევუყებით გარეჯის ტერიტორიას. აქ გზად ორი პატარა მლაშე ტბაა, რომლებიც ზაფხულში მარილის ფენით იფარება. დაღმართში ვეშვებით. ქვემოთ ამ მხარეში ერთადერთი სოფელი უდაბნო გამოჩნდა. საბჭოთა პერიოდში უდაბნო ზაზმთრის საძოვრების მწყემსებისათვის საკორდინაციო ცენტრი იყო. შემდგომში აქ მოზრდილი სოფელი შეიქმნა, სადაც 300-ზე მეტი ოჯახი ცხოვრობდა. მდ. მტკვრიდან მოწყობილი

იქნა წყალსაქაჩი, რომელმაც გამოაცოცხლა აქ არსებული მიწები. ამ მიდამოში მშრალი სტეპური კლიმატია, ტიპიური შავმიწა ნიადაგებით. ეს ნაყოფიერი ნიადაგები მორწყვის შემთხვევაში დიდ მოსავალს იძლევა. კარგი პირობებია მეცხოველეობის განვითარებისათვის. აქ საუკეთესო ზამთრის საძოვრებია.

უდაბნოს შემდეგ იწყება გარეჯის მრავალმთის კუესტები. აქ კუესტური სერები კლასიკურად არის გამოხატული. კუესტა ასიმეტრიულ ქედს ნიშნავს. ასეთი ქედების ერთი ფერდობი დამრეცი და გრძელია, მეორე ფერდობი — ციცაბო და მოკლე. ციცაბო ფერდობი ზოგჯერ შვეული და კლდოვანია. თუ კლდეები შედარებით რბილი ქანებით არის წარმოდგენილი, როგორც გარეჯის შემთხვევაშია (აქ ამგები ქანები მესამეულ პერიოდის ქვიშაქვებით არის წარმოდგენილი), მაშინ გამოქვაბულების გამოკვეთა ადვილია. ყველა ამ კუესტის ციცაბო ფერდობი სამხრეთისკენ არის მოქცეული. გამოქვაბულები, რომელთა შესასვლელი სამხრეთისკენ არის გახსნილი, მეტ სითბოს და სინათლეს იღებს და საცხოვრებლად უფრო კარგია. როცა პირველყოფილმა ადამიან-



მა ბუნებრივ მღვიმეს მიმართა, საცხოვრებლად სამხრეთისკენ პირგასსნილი მღვიმეები აირჩია, რათა მეტი სითბო და სინათლე მიეღო.

დავით გარეჯის ეს პირობები კარგად გამოიყენეს ჩვენმა წინაპრებმა და უკაცრიელ უდაბნო ადგილას თექვსმეტამდე სამონასტრო კომპლექსი შექმნეს. ჩვენ გზაზზე მარცხნივ გამოჩნდა ერთ-ერთი კომპლექსი, რომელსაც დოდოს რქა ეწოდება. დოდო მამა დავითის მოწაფე იყო. აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის აზრით, დოდოს რქის დიდ ტაძარში შემორჩენილი მაცხოვრის ფრესკა ყველაზე ძველი ფრესკაა საქართველოში (VII ს.). მარჯვნივ, ქედზე კოშკია ალმართული. კოშკის ძირში XII ს-ში გამოკვეთილი გამოქვაბულებია. ეს ჩიჩხითურია. აქვე, მარცხნივ. გზის პირას თეატრონის ნაგებობაა. იგი ჩვენს დროშია შექმნილი. აქ 1976 წლიდან ყოველწლიურად იმართებოდა გარეჯობა. 1976 წელს, პირველ გარეჯობაზე აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა თავის გამოსვლაში ბრძანა: „რომ მივცეთ ერს დავით გარეჯი, რომელსაც ისტორია არა აქვს, ისტორია ექნება". ამ სიტყვების შემდეგ არ შეიძლება სიამაყის გრძნობა არ დაგეუფლოს კაცს. საამაყო რომ ნამდვილად გვაქვს, ამაში მალე დავრწმუნდებით. მივადექით გარეჯის მთავარ კომპლექსს — დავითის ლავრას. ლავრა კაცთა მონასტერს ნიშნავს. კომპლექსები: დოდოს რქა, ნათლისმცემელი და ლავრა VI ს-შია აშენებული. ლავრა — დავითის მიერ; დოდოს რქა — დოდოს მიერ და ნათლისმცეცმელი — ლუკიანეს მიერ. დოდო და ლუკიანე მამა დავითის მოწაფეები იყვნენ. მამა დავითი ერთ-ერთი ასირიელი მამათაგანი იყო, რომელიც VI ს-ის შუა წლებში ჩამოვიდნენ. დავითი თბილისთან, მთაწმინდაზე დაბინავდა, სადაც ამჟამად მთაწმინდის პანთეონი მდებარეობს და დაარსა მონასტერი. მთაწმინდიდან გადავიდა გარუჯულ უდაბნო ადგილას და დაარსა მონასტერი, რომელსაც დავით გარეჯი ეწოდა. დავითმა თავისი სახელი თბილისშიც დატოვა — მთაწმინდას ამიერიდან მამა დავითის მთა ეწოდა.

შევდივართ დავითის ლავრაში. შესასვლელის თავზე წარწერაში მოხსენიებულია მაჭუტაძე, რომელსაც აქ გვიან, XVII ს-ში უმოღვაწია. მას აუშენებია ეს კედელი. მარჯვნივ, მთის გაშიშვლებულ კლდოვან ფერდობზე წყლის შემკრები მოწყობილობაა. ფერდობის ძირში გათხრილია ორი არხი, რომლებიც ბოლოში დიდ ორმოში ერთდება. წვიმის დროს კლდოვანი ფერდობიდან მოგროვილი წყალი არხების მეშვეობით ორმოში გროვდებოდა. ამ წყალს მონასტრის ბერები იყენებდნენ საჭიროების მიხედვით. ეს ორიგინალური ხერხია წყლით მომარაგებისა. გარეჯის მიდამოებში წლიურად მხოლოდ 300-400 მმ. მალექი მოდის. ამიტომ ეს მხარე წყლის ნაკლებობას განიცდის.

შესასვლელი კარების შემდეგ, მარცხნივ იმავე 'მაჭუტაძის მიერ აშენებული ეკლესიაა, სადაც დაკრძალულია თვითონ მაჭუტაძე. აქედან მარცხნივ, მონასტრის დაბლა ბაქანია. მარჯვნივ, მოპირდაპირე მხარეზე ბერების საცხოვრებელი ოთახებია. აქ ბუნება კიდევ ერთხელ დაეხმარა ადამიანს. მილიონობით წლის წინ მოხდა მთის ფერდობის დაცოცება. მთელი ეს მასა დაბლა ხევში გადაიყარა. აქეთ-იქით წარმოიშვა კლდის ქარაფი, რომელშიც გამოიჭრა გამოქვაბულები. გარეჯის მიდამოები გეოლოგიურად მესამეული პერიოდის ქვიშაქვებით არის აგებული. ეს ქანები ადვილი დასამუშავებელია. სწორედ ამ ქანებშია გამოკვეთილი ყველა მონასტერი. მონასტრის ზედა ბაქანზე შევდივართ. აქ, მაღლა გიორგი XII-ს გამოქვაბულია, მარჯვნივ კი სატრაპეზო ოთახი, ანუ ბერების სასადილო. მარცხნივ XVI ს-ში აშენებული ალექსანდრეს კოშკია. შემორჩენილია ფრესკები. მოშორებით, შიშველი ფერდობის ძირში დავითის ცრემლებად წოდებული წყაროა. ჩავდივართ დაბლა ბაქანზე. მარჯვნივ პატარა მღვიმეა, სადაც თავი შეაფარა მამა დავითმა, აქ რომ ჩამოვიდა. ლეგენდის მიხედვით, სამი ფურირემი გამოეცხადა აქ და რძით კვებავდნენ. დაბლა, ეზოში მონასტერში მოღვაწეთა საფლავებია. აქვე მდებარეობს კლდეში გამოკვეთილი მთავარი ტაძარი. ტაძარში განისვენებს მამა დავითი

და ლუკიანე. ფრესკები არ შემორჩა.

მრავალგზის იქნა დანგრეული და დარბეული ეს მონასტრები. XVII ს-ში, ირანელთა ერთ-ერთი შემოსევის დროს დავით გარეჯის მონასტრებში 6 ათასი ბერი იქნა გაჟლეტილი. ეს ციფრები მეტყველებს აქ არსებული მონასტრების სიდიდეზე.

დავითის ლავრის თავზე, აქედან ორ კმ-ში, უდაბნოს მთის ფერდობზე მდებარეობს უდაბნოს მონასტერი (IX ს.) სადაც შემორჩენილია შესანიშნავი ფრესკები. უდაბნო ყველაზე მაღალი მთაა ამ მიდამოში (900 მ.).

ვბრუნდებით დავითის ლავრიდან და 5 კმ-ის გავლის შემდეგ, მთავარი გზიდან მარცხნივ, რუსთავის მიმართულებით გადავუხვევთ. გარეჯის მთავარი კუესტა გადავიარეთ. ამ კუესტის ჩრდილოეთ ფერდობზე დავითის ლავრა, ხოლო სამხრეთ ფერდობზე უდაბნო, ჩიჩხითური, ნათლისმცემელი და წამებულია. შორს, სამხრეთისაკენ მოჩანს დაბალი კუესტა, რომლის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს ბერთუბანი. ამ მონასტერში შემორჩა ერთი ყველაზე მაღალღირებული მხატვრობა. მათ შორის, თამარ მეფის ერთ-ერთი ფრესკა. თამარის ფრესკა სულ ოთხგან შემოგვრჩა: ვარძია, ყინწვისი, ბეთანია, ბერთუბანი. ბერთუბნის ფრესკა რომ გადაერჩინათ, თბილისის ხელოვნების მუზეუმში წაიღეს. სამწუხაროდ, უგზოობის გამო, ბერთუბანში მანქანით ვერ მივალთ. სამაგიეროდ, მარჯვნივ, ერთ კმ-ში ნათლისმცემელს ვიხილავთ.

გადმოვდივართ მანქანიდან და დაახლოებით 300 მეტრ აღმართს ფეხით ავდივართ.

მარცხნივ წამებულის კომპლექსია, რომელიც XIII ს-დან არის ცნობილი. იგი ძლიერ შებღალეს მონღოლებმა და აწამეს ბერები, რის გამოც წამებული ეწოდა. ნათლისმცემელი VI ს-შია შექმნილი დავითის მოწაფის, ლუკიანეს მიერ. იგი დიდი მასშტაბის კომპლექსია. აქ მრავლად არის როგორც გამოქვაბულები, ასევე ეკლესია-სალოცავები, ბერების საცხოვრებლები და სათავდაცვო ნაგებობები. მაღლა დგას დიდი, აგურით აშენებული კოშკი, რომ-

ლის მშენებელმა მოჭიქული აგურიც გამოიყენა. მთავარ ტაძარში შემორჩენილია ფრესკები. როგორც ჩანს, ისინი XII ს-ში არის შესრულებული. ახლა მხოლოდ ფრაგმენტებია დარჩენილი. სახეები საერთოდ ჩამონგრეულია ნალესთან ერთად. XIX ს-ში კიდევ სრულად იყო შემორჩენილი დავით აღმაშენებლის ფრესკა. მკითხველს ალბათ მოეხსენება, რომ დავით აღმაშენებლის ერთადერთი შემორჩენილი ფრესკა გელათში XVII ს-ში არის მოხატული. ნათლისმცემლის ფრესკა თითქმის დავითის თანადროული იყო.

ვბრუნდებით რუსთავის გზაზე და პოლიგონის გავლით რუსთავისკენ ვეშვებით. აქ საბჭოთა პერიოდში დიდი სავარჯიშო და საალლუმო პოლიგონი იყო. აღლუმის დროს ზიანდებოდა ძეგლები. საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში დაიწყო გამოსვლები პოლიგონის გაუქმების მოთხოვნით. ამჟამად პოლიგონი დაგვრჩა, როგორც რელიქვია.

გავედით გარდაბნის ველზე. მარცხნივ, შორს ჯანდარის ტბა მოჩანს. ადრე ეს ტბა მლაშე იყო. ამიტომ მასში არხის მეშვეობით ჩაშვებული იქნა მტკნარი წყალი და მოშენებული იქნა თევზი. ამჟამად ის პროდუქტიულ ტბად ითვლება. ტბას შუაზე კვეთს საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარი. რამდენიმე წუთში გარდაბანში ვიმყოფებით. ის ქვემო ქართლის მებოსტნეობის მნიშვნელოვანი რაიონია. აქ რუსთავისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეზე აღმართულია გარდაბნის თბოელექტრო სადგური. მალე წინ რუსთავის სილუეტი აღიმართა. ცემენტის ქარხნის დიდი მილები ბოლავს. ჩავუვლით მეტალურგიულ კომბინატს, ამწეკრანის ქარხანას, რუბეროიდის ქარხანას, ქიმიურ კომბინატს. ამ საწარმოებიდან ყველა არ მუშაობს სრული სიმძლავრით. შევდივართ ქალაქში, რომელიც კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. ის სიდიდით მესამე ქალაქია. გავივლით მას მთელ სიგრძეზე და ვუერთდებით თბილისი-ბაქოს საავტომობილო მაგისტრალს, რის შემდეგაც ფონიჭალის გავლით ვბრუნდებით თბილისში.